

ს.ს.ნ. ბანათის სახავეო აომისარიგის  
უოვერტვიური აკადმიდიური უზრუნველყოფის

წერ. VI

# ახალ სამოცისაკან

№ 3  
დეკემბერი  
1928



## ლისომაზერთა საჟურადლებოდ.

ან უურნალის ახალი საგამომცემლო წელი დაიწყება  
ან. ხელისმოწერა მიიღება ოქტომბრიდან ოქტომ-  
გარდა წინანდელი 4 ფორმის (64 გვ.) ნაცვლად გამოვა  
თ კიდევ 1-2 ფორმა დამატების სახით, როგორც „დაუს-  
კურსების“ მასალა. ამის გამო უურნალი ამ წლი-  
დან ელირება წლიწადში (12 ნოემბრი დამატებით) 5 მანეთი, წინან-  
დელი 4 მან. ნაცვლად.

ერთ წელზე ნაკლები ფადით უურნალის გამოწერა არ შეიძ-  
ლება.

ცალკე ნომრები არ იყიდება:

არ შეიძლება აგრეთვე „დაუსწრებელი კურსების“ გასალის  
ცალკე გამოწერა.

ხელისმოწერის პირობები შემდეგია:

1. გამოწერისას: არა ნაკლებ 2 მანეთისა.
2. შემდეგი გადასახადი (1 მან.) არა უგვიანეს თებერვლისა.
3. შემდეგი (1 მან.)—მარტ-აპრილში.
4. 1 მან. არა უგვიანეს მაისისა.

უურნალის წესიერი მიღებისათვის ვთხოვთ ერთიდაიმავე  
სკოლის მასწავლებლებს ერთად გამოიწერონ უურნალი.

ჭარსული წლების დარჩენილი ვალი უნდა ახალი გამოწერის  
წინ იყოს განალებული.

შენიშვნა: ვთხოვთ ამხანაგებს დაწერილებით აღნიშნონ წოლმე  
უულის გადმოსაგზავნ ბლანკებზე; უურნალის რამდენ კომპ-  
ლექტს იწერენ და რა მისამართით უნდა გაეგზავნოთ უურნალი.  
ვთხოვთ გამოწერისას სრული ფანრა გამოგზავნონ ზემოაღნიშნული პირო-  
ბების მიხედვით.

სარედაქციო კოლეგია.

ს.ს.ს. ბანათობის სახავეო კომისარიატის  
უოკერიზიური აკადმიური ჟურნალი

წე. VI

# საქართველოს საკულტურო კანკორდი

4874

№ 3  
გენერალი  
1928



ფოლიცი

## შ ი ნ ა რ ს ი

83.

საბჭოების გადარჩევა და სკოლის ამოცანები. . . . .	3
საბჭოების გადარჩევის კამპანია და პოლიტგანორგანოები	
პ. ზობუა . . . . .	8
ნიკოლოზ ჩერნიშევსკი შ. სიხარულიძე . . . . .	12
შრომის პრინციპებისათვის ჩვენს მასიურ სკოლებში	
ბიქტორ დიდიშვილი . . . . .	24
რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში	
ა. ჩიქობავა . . . . .	29
საჭიროა თუ არა ზღაპარი? ნ. ძიძიგური . . . . .	39

### ჩვენი სკოლების მუშაობიდან

4-წლების პროგრამების გადასინჯვის შესახებ კ. შეროზია . . . . .	44
საბჭოთა არჩევნებისათვის მზადება ა. შლემოვა . . . . .	51
გიგანტური ენის სახელმძღვანელოთა განხილვა ვ. თოფურია . . . . .	
დაუსამისი კურსები	
საბჭოთა სკოლის შრომითი რაობა . . . . .	48

პასუხისმგებელი რედაქტორი მარიამ ორახელაშვილი  
პასუხისმგებელი მდიგარი რ. ნიკოლაძე.

## საგვოების გადარჩევა და სცოლის ამოცანები.

იწყება სამზადისი საბჭოების არჩევნებისათვის, რაც ჩვენი პარტიისა და ხელისუფლების წინაშე მეტად სერიოზულ ამოცანებს აყენებს. 11 წელმა განვლო პროლეტარული რევოლუციის შემდეგ ყოველწლობით ფართოვდება საბჭოების, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოს, მუშაობა. საბჭოების მთელი მუშაობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს. ულარიძესი და საშუალო გლეხეაცობა პროლეტარიატის მოკავშირეა. ის პონაწილეობას იღებს საბჭოთა ორგანოების მუშაობაში მუშათა კლასის და მისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. გლეხეაცობა წრომ წინააღმდეგს პროლეტარიატს, ეს იმას მოასწავებს, რომ ის მოექცეს მემამულეებისა და კაპიტალისტების გავლენის ქვეშ. ეს კეშმარიტება კარგა ხანია ისწავლა გლეხეაცობამ. 1905 წლის მაგალითი საუცხოვო გაკვეთილი იყო გლეხეაცობისათვის. ოქტომბრის რევოლუციამ მიანიჭა გლეხეაცობას მიწა და თავისუფლება. მენშევიკებისა და ესერების დაპირებანი თებერვლის ოვოლუციის დროს მხოლოდ დაპირებებად უარის. ამიტომ მიმდინარე არჩევნების დროს ყოველი შეგნებული მუშა, გლეხი და ინტელიგინტი დაინტერესებული უნდა იყოს მუშებსა და გლეხებს შორის არსებული დიდი კავშირის განმტკიცების საქმით.

მიმდინარე არჩევნები თვითკრიტიკის ფარიად გაშლის საფუძველზე უნდა ჩატარდეს.. ბიუროკრატიზმთან ბრძოლა მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა. უკულტურობის, ჩამორჩენილობისა და მოსახლეობის სუსტად გაერთიანების გამო,—კერძოდ ეს შეიძლება ითქვას სოფლის შესახებ,—ჩვენ ვხვდებით ბიუროკრატიულ გადახრებს საბჭოთა აპარატში. არის შემთხვევები, როდესაც ილმასკომის თავმჯდომარე ან კიდევ ილმასკომის მდივანი თავის დროზე ვერ აწესრიგებს საქმეებს, აჭარბებს თავის უფლებებს; ხოლო გლეხეაცობას მათი ეშინია. ასეთ დამახინჯებებს ვხვდებით არა მარტო სოფლად, არამედ ქალაქის პირობებშიც. საბჭოთა აპარატი ხშირად აკეთებს იმას, რაც ეწინაღმდეგება პარტიისა და ხელისუფლების დირექტივებს. ბრძოლა ასეთი დამახინჯების აღმოსაფხვრელად არ მოითხოვს აპარატის დამსხერვას, საჭიროა მხოლოდ მისი გაჯანსაღება და ნაკლოვანება.

თა აღმოფხვრა. თვითკრიტიკა უნდა გამოვიყენოთ სწორედ ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ჩვენი მოწინააღმდეგებიც აკრიტიკებენ საბჭოთა აპარატს არა გამოსწორების, არამედ შესუსტებისა და დაცემის მიზნით. საბჭოთა აპარატის ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად საჭირო და აუცილებელია მშრომელთა ფართო მასების სახელმწიფოებრივი აღმშენებლობითი საქმით დაინტერესება. სოფლად ვერ ვხვდებით საბჭოს წევრების აქტიურ მონაწილეობას საბჭოს მუშაობაში. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მარტო აღმასკომის თავმჯდომარე მუშაობს და საბჭოს წევრები კი პასიური არიან. ეს გარემოება ნიადაგს უმზადებს უპასუხისმგებლობასა და სახელმწიფოებრივი ქონების გაფლანგვის მოშენტების განშირებას, რადგანაც არ არის მასის შესაფერისი კონტროლი. ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთი გარემოება ხელს უწყობს კულაკების გავლენის გაძლიერებას საბჭოთა აპარატზე. ამიტომაც მიმდინარე გადარჩევის დროს აუცილებელია შემოწმებული იქნას: რამდენად სწორედ არის დაუყენებული ხეჭკიანების მუშაობა, იზრდება თუ არა ულარიბესი და საშუალო გლეხკაცობის აქტივობა და რამდენად აქვს აღგილი კულაკების ძალადატანებასა და გავლენას.

საბჭოების გადარჩევა მეტად საპასუხისმგებლო მომენტში ხდება. მართალია, კაპიტალისტური მეურნეობის ხერხემალი დაიმსხვრა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, მაგრამ ქს კიდევ იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს ქვეყანაში კაპიტალისტური მეურნეობის ნაშთები სავსებით აღმოფხვრილია. კაპიტალიზმი კვლავ განაგრძობს არსებობას. მისი საფუძველი წვრილი გლეხური და ხელოსნური წარმოებაა, რომელიც ამზადებს საქონელს ბაზრისათვის. გლეხური მეურნეობის დიფერენციაცია ფაქტია. კულაკური გლეხეაცობა თავისი გავლენის ქვეშ აყენებს ულარიბეს გლეხეაცობას. ამიტომ ჩვენ ვკიდილობთ ეს გავლენა შევასუსტოთ და მოვსპოთ. მაგრამ როგორი გზით შეიძლება ამის გაკვთება? ცხადია, არა ვაჭრობისა და ბაზრის მოსპობით — ეს, უპირველეს ყოვლისა, სასტიკად შეარყევდა გლეხურ მეურნეობას. კერძო კაპიტალთან ბრძოლა სულ 1 ხეა გზით უნდა ვაწარმოოთ, სახელდობრ: აუცილებელია კომპერატიული და სახელმწიფოებრივი ვაჭრობის გაძლიერება. კერძო კაპიტალის როლი და მონაწილეობა ვაჭრობაში ყოველწლიურად მცირდება, მაგრამ მარტო ეს არ არის საქმარისი იმისათვის, რომ ულარიბესი გლეხეაცობა კულაკების გავლენისაგან გავათავისუფლოთ, საჭიროა დავიპუროთ წარმოების ყველა დარგი.

მრეწველობის დარგში პროცენტულის ითვემის 90% სახელმწიფოებრივ მრეწველობას ეკუთვნის. სასოფლო მეურნეობაში ასეთი

მდგომარეობა არ გვაქვს, აქ პროდუქციის მთავარი შასა კერძო ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის ხელშია; რაც შეეხება საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობას, ის დღეს კიდევ იმდენად სუსტია შეზღარებით, რომ საერთო პროდუქციის მხოლოდ  $30\%$ -ს ამზადებს. კულაკური მეურნეობა საბაზრო პურის დამზადების დარგში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან აღგილს იჭერს ( $13\%$ ). ამიტომ ინდივიდუალური გლეხური მეურნეობის კომპერატიულ საფუძველზე გაერთიანება გადაუდებელ და სადღეისო ამოცანად ითვლება. დღეს უკვე უველავათვის გასაგებია, რომ საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობა შოსავლიანობის ზრდის თვალსაზრისით უფრო რენტაბელურია, ვიდრე ინდივიდუალური მეურნეობა, თუნდაც კულაკური. საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის ჩამოსიყალიბებლად საჭიროა განვითარებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები, ამ მხრივ კი ჯერჯერობით ჩვენი სასოფლო მეურნეობა ჩამორჩენილია, თუმცა უნდა იი.ქვას, რომ ამ დარგში ამჟამად საგრძნობი მიღწევები გვაქვს ომის წინა დროსთან შედარებით. 1927/28 წელს სასოფლო-სამეურნეო მანქანების დასამზადებლად გაღებული იყო 135 მილ. მანეთი, 28/29 წელს გადადებულია 175 მილ. მან.: ნაწილი სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა შემოგვაქვს უცხოეთის სახელმწიფოებიდან, ხოლო უმთავრესად კი ვარძლიერებთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების დამაშვადებელ საკუთარი ფაბრიკა-ქარხნების გაშენების საქმეს. ამ მიზნით სტალინგრადში და როსტოვში დაწყებულია ახალ წამოწყებათა აშენება. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გარეშე, რაც გულისხმობს კაპიტალური მშენებლობის გაფართოებას, ჩვენ ვერ დავახწევთ თავს პურის დამზადებისა და საქონლის შიმშილის დარგში ამჟამად არსებულ სიძნელეებს.

მრუწველობის ისეთი დარგების ყოველმხრივი განვითარება, როგორიცაა სასოფლო-სამეურნეო მანქანების და მინერალური სასუქების წარმოება, აუცილებელია იმისათვის, რომ ავწიოთ ჩამორჩენილი სასოფლო მეურნეობის განვითარების დონე.

ესაც ეს არ გაეგება, ენც მოითხოვს. მრუწველობის განვითარების ფემპის შესუსტებას იმ მიზნით, რომ სასოფლო მეურნეობის განვითარება გაფაძლიეროთ, ის აბიექტურად ხელს უშლის აგრარულ-ინდუსტრიალური ქვეყნის ინდუსტრიალურ-აგრარულ ქვეუნად გარდაქმნის საქმეს.

სასოფლო მეურნეობა ჯერ კიდევ ჩამორჩენილია. განსაკუთრებით ითქმის ეს პურეულის კულტურის შესახებ, რომელიც ნელის ტემპით ვითარდება და 26/27 სამეურნეო წელთან შედარებით განსხვავებას არ გვაძლევს. პურეულის პროდუქცია საგრძნობლად შემცირ-

და უკრაინაში და სამხრეთ კავკასიაში ნათესების დალუპვის გამო. პურეულის კულტურის ჩამორჩენილობის მიზეზი, სხვა მიზეზებთან ერთად, გლეხური მეურნეობის დაქუცმაცებაში მარხია. დაახლოებით 100 მილიონი ჰექტარი ნათესი მიწა ცუთვნის 25 მილ. გლეხურ მეურნეობას. ბევრ რაიონში ჯერ კიდევ სამშინდვრიანი სისტემაა, ხნავენ კავით სახნისის მაგივრად. ამიტომ აქცევს ხელისუფლება დღეს განსაკუთრებულ ყურადღებას პურეულის კულტურის და საერთოდ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საქმეს.

მილებულ უნდა იქნეს ყრველგვარი ზომა მოსავლიანობის გასაღიდებლად. საჭიროა ხელი შევუწყოთ ულარიბეს და საშუალო გლეხკაცობას, რომ მათ შესძლონ იმაზე მეტი პურის დამზადება, ვიდრე ამზადებენ. ეს კი შეუქლებელია სახელმწიფო კრედიტის სწორედ განაწილებისა და აგროკულტურული დახმარების მოწესრიგების გარეშე. საბჭოთა კავშირში, მეცნიერული გამოანგარიშების საფუძველზე მილებული ცნობებით, მოვალეპოვება 8 მილიონი ისეთი მცირე შეძლების გლეხური მეურნეობა, რომელსაც მიწის დღევანდელი წესებით დამუშავების დროს არ შეუძლიათ ცხენის ძალის გამოსყიდვაც კი. ამიტომ ამ გლეხკაცობის კონკრეტული გაერთიანება უახლოეს და გადაუდებელ ამოცანად უნდა გადაიქცეს. მე-15 პარტყრილობის ლოზუნგს „წინ, მსხვილი კოლექტიური მეურნეობისაკენ“—პრაქტიკულად უნდა შევასხათ ხორცი. ამ ორი წლის განმავლობაში კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის გაფართოების გეგმის მიხედვით, 4-5 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა მივიღოთ 100 მილიონი ფუთი საბაზრო პური. მთელი ეს მუშაობა, სახალხო მეურნეობის განვითარებისაკენ მიმართული, მტკიცედ უნდა დაკუკავშიროთ მოსახლეობის კულტურული დონის აწევის საქმეს. ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრია წერაკითხვის უკოდინარი, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს სახალხო მეურნეობის, განვითარების საქმეზე. ქალაქიდ წერაკითხვის უკოდინარია 27%, სოფლად კი 58%. ამრიგად, ჩვენი მრეწველობის გაფართოება, სასოფლო მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერება და კულტურული მუშაობის გაღრმავება,—აი ის მთავარი ამოცანები, რომელიც უნდა დაგაუენოთ მიზდინარე გადარჩევების წინაშე, სოფლად სოციალისტური სექტორის ზრდასთან ერთად იზრდება კლასობრივი წინააღმდეგობა, კულაქიურძოლველად ვერ დატოვებს თავის გავლენას. ამისი მაგალითები

ჩვენ გვაქვს. გორის მაზრის სოფელ ქარელში მომხდარი ამბები ამ ბრძოლის დამახასიათებელი ნიმუშია.

კლასობრივი ბრძოლის ასეთი გამწვავების მომენტში აუცილებელია გარკვეული კლასობრივი პოლიტიკური ხაზი. პარტიის გადაუდებელ ამოცანას შეაღენს ბრძოლა განსაკუთრებით მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რადგანაც მემარჯვენეთა მოსაზრებანი ფართო გასაჭანს აძლევს კაპიტალისტური ელემენტების ზრდას ჩვენს ქვეყანაში. პროლეტარიატის დიქტატურის მებაირახტრე. კომუნისტური პარტია, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობას, ვერ დაუშვებს ასეთ აშკარა მემარჯვენე დათმობებს კაპიტალისტური ელემენტებისადმი.

სკოლას, როგორც ყოველი მეტად მრიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის მქონე საკითხის დამუშავების დროს, მიმდინარე გადარჩევის წინაშე წამოყენებულ ამოცანათა პოპულარიზაციის საქმეშიც დიდი როლის შესრულება შეუძლია. ამ მიზნით სკოლის მოწაფეები საზმეურიერების მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ეცნობიან ყველა იმ წერილს, რომელიც ამ საკითხის შესახებაა გამოქვეყნებული ჩვენს პრესაში. შესაძლებლობისამებრ, მონაწილეობას იღებენ საარჩევნო კომისიების შედეგენაში და მათ საინსტრუქტორო თათბირზე. სკოლის მოწაფეობას დიდი დახმარების გაწევა შეუძლია აღგილობრივ საბჭოთა ორგანოების საარჩევნო უფლების მქონე და უფლებამოკლებულ პირთა სიების შედეგენაში, საარჩევნო უწყებათა დარიგებაში და სხვ. სკოლის უფროსი ჯგუფის მოწაფეებთან (9-წლედები და სპ. ტეხნიკურები) უნდა დაისვას მოხსენებები შემდეგ თემებზე: 1) პარტიის პოლიტიკა სოფლად და მიმდინარე გადარჩევის წინაშე დასმული ამოცანები, 2) არჩევნების სისტემა ბურუუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკებში და სხვა).

სკოლა აქტიურ მონაწილეობას იღებს ახალი საბჭოებისათვის „ნაკაზის“ გამომუშავებაში (მოითხოვს სკოლის მტკიცე ბიუჯეტს, დამხმარე კომიტეტის შექმნას, მოწაფეთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათთვის საერთო საცხოვრებლების მოწყობას, სტიპენდიების დანიშნულად და სხვა).

ამ მიმართებით სკოლის მიერ ჩატარებულ მუშაობას დიდი საზოგადოებრივი ღირებულება ექნება.

მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა მიმდინარე გადარჩევების დროს ერთხელ კიდევ ხაზს გაუსვამს იმ მიხწევებს და ნაკლს, რომელიც დღემდე მოეპოვება საბჭოთა ხელისუფლებას.

საბჭოების გადარჩევა გამოიწვევს მუშებისა და გლეხების აქტ ტივობას, გამოააშეარავებს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ აქტებისას. ეჭიში არ არის, რომ ამ არჩევნებშიც, როგორც დღემდე, მუშათა კლასი გაიმარჯვებს უღარიბეს და საშუალო გლეხეაცობასთან ერთად.

## საბჭოების გადარჩევის კავკანია და პოლიტგანობანობანობა.

უცელასათვის ჯნობილია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წელს საბჭოების გადარჩევას, ამ საქმეს წელს მისთვის ეძლევა განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ ის ხდება მოსახლეობის ყველა ფენის აქტიობის გაძლიერების გარემოცვაში. საბჭოების არჩევნების დანიშნულებაა: პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცება, მუშებსა და გლეხებს შორის კავშირის კიდევ მეტი განმტკიცება, მუშათა კლასის ხელმძღვანელობის გაძლიერება მშრომელ გლეხობაზე და, რაც უმთავრესია, მშრომელთა მასის ფართოდ ჩაბმა ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ფერხულში.

საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ამომრჩეველთა რიცხვობრივ ზრდას, მაგრამ ისინი ამომრჩეველისაგან მარტო იმას კი არ მოითხოვენ, რომ მან მისცეს ხმა ამა თუ იმ პირს, არამედ საინტერესო და აუცილებელია მათი პრაქტიკულ საქმიანობაში ჩაბმა. ამომრჩეველმა, ხმის მიცემის გარდა, სრულიად უშიშრად და მოურიდებლად უნდა აწონდაწონოს ადგილობრივი საბჭოს და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლების საქმიანობა, გაუკეთოს მას კრიტიკა, მიუთითოს შეცდომებზე და დასახოს გამასწორებელი ზომები. „ჩვენ იმიტომ ვიწვევთ მათ (მშრომელ მასას. პ. ხ.), — ამბობს ამხ. კოგანვიჩი — რომ საბჭოთა ხელისუფლების ბუნება მოითხოვს ასობით, ათასობით და მილიონიანი მასის კონტროლს“. საბჭოების გადარჩევა უნდა ჩატარდეს თვითკრიტიკის ლოზუნგით. ნურავის ნუ შეეპარება იჭვი, თითქოს კრიტიკა და შეცდომათა გამომეუღნება ზიანს მოუტანს საბჭოთა ხელისუფლებას, პირიქით, შეცდომების გამომეუნებას, მათი გამოწვევი მიზეზების შეწავლას და მათ წინააღმდეგ საჭირო გადამჭრელ ღონისძიებათა მიღებას მოითხოვს საბჭოთა ხელისუფლების ბუნება.

არჩევნებმა მშრომელთათვის უნდა ცხადჰყონ კლასთა ბრძოლის გამწვავება. ქალაქად ნეპმანი, სოფლად კი კულაკი, — აი ჩვენი კლა-

სიური მტრები, ომელთაც სურთ ხელი შეუშალონ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას სოციალიზმის მშენებლობაში. მათ წინააღმდეგ,—როგორც კლასიური მტრების,—სასტიკი ზომები უნდა იქნეს მიღებული. მუშათა კლასის ყურადღება ქალაქად მიპყრობილია ჩვენი მრეწველობის გაძლიერებისაკენ, ხოლო სოფლად მშრომელი მოსახლეობის მოვალეობას შეადგენს ჩვენი სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა. მუშების და გლეხების მთლიანი ფრონტი, პროლეტარიატის ხელმძღვანელობით, ჩვენი სოციალისტური სექტორის გაძლიერების საწინარიად, ხოლო ეს უკანასკნელი კი სასიცდილო ლახვარია კლასიური მტრისათვის.. ძალების შემჭიდროება და მკაცრ შეტევაზე გადასვლა ნებმანის და კულაკის წინააღმდეგ,—თა რა უნდა მოგვცეს საბჭოების გადარჩევაში.

ზემოთ თქმულის შემდეგ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ კულტურა და ცოდნა მშრომელ მასაში (საბჭოთა სამყაროში) საუცხოო საშუალებაა მიზნის მიღწევისათვის.

კულტურული რევოლუციის პრობლემა, ომელიც წამოაყენა კომუნისტურმა პარტიამ, მთელი თავისი მნიშვნელობით უნდა იქნეს გაშლილი. წერაკითხვის უკოდინართა და, საერთოდ, კულტურის დაბალი დონის მქონე მასებს შორის ზედმიწევნით ძნელია მუშაობა. „უკულტურობა ყველაზე საშიში მტრია. მას ვერავითარ აღმინისტრატიულ ზომებს ვერ დაუმორჩილებთ“,—ამბობს ლენინი. მაშასადამე პოლიტგანორგანობის უშუალო მოვალეობას შეადგენს სასტიკი ბრძოლა აწარმოოს „ყველაზე საშიში მტრის“ წინააღმდეგ. პოლიტგანმანათლებელი მუშაობა მთელი თავისი მნიშვნელობით უნდა იჭინეს გაჩადებული საბჭოების გადარჩევისათვის.

ქოხ-სამკითხველოებმა, წითელმა კუთხეებმა, ბიბლიოთეკეებმა, წერაკითხვის უკოდინარობის სალიკვიდაციო და მცირებულენეთა რგოლებმა. და წრეებმა — ყველამ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს საბჭოთა გადარჩევაში. ხმამაღალი კითხვის მოწყობა, მოძრავი ბიბლიოთეკების საშუალებით შერჩეული ლიტერატურის მიწოდება მოსახლეობისათვის, კითხვა-პასუხის საღამოების მოწყობა, საჭირო ცნობათა გაცემა, საბჭოს მუშაობის გაშუქება მშრომელ მოსახლეობაში და სხვა,— აი მათი უშუალო მოვალეობა. ცუდი საბჭოს წევრის საჯარო საჩვენებელი გასამართლება, კლასიური მტრის—ბობლას—საქმიანობის გამოაშეარავება, ბობოლას ზრახვების ახსნა-განმარტება და ამ ზრახვების მავნებლობის დამტკიცება ნათელყოფს მშრომელი გლეხობისათვის მუშურ-გლეხური ხელისუფლების ბუნებას და

ხელს შეუწყობს უშუალოდ მის ჩაბმას საბჭოთა ხელისუფლების საქ-  
მიანობაში, რაც აუცილებელია საბოლოო გამარჯვებისათვის.

ქობ-სამკითხველოს აქტივის (თემის, სოფლის), — ინტელიგენციის,  
და პოლიტიკოდნის სკოლების ხელმძღვანელების დახმარებით წინა-  
სწარ უნდა ჩატარდეს ღარიბი გლეხების და მოჯამავირეთა კრებე-  
ბი, მათი ჯგუფური დათვალიერება. აღნიშნულმა დათვალიერებამ  
ხელი უნდა შეუწყოს სოფლად მუშაობის აშეარად გაუმჯობესებას  
და პარტიის ხელმძღვანელობის განმტკიცებას საბჭოთა გადარჩე-  
ვებში.

საბჭოების გადარჩევის პერიოდში, სხვა საშუალებებთან ერთად,  
მთლიანად უნდა იქნეს გამოყენებული კინო და რადიო. მოძრავი კი-  
ნოები და რადიომიმღები სადგურები სოფლად გამოყენებულ უნდა იქ-  
ნეს საბჭოთა ხელისუფლების მიღწევათა სადემონსტრაციოდ. კინო-  
სეანსების მოწყობა სათანადო მოხსენებებით და რადიომოხსენებათა  
გამართვა დიდად შეუწყობს ხელს საბჭოების გადარჩევას. პოლიტ-  
განორგანოებმა საბჭოების გადარჩევა და ახალი საბჭოების არჩევა  
უნდა გამოიყენონ სოფლად კულტურული მუშაობის გაჩალებისათვის.  
ბრძოლის გაჩალება კულტურულ ფრონტზე ერთ-ერთ მთავარ ამოცა-  
ნად უნდა იქნეს დასახული ახალი საბჭოს წინაშე. გადარჩეულ საბ-  
ჭოებს უნდა მიეცეს გარკვეული „ნაკაზი“ წერაკითხვის უცოდინარო-  
ბის ლიკვიდაციის დარგში და, საერთოდ, კულტურული მუშაობის  
გაძლიერებისათვის.

პოლიტგანორგანოები საბჭოთა გადარჩევაში პირველ რიგში  
უნდა დადგენ, მაგრამ ამით არ ამოიწურება მათი მოვალეობა. მათი  
ყურადღების ცენტრი მიქცეულ უნდა იქნეს საბჭოების ყოველდღიუ-  
რი მუშაობისაკენ. მეთვალყურეობა, წარმოებული მუშაობის გაცნო-  
ბა, შეცდომების მხილება და სწორი ხაზის გამოქებნა მუშაობაში,—  
აი, რას უნდა ემსახურონ პოლიტგანორგანოები.

პოლიტგანორგანოების აპარატი მთლიანად უნდა ემსახურებო-  
დეს საბჭოს მუშაობის მოსახლეობისათვის ახსნა-განმარტებას, რომ  
მშრომელი მასა იცნობდეს საბჭოს ყოველდღიურ მუშაობას და მიე-  
ცეს საშუალება საკუთარი მოსაზრებით გასაჯოს საბჭოს მოღვაწეო-  
ბის ავკარგი. მასის მეთვალყურეობა და კრიტიკა აუცილებელია, ამი-  
ტომ ეს მეთვალყურეობა მუდმივ მოვლენად უნდა იქნეს ქცეული,  
რადგან ეს უკანასკნელი აუცილებელი პირობაა კლასიური მტრის სა-  
ბოლოოდ განადგურებისა და ჩვენი მიზნების მიღწევისათვის. საჭი-  
როა სიფხიზლე მუშაობაში, აშეარა დაურიდებლობა მომუშავეთა მით-

მართ, უშიშარი და სალი კრიტიკა, მშრომელთა მთლიანი ფრონტი დაბრულებათა წინააღმდეგ და კულტურის შეტანა მშრომელ. მასაში, რომ საბოლოო მიზანი — სოციალიზმის დამყარება უზრუნველყოფილი იქნეს.

პოლიტგანათლების მთავარმა მართველობამ სახელმწიფო კინომრეწველობიდან მიიღო კინოსურათები, მოძრავი კინოებისათვის, რომლებიც მიეცემა მაზრპოლიტგანებს უფასოდ საბჭოების გადარჩევის კამპანიის ჩატარების პერიოდში.

#### სა ამ სურათების სია:

1. წითელი ეშმაკუნები,
2. არსენ ჯორჯიაშვილი,
3. სურამის ციხე,
- 4-5. იარე, ტფილისო,
- 6-7. ალბართზე,
- 8-9. 10. 18-28-ის კოშმარები,
- 11-12. წარსულის კოშმარები,
- 13-14. ათასთა ფასით,
15. იბრაგიმ და გოდერძი,
16. ხევსური,
- ოქტომბერი და ბურუუაზია,  
მულტიპლიკაცია,  
კომედია.
17. ბრძანება №,
18. ოქტომბერი,
19. სვანეთი—2 ნაწ.,  
— ოქტომბერი და ბურუუაზია--1 ნაწ.,  
მულტიპლიკაცია,  
კომედია.
20. მისი მოწოდება,
21. უკანასკნელი გასროლა,
22. სიგნალი,
23. სალი ქარი,
24. დონ-დიეგო და პელაგია,
25. პირველი კორნეტი სტრეშევი,
26. ზაჟესი, რიონქესი, მულტიპლიკაცია  
ცია და კომედია.
27. ბედნიერი ჩერვონეცი,
28. ლურჯი კონვერტი,
29. ტარიელ მკლავაძე,
30. სამი სიცოცხლე;
31. ხანუმა,
32. უნ არის დამნაშავე?
33. ადამიანის ორგანიზმის საიდუმლოებანი,
34. როგორ მოვიპოვეთ რევოლუცია (ქართული წარწერით),
35. ქუნთრუშა—3 ნაწ.,
36. ლენინის დაკრძალვა,
37. რადიო-სიმართლე,
38. მუცლის გაცუდება (ქართული წარწერით),
39. ატამან ბეჟუ—7 ნაწ.,
40. პიპანზი და შთაგონება—7 ნაწ.,
41. ფორდი და ფორდიზმი—5 ნაწ.,
42. მოთხოვობა შვილი ჩამოხრიბელის  
შესახებ,
43. შერკინება (დუელი),
44. ნემამულე ტირანი—7 ნაწ.,
45. შავ კლდეთა პატრონი—7 ნაწ.,
46. ციხე და სასახლე—12 ნაწ.,
47. მუშაობა ნავსადგურში—1 ნაწ.,
48. ახალგაზრდობის კომუნისტური ინ-  
ტერნაციონალი,
49. შავი ზევის ფლოტი,
50. ს. ს. ს. რ. კ. წლის თავი,
51. საავიაციო ქრონიკა,
52. ამუნდსენის გაფრენა ჩრდილოეთ  
კოლუსზე.

პ. ხობუა.

## ნიკოლოზ ჩერნიშვილი (1828 – 1889).

დაბადების ასი წლის თავის გამო.

„Только для тех сохраним наше удивление, которые, опечажая свою эпоху, имели силу преду-  
сматривать зорю грядущего дня, имели мужество приветствовать его приход; возвысить независимый и гордый голос, когда против Вас шумит мнение современного общества, бороться с силою, которая не понимает или не знает Вас; в самом себе находить свое одобрение, свою силу, свою надежду; с непреклонной душой, со святой жаждой справедливости итти к цели, не озираясь, идет ли за вами толпа и достигнуть высот, только путь к которым можно указать отставшему своему поколению и кончить жизнь в горьком одиночестве своего ума и своего сердца. Вот, что достойно вечного удивления и в честь тех, которые были способны к такому подвигу, должна возводить свой фимиам история“.

Н. Чернышевский. „Гюрг и его учения и  
административная деятельность“.

ზემოთმოყვანილი სიტყვები, რომლითაც ჩერნიშევსკიმ დაგვიხსინათა ტიურგოს მეცნიერული და აღმინისტრატიული მოღვაწეობა, გამოგვადგება მარქსის პერიოდამდე რუსეთში ცნობილი დიდი სოციალისტის ნიკოლოზ ჩერნიშევსკის დასახასიათებლად, ჩერნიშევსკი 60-იანი წლების, რევოლუციონერ „განმანათლებელთა“ კადრს ეკუთვნის, რომლისაგანაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიაშ მიიღოს, რაც ჰეშმარიტი; სალი და გამოსაღები იყო მარქსისტულ იდეათა პროპაგანდისათვის რუსეთის სინამდვილეში. ამხ. ლენინი ჩერნიშევსკის სთვლიდა „განმანათლებელთა“ ტიპურ ჭარმომადგენლად, მაგრამ, ლენინისავე აზრით, განმანათლებლებისაგან მარქსისტების მიერ მიღებულ „მემკვიდრეობაში“, „არაფერი არ არის ხალხოსნური“ რადგანაც 60-იანი წლების „განმანათლებელთა“ შორის იყვნენ ხალხოსნები და ლიბერალები, რომლებიც მეტ-ნაკლები „დემოკრატიული“ იდეებით იბრძოდენ ბატონიშვილი საზოგადოებრივი ურთიერთობის გადასაცემის გარეშე.



Ե. ՔԿԱՆՈՑՑԵՔՈ 1861 ՎԵԼՏ.

თობის წინააღმდეგ, ბურუუაზიული დემოკრატიზმის „ხალხოსნური“ და არალიპერალური ფრთის შემწევობით შესაძლებელი გახდა რუსეთის სასოფლო მეურნეობაში ობიექტურ ამერიკულ სისტემის განვითარება, რადგანაც სასოფლო მეურნეობის განვითარების „პრუსიული სისტემა“ უფრო ახლოს იდგა ლიბერალების ეკონომიკურ და, პოლიტიკურ ინტერესებთან. ისტორიულის თვალსაზრისით ეს მით აიხსნება, რომ გლეხებიაცია, და არა ბურუუაზია, იყო დიდად დაინტერესებული სასოფლო მეურნეობაში ფეოდალური ნაშთების განადგურებით.

ლენინს ჩერნიშევსკისა და ლობროლიუბოვის დემოკრატიზმი „გლეხური დემოკრატიზმის“ სახით ჰქონდა წარმოლგენილი, რადგანაც 60-იან წლებში სხვა სოციალური საფუძველი დემოკრატიული იდეებისათვის არ არსებობდა. პროლეტარიატი კი ჯერ კიდევ, მრეწველობის განუვითარებლობის გამო, ძალიან სუსტი გავლენით სარგებლობდა.

60-ანი წლები, როდესაც მოლვაწეობდა ჩერნიშევსკი, რუსეთის ისტორიაში უდიდესი გარდატეხისა და რენესანსის ეპოქად ითვლება. ეს გარდატეხის ქარიშხალი ქვეყნის სამეურნეო განვითარებასთან ერთად მზადდებოდა. საგარეო და საშინაო ვაჭრობის განვითარება, მრეწველობის შედარებითი ზრდა, სოფლის მემამულის ეკონომიკური გაძლიერება—საფუძველს უმზადებდა საზოგადოების ახალი მამოძრავებელი ძალების ამოქმედებას. ყირიმის ომის დროს თვითმეცყობელური ხელისუფლების დამარცხებამ გააძლიერა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული ოპოზიცია. მოკვდა ნიკოლოზ პირეველი. ძველისადმი დაბრუნების ფიქრი უკვე მოისპო. ყველა გრძნობდა იმას, რომ იწყებოდა ახალი ცხოვრების განვითარება, ამიტომ ვისაც კი შეეძლო რამე ეთქვა ახსებულის შესახებ, ხმამალლა ამბობდა. საზოგადოების მოწინავე ნაწილი, კონსერვატორებიც კი, ფიქრობდა, თუ როვორი უნდა ყოფილიყო რუსეთის მოშავალი ბედი.

ლიბერალურად განწყობილი რუსი ემიგრანტი ჰერცენი სწერდა: „ნიკოლოზის სიკედილმა გაათკეცა იმედები და ძალა. ალექსანდრე მეორის მეფობა იყო განთიადის დასაწყისი. მთელმა რუსეთმა თავისუფლად ამოისუნთქა, თავი ასწია და, რომ ნება იყოს, მთელი თავისი ხმით ტვინკემის ბავშებთან ერთადდ აიყვიჩებდა: „იმპერატორი ნიკოლოზი მოკვდა! ვაშა!“<sup>1)</sup>

თუ, ერთის მხრივ, რუსეთში გლეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენდა უდიდეს მოვლენას რუსეთის სოციალ-პო-

<sup>1)</sup> А. И. Герцен. „Сочинения“; Томо XVI, გვ. 131—133.

ლიტიკურ ცხოვრებაში და ასეთ მოძრაობას ხელს უწყობდღა ქვეყნის შინაგანი ძალები, მეორეს მხრივ ეკროპაში ამ დროს ადგილი ჰქონდა დიდ განმათავისუფლებელ მუშაობას. უნგრეთი იმის ცდაში იყო, რომ ომგორმე თავი დაეხტია რუსეთის ბატონობისაგან, იტალია განაგრძობდა ბრძოლას გარიბალდისა ვაუერის წინააღმდეგ, საფრანგეთი დაინტერესებული იყო დაემხო ნაბოლეონის ბატონობა პირველი შემთხვევისთანავე, ხოლო პოლონელები ემზადებოდენ დამოუკიდებლობის მოსაპოებლად. ეკროპაში შექმნილი ასეთი პოლიტიკური განწყობილება დიდად ხელს უწყობდა გლეხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას რუსეთში. გლეხთა განთავისუფლებით რუსეთში ფაქტიურად უნდა შეცვლილი ფეოდალური ურთიერთობა.

ამ საკითხის გადაჭრის გარშემო იბრძოდა სამი სოციალური ძალა, რომლის ინტერესებსაც გამოხატავდენ საკუთარი პარტიები.

არისტოკრატიულ-ბიუროკრატიული პარტია, მეფის ხელმძღვანელობით, დაინტერესებული იყო შეენარჩუნებინა თვითმკურობელობის ინსტიტუტი. ის იბრძოდა იმისათვის, რომ ადგილი არ ჰქონდა დიდ პოლიტიკურ დათმობებს და გლეხთა უმიწაწყლოდ განთავისუფლების მომხრე იყო. რაც შეეხება ლიბერალურ-ბურжуაზიულ ოპოზიციას, ამ ოპოზიციის ინტერესების გამოხატველი პარტიის ხელმძღვანელთა (კ.დ. კაველინი, ი. ს. ტურგუნევი და ნაწილობრივად ა. ი. პერცენი) აზრით საჭირო არ იყო რუსეთის ეკროპული გზით განვითარებისა თვის გლეხთა რევოლუციონური ჯანყებანი, „პუგაჩევშინის“ მსგავსი, რადგანაც ასეთი მოძრაობანი, მათი აზრით, ბურжуაზიული „ეულ-ტურისა“ და „ცივილიზაციის“ წინააღმდეგაა. შიმართული.

ყველაზე უფრო მემარცხენე, რევოლუციონური იყო „უკიდურესი პოლოგებისტების“ პარტია, რომელსაც არ სწამდა მეფის დაპირებანი რეფორმის გატარების შესახებ. ამ პარტიის მემარცხენე ნაწილი, ეყრდნობოდა რა უმთავრესად გლეხეკაციობას და მუშებისა და ჯარისკაცების გაერთიანებას, ოცნებობდა ჭეშმარიტი ხალხური რევოლუციის გამარჯვებაზე, რომელიც საბოლოოდ ბოლოს მოულებდა თვითმკურობელობის ბატონობას და არ დაუშვებდა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთის პირობებში. ასეთ მემარცხენედ განწყობილ რევოლუციონერთა იდეების ხელმძღვანელი იყო ნ. გ. ჩერნიშევსკი.

ოპოზიციონურ პარტიათა შორის ასეთი უთანხმოებით ისე, როგორც ყოველთვის, ისარგებლა არისტოკრატიულმა პარტიამ. მოძრაობის რევოლუციონური ხასიათით შეშინებული ლიბერალები მხად იყვნენ შეთანხმებოდენ რეაქციონერებს და მით შეესუსტებინათ განმათავისუფლებელი მოძრაობის ტემპი. ნ. გ. ჩერნიშევსკის დი-

სერტაციამ ისეთ შედარებით განკუნებულ თემაზე, როგორიცაა ქსოვილი დამოკიდებულება ხელოვნებისა სინამდვილესთან, დრღი განგაში გამოიწვია ლიბერალების ბანაკში. უფრო მეტ უთანხმოებას იწვევდა მისი ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათის წერილები. ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და ნეკრასოვის აქტიური მონაწილეობით რადიკალური ლიტერატურისა და პრესის განვითარება წინ მიღიოდა. განსაკუთრებით რადიკალური ხასიათის იყო, სხვა იმდროინდელ უურნალებთან შედარებით, უურ „სოვერემენიკი“.

ჩერნიშევსკი თავის სამწერლო მოლვაწეობას უურნალ „სოვერემენიკი“ მონაწილეობით იწყებს. მის მიზანს შეადგენს იმ იდეათა პოპულარიზაცია რუსეთის სინამდვილეში, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში მუშავდებოდა ევროპაში.

ამდენადევ ჩერნიშევსკი ირჩევს არა მეცნიერის, არამედ პუბლიცისტის კარიერას. მისი პირვანდელი განზრახვა — გამხდარიყო უნივერსიტეტის პროფესორი — შეიცვალა და მას იცნობენ, როგორც მასწავლებელსა და „განმანათლებელს“. „იქ (ევროპაში), — სწერდა ჩერნიშევსკი, — პირველ რიგში დგას მეცნიერების მოთხოვნილება, ჩვენში კი — განათლების მოთხოვნილება“. ბუნებით მებრძოლი დემოკრატი, ითვალისწინებდა რა ამ მოთხოვნილების სიმწვავეს, ცდის ლობდა მის გამოსწორებას.

ჩერნიშევსკი დიდის სიმპატიით ეპურობოდა გრანთვესკის განმანათლებელ მოლვაწეობას რუსეთში და ლესინგის მუშაობას გერმანიაში.

ლესინგის სამწერლო მოლუაწეობას ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. როდესაც საკითხი ისმებოდა, თუ რა გაჭლენას ახდენს ლიტერატურა ქვეყნის კულტურულ და სამეურნეო განვითარებაზე, ჩერნიშევსკი სწერდა: „იტალიაშიაც — ბრწყინვალე საუკუნეებში, როდესაც მას ყავდა დანტე, არისტო და ტასო, ლიტერატურა კი არ იყო ცხოვრების ძირითადი დასაწყისი, არამედ პოლიტიკურ პარტიების ბრძოლა და ეკონომიკური ურთიერთობა. ეს ინტერესები, და არა დანტეს გავლენა, სწყვეტდა სამშობლოს ბედს როგორც მის ეპოქაში, ისე შემდეგაც“<sup>1)</sup>.

ასეთივე შეხედულებისა იყო ჩერნიშევსკი ინგლისის სამეურნეო განვითარებაზე ლიტერატურის გავლენის საკითხის შესახებ. რაც შეეხება გერმანიას, აქ, ლესინგის საგანმანათლებლო მოლვაწეობასთან დაკავშირებით, ჩერნიშევსკი ერთგვარ გამონაკლისს უშვებდა.

<sup>1)</sup> Н. Г. Чернышевский, Том I, гл. 586.

ჩერნიშევსკის აზრით, გერმანიის სახელმწიფოებრივი განვითარების საქმეს არცერთი სოციალური ფაქტორი ხელს ისე არ უწყობდა, როგორც ლიტერატურა. ლიტერატურული მოძრაობის სიძლიერის აღიარებით და ლიტერატურის შემწეობით ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალაპვის შესაძლებლობას დაშვებით, ჩერნიშევსკი უპირატესობას ანუჭებს გონებისა და ცოდნის ძალას.

ასეთი გამონაკლისის დაშვებით ჩერნიშევსკი დაუცილდა ისტორიულ მოვლენათა მატერიალისტურ გავებას. აქ აუცილებლად მოჩანს ჩერნიშევსკის სოციოლოგიური იდეალიზმი, რაც საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ის იყო მატერიალისტი, მაგრამ არა ჩერნი დღევანდელი გავებით.

დიალექტიური მატერიალიზმის პრინციპები, რომელიც წარმოადგენს მარქსიზმის, —როგორც ფილოსოფიურ-ისტორიული და ეკონომიური მოძღვრების, —საფუძველს, ჩერნიშევსკისათვის უცხოიყო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩერნიშევსკი, როგორც პუბლიცისტი, ცდილობს გაატაროს მატერიალისტური მსოფლიხედველობა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საკითხების დამუშავებაში. ამწერალი, —სწერდა ჩერნიშევსკი ჩიხერინს, — პუბლიცისტი უნდა იყოს, ხოლო პუბლიცისტი კი პროფესორი არ არის, არამედ ტრიბუნი, ან კიდევ ვექილი<sup>1)</sup>.

ბუნებით რევოლუციონერი და მებრძოლი ყოველგვარი შემარიგებლობისა და ოპორტუნიზმის წინააღმდეგ იბრძების. ბრძოლის დაწყებისას, როდესაც დღის წესრიგში დასმულია ახალი პრინციპების გატარების საკითხი, აუცილებელია შეურიგებელი ბრძოლა ძველი საზოგადოების აზროვნებასთან, თუ დაინტერესებული ხარ იბრძოლო პროგრესიული იდეებისათვის. ეს თვალსაზრისი კარგად ჰქონდა შეთვისებული ჩერნიშევსკის. მისი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობა და პრაქტიკული მუშაობა ამ ძირითადი იდეის განხორციელების საქმეს ეწირებოდა.

„იმის ნახევარიც კი არ უთქვამს ლესინგს, რაც შეეძლო ეთქვა, თუ 10-15 წლით მეტ ხანს იცხოვრებოდა. ახლოვდებოდა ისეთი ისტორიული მოვლენანი, რომლებიც წინ წასწევდა გერმანიის ერის გამოღვიძების საქმეს. მან მხოლოდ ერთმა, რომელიც ყველაზე უფრო საჭირო იყო გერმანიისათვის, ვერ იცხოვრა იმ დროშიდა, როდესაც მისი სალი გონება და ყოვლის შემძლე სიტყვა ყველაზე უფრო საჭირო იყო ხალხისათვის“,<sup>2)</sup> — სწერდა ჩერნიშევსკი ლესინგის შესახებ:

სიცილის მეცნიერებები, ტომი IV, გვ. 467.

→ გვ. 467 გვ. 559

ხალხისათვის

2

ლესინგი მოკვდა ბუნებრივი სიკედილით. მან, როგორც განმანათლებელმა, მართლაც ბევრი რამ გააკეთა გერმანიისათვის. სულ სხვა იყო ჩერნიშევსკის ცხოვრების ბედი. ის მოჰკლეს პოლიტიკურმა მოწინააღმდეგებმა ცხოვრების სწორედ იმ ხანში, როდესაც ჩერნიშევსკის შეეძლო რუსეთის პროგრესიული აზროვნებისათვის ბევრი საგულისხმო რამ მიეცა. მაგრამ, მიუხედავად მისი ხანმოკლე სიცოცხლისა, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩერნიშევსკიმ შესძლო რუსეთის აზროვნებაში გაეკეთებინა ის, რაც საფრანგეთში გააკეთა ენციკლოპედიისტების მთელმა სკოლამ დიდროს ხელმძღვანელობით. ჩერნიშევსკიმ, როგორც რაციონალისტმა, უდიდესი ამოცანა შეასრულა, მან შესძლო მოეხდინა რევოლუცია ადამიანების თავში, რის გარეშეც შეუძლებელია რევოლუცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის, რაც მეტაფიზიკისა და განკუნუბული აზროვნების სახით ელობებოდა დადებითი მეცნიერებისა და საღი აზროვნების განვითარების საქმეს, განდევნილ და თავიდან ბოშორებულ იქნა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ჩერნიშევსკიმ სამწერლო ასპარეზზე მოლეაწეობა უურნ. „სოვერენენიკები“ თანამშრომლობით დაიწყო, რომ ლის ფაქტიური რედაქტორი ამ დროს პოეტი ნეკრასოვი იყო. პირველ ხანებში ჩერნიშევსკი მუშაობდა რეცენზენტის თანამდებობაზე, ის ერთ და იმავე დროს მონაწილეობდა უურნალში „ოტერესტვენიე ზაპისკი“; რედაქტიათა შორის შექმნილ წინააღმდევობის გამო მას წინადადება მისცეს აერჩია ერთ-ერთი ამათგანი. ჩერნიშევსკიმ „სოვერენენიკი“ აირჩია, მიუხედავად იმისა, რომ მეორე უურნალში მისი დარჩენა მატერიალური თვალსახრისით უკეთესი იყო. პოეტი რევოლუციონერი, მიუხედავად ზოგიერთ გადახრისა პირად ცხოვრებაში, სულ მოკლე ხანში რევოლუციონერ-პუბლიცისტის განუყრელი მეცნიერი გახდა. ნეკრასოვმა უურნალთან ჩერნიშევსკის დაახლოებით დიდი სამსახური გაუწია რუსეთის პროგრესიული აზროვნების განვითარების საქმეს. ჩერნიშევსკის „სოვერენენიკის“ რედაქტიაში გადასვლამ გამოიწვია რედაქტიიდან წასვლა ლიბერალი დრუჟინინისა, რომელიც ვერ შეურიგდა უურნალის რადიკალურ ხასიათს, რაც, თავის მხრივ, მოასწავებდა განხეთქილებას შემარიგებელ და უკიდურეს „პროგრესისტებს“ შორის. უურნალის თანამშრომელთა შორის ჩერნიშევსკი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. განსაკუთრებით იპყრობდა ის ნეკრასოვის ყურადღებას თავისი ცოცხალი და რადიკალური ხასიათით. „ჩერნიშევსკის უყვარლა,—სწერს ევგენიევი,— ამხანავების ვიწრო წრეში საუბარი, საუბრის საგანი სხვადასხვა იყო. ის აკრიტიკებდა ეკონომიკური ხასიათის სხვადასხვა სისტემას; აგებ-

და საზოგადოებრივი პროგრესის სინთეზს, ანუითარებდა ზუნებისმეტყველების ფილოსოფიურ თეორიას. მას მოქმედობოდა ლიდი ცნობები ისტორიიდან, ეს იყო მისი საყვარელი საგანი და სპეციალობა. ვეიხარავდა სურათებს საფრანგეთის ოეკოლუციის ან კიდევ ალორძინების ეპოქიდან, გამოსახავდა ძველი ათინელებისა და ბიზანტიის იმპერატორების სასახლის ხასიათს<sup>1)</sup>.

ჩერნიშევსკის წერილები, რომელიც „სოვერემენიქში“ იბეჭდებოდა, იმდენად რადიკალური ხასიათის იყო, რომ ტურგენევი ნეკრასოვისაგან მოითხოვდა ჩერნიშევსკისთან კავშირის გაწყვეტას. ნეკრასოვმა ჩერნიშევსკი აირჩია, მან ჩერნიშევსკის სიყვარულით დაჰკარგა ბელინსკის წრეში შეძენილი მეგობარი და იმდროინდელ რუსეთში უნიბილი ტურგენევი. ჩერნიშევსკისადმი სიყვარული და პატივისცემა ნეკრასოვმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეინარჩუნა, უძღვნა მას რამდენიმე მეტად ლამაზი ლექსი და სიკვდილის წინ დიდის აღტაცებით კითხულობდა ციმბირიდან მოწერილ ჩერნიშევსკის წერილს.

ჩერნიშევსკი ნეკრასოვს დიდის სიმპატიით იხსენიებს. მისი აზრით, გოგოლის შემდეგ თავისი ნიჭით და გოჩებით უველაზე უფრო მაღლა ნეკრასოვი იდგა.

ჩერნიშევსკი გატაცებული იყო ნეკრასოვის ლექსების სოციალური შინაარსით და როდესაც ნეკრასოვის ლექსებს უპიროსპირებდა ფეტის ლისიკულ შემოქმედებას, უპირატესობას პირველს ანიჭებდა არა მარტო შინაარსის, არამედ ფორმის თვალსაზრისითაც. ამდენადვე ჩერნიშევსკი არ ეთანხმებოდა ნეკრასოვის თქმას: „Нет в тебе поэзии свободной, мой тяжелый, неуклюжий стих“.

ბევრი ფიქრობს, რომ ჩერნიშევსკის არ პქონდა გავლენა. ნეკრასოვსა და დობროლიუბოვის ლიტერატურულ შემოქმედებაზე. ასეთი მტკიცება, მიუხედავად იმისა, რომ თვათ ჩერნიშევსკი ამას ადასტურებს, სწორი არ არის.

1856 წელს „სოვერემენიქში“ გამოქვეყნდა დობროლიუბოვის მეტად ნიჭიერად დაწერილი კრიტიკული წერილი.

ერთი წლის შემდეგ ჩერნიშევსკისათვის აშკარა შეიქნა, რომ თავისი ადგილი უნდა დაეთმო ახალგაზრდა კრიტიკოსისათვის და ეს ასევე მოხდა. პირველად დობროლიუბოვს უნდოდა ბელეტრისტი გამხდარიყო, მაგრამ, ჩერნიშევსკის რჩევით, მან ხელი მოჰკიდა იმას, რაც მისი ჭეშმარიტი მოწოდების საგანს შეადგენდა.

1) В. Евгениев. „Николай Алексеевич Некрасов“, §3.—194.

მატერიალიზმისა და კომუნისტური იდეების საფუძვლის ჩამურელი რუსეთის სინამდვილეში, ნიჭიერი უურნალისტი და პუბლიკისტი დიდის გავლენით სარგებლობდა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე და აქედან უკვე ცხადია, რომ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის გავლენა ნეკრასოვზე საგულისხმო და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. ოგიანიკო-კულიკოვსკის აზრით, ნეკრასოვის „Песня Еремушке“ და მრავალი სხვა დაწერილი იყო ამ დიდი გავლენის ქვეშ და ეს გავლენა მარტო ამითი არ ამოიწურებოდა. როგორც სამართლიანად შენიშვნას ლიაცე, „ნეკრასოვი ჩერნიშევსკის სთვლიდა არა მარტო ეპოქის მისწრაფებათა საცხოვო გამომხატველად, არამედ მეგობრად, რომელიც იმედსა და სტიმულს აძლევდა მას შემოქმედებითს მუშაობაში“.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დაუგიწყარი დამსახურება ნეკრასოვისა იშაში მდგომარეობს, რომ მან ჩერნიშევსკის უურნალ „სოერემენიკში“ თანამშრომლობით სოციალისტურ იდეათა პროპაგანდის საშუალება მისცა რუსეთის სინამდვილეში.

უურნალში თანამშრომლობას ჩერნიშევსკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. სამუშაო დღე შემდეგნაირად ჰქონდა განაწილებული: 3 საათს ანდომებდა მეცნიერულ მუშაობას, 3 საათს და მეტს წერალების წერას უურნალისათვის, საღამოობით კითხულობდა თვითგანვითარებისათვის და აწარმოებდა საუბარს ცოლთან გონებრივი განვითარების მიზნით. ასეთი სიზუსტით ჰქონდა განაწილებული დრო რუსეთის ცნობილ რევოლუციონერსა და პუბლიცისტს. ჩერნიშევსკის განზრახული ჰქონდა შეესრულებინა შემდეგი ხასიათის სერიოზული მუშაობა: ის ფიქრობდა დაეწერა (რამდენადაც, მისი აზრით, ფიზოს, ბოკლისა და ვიკოს ნაწერები არ იყო დამაქმაყოფილებლად შესრულებული) „კაცობრიობის მატერიალისტური და გონებრივი ცხოვრების ისტორია“, „იდეათა და ფაქტების კრიტიკული სიტყვარი“ და „ცხოვრებისა და ცოდნის ენციკლოპედია“. ჩერნიშევსკის ასეთი განზრახვა ოცნებად დარჩა. მართალია, მან გადასახლების, ციხეში ყოფნისა და წვალების გამო ვერ დაგვიტოვა მრავალტომიანი „ცხოვრებისა და ცოდნის ენციკლოპედია“, მაგრამ მისი ჩაწერები ყოველდღიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების შესახებ იყო ის, რასაც მოითხოვდა. ჩერნიშევსკის რამდენადაც მას უხდებოდა შეჩერებულიყო სხვადასხვა საკითხზე, სწერდა ფილოსოფიურ, ისტორიულ, სოციალურ და ეკონომიკური ხასიათის პრობლემების შესახებ. ხშირი

იყო შემთხვევები, როდესაც ის ერთდაიმავე დროს ორ საშუალებას ასა-  
რულებდა. მას კარგად ესმოდა, რომ ბეჭრს სწერდა, ზოგჯერ, შესა-  
ძლებელია, როგორც თვითონ ალიარებს, „გრძლად“, „უსიცოცხლოდ“,  
მაგრამ მთელი კეშმარიტება ისაა. რომ მას სხვებზე უფრო უკეთ  
ესმოდა არსებული მდგომარეობა და სწორი წარმოდგენა ჰქონდა საგა-  
ნების შესახებ.

ჩერნიშევსკის პუბლიცისტური ნიჭის გაშლა-განვითარება უურ-  
ნალისტისათვის მეტად აუტანელ და არახელსაყრელ პირობებში  
ხდებოდა. ამ დროს „ყველაფერზე“ შეიძლებოდა წერა, მხოლოდ აკრ-  
ძალული იყო წერა გლეხობის მდგომარეობისა და პოლიტიკური წეს-  
წყობილების შესახებ.

„სწერე, —დაცინვით ამბობდა ჩერნიშევსკი, —ვარიაგების, ბ-ნ  
პოგოდინის, მაკოლეისა და ლავროვის შესახებ“. ასეთ თემებზე წერა,  
დასაშვები იყო, მაგრამ მას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა სა-  
ზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის, პირიქით, ის ხელს უშ-  
ლიდა. აზრისა და შემოქმედების გაშლას:

ცენზურის პირობები იმდენად აუტანელი იყო, რომ ჩერნიშევს-  
კის საშუალება არ ჰქონდა ეხსენებინა თავის წერილებში ფეიერბა-  
ხის სახელი, გარკვევით ვერ იხსენიებდა ჰერცენს, ბელინსკის, ბა-  
კუნინსა და ლუი-ბლანს. რუსეთის ლიბერალების კრიტიკისათვის  
ჩერნიშევსკი მიმართავდა საფრანგეთის, იტალიისა და ავსტრიის ლი-  
ბერალიზმის კრიტიკას, რითაც მას საშუალება ეძლეოდა თავის მხრივ  
განვითარებინა აქტიური მოქმედების იდეათა პროპაგანდა.

რეაქციონერი პროფ. ლიუბიმოვი უსაყველურებდა მაშინდელ  
ცენზურას გულუბრყვილობას, რომელიც ფართო ვასაქანს აქლევდა  
ჩერნიშევსკის. ცენზურის პირობების დაცვა და ამავე დროს მეტად  
რადიკალური და რევოლუციონური მნიშვნელობის მქონე დებულე-  
ბათა წამოყენება ძნელი იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვხე-  
დათ, რომ ჩერნიშევსკი ამ სიძნელებს არ უშინდება. მიხვეულ-მო-  
ხვეული გზებით ჩერნიშევსკი ამბობს და სწერს იმის შესახებ, რაც  
საჭირობო საკითხია მიმდინარე მომენტისათვის. როდესაც „სოგ-  
რემენიკის“ მოწინააღმდეგ უურნალისტები ბრალს დებენ რედაქციას  
დემოკრატიული იდეების პროპაგანდის საქმეში, ჩერნიშევსკის პირით  
რედაქცია-უპასუხებს თავის ბრალმდებლებს: „მოიგონეთ, რომ ჩვენ  
ველურ სახელმწიფოში არ ვცხოვრობთ, სადაც შეიძლება ყველაფერი  
ითქვას. „დემოკრატიზმი!“! სად ნახეთ თქვენ ასეთი სასწაული?“ მა-  
რთლაც სად იყო სასწაული დემოკრატიზმის სახით რედაქციის, ამ

სტრიქონებს თავისი პირდაპირი მნიშვნელობით თვითმპურობელობის დაცინვის ხასიათი ჰქონდა.

ჩერნიშევსკი ყოველთვის გარკვეულად აყენებდა საკითხს სამართლიანობისაღმი სიყვარულის შესახებ, მას სწამდა, რომ: ვინც თანაბრად ყველაფერს და ყველას ეფერება, მას თავის გარდა არაფერი და არავინ არ უყავას, ვისიც ჭველა კმაყოფილია, ის კეთილს არაფერს აკეთებს, რადგანაც სიკეთე შეუძლებელია ბოროტების დამცირების გარეშე. ვინც არავის არ სძლოს, ის არავისგან არაფერს არ უნდა მოელოდეს“.

მას შემდეგ, რაც ჩერნიშევსკიმ უურნალის კრიტიკული განყოფილება ღობროლი იუბოვს გადასცა, მთელ თავის ძალ ღონეს ეკონომიკური ხასიათის საკითხების დამზადებას ანდომებდა, რადგანაც ფერდალურ მეურნეობის დანგრევასთან ერთად ისახებოდა აღამიანთა უთანასწორობის ახალი სამეურნეო ურთიერთობა.

ბურუუაზიული საზოგადოების ბუნების დასახასიათებლად ჩერნიშევსკიმ ბევრი მეტად მნიშვნელოვანი წერილი დაგვიტოვა. მათ შორის უნდა აღინიშნოს „ეკონომიური მოქმედება და კანონმდებლობა“, „შრომა და „კაპიტალი“, „იელისის მონარქია“, „„კავენიაკი“ და სხვა. ამ წერილებში ჩერნიშევსკიმ დაგვიხასიათა ბურუუაზიული ლიბერალიზმის ყალბი ბუნება, მისი უსუსურობა აბსოლუტიზმთან ბრძოლის საქმეში. პოლიტიკური ეკონომიკის საკითხებში მკითხველი საზოგადოების გათვითქმობიერების მიზნით, ჩერნიშევსკიმ საკუთარი შენიშვნებით რუსულ ენაზე სთარგმნა ჯ. ს. მიღის „პოლიტიკური ეკონომიკის საფუძვლები“ ეკონომიური ხასიათის საკითხებთან ერთად ის დაინტერესებული იყო იდეალისტური ფილოსოფიის დებულებათა კრიტიკით. ლავროვის წიგნის გარშემო ჩერნიშევსკიმ დასწერა ფილოსოფიური ხასიათის წერილი „ანთროპოლოგიური პრინციპი ფილოსოფიაში“.

1859 წლიდან ჩერნიშევსკი ხელმძღვანელობდა უურნალის პოლიტიკურ განყოფილებას. შესაძლებელია ითქვას, რომ ამ დროიდან არ იყო არცერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ხასიათის საკითხი, რომელზედაც ჩერნიშევსკის არ გაეცა თავისი მეტად ავტორიტეტი პასუხი.

1863 წელს გამოქვეყნდა ჩერნიშევსკის ცნობილი პოლიტიკური ხასიათის რომანი „რა ვქნათ“. „ღაპატიმრების შემდეგ რომ აუცილებელი არ გამხდარიყო ფულის შეგროვება, ჩემი პუბლიცისტური მოღაწეობის შეჩერების გამო, მე არ დავიწყებდი რომანების ბეჭდ-

ვას ცხოვრების 35 წლის თავზე. რუსო და გოლვინი იცდიდენ მოხუ-  
ცებამდე.—სწერდა ჩერნიშევსკი თავისი რომანის დაბეჭდვის შესახებ.

ჩერნიშევსკიმ ხსნებულ რომანში მოგვცა თავისი შეხედულება-  
ნი მორალის, მომავალი თაობის ამოცანებისა და ახალი წესწყობი-  
ლების შესახებ. ჩერნიშევსკი, როგორც ბელეტრისტი, ჩვენ არ შე-  
გვიძლია შევადაროთ ტოლსტიისა და სხვებს. ამ მხრივ, რასაკვირ-  
ველია, მისი ნაწერები სუსტია, მაგრამ თუ ავიღებთ ისეთ ტრაქტა-  
ტებს, რომელსაც სწერდენ რუსო, გოლვინი ან კიდევ ვოლტერი,  
მაშინ მისი რომანი „Что делать“ თავისი შინაარსით, სადაც მოცე-  
მულია ფილოსოფიურ-პოლიტიკურ იდეათა პროპაგანდა, აუცილებ-  
ლად დიდი მნიშვნელობის მქონეა.

რევოლუციონერი ნაროტნიკი, ყველა ზემო მოყვანილ სამუშა-  
ოთა შესრულებასთან ერთად, დიდად გატაცებული იყო ხალხური  
რევოლუციის მთახლოებით. ჯერ კიდევ 1853 წ. ჩერნიშევსკი სწერ-  
და თავის დლიურში: „ჩვენში მალე იქნება აჯანყება, და თუ ის იქ-  
ნა, მე აუცილებლად მონაწილეობას მივიღებ მასში. საეჭვოა მხო-  
ლოდ, როდის იფეთქებს ის. შესაძლებელია 10 წლის, შემდეგ, მე  
ვფიქრობ—უფრო აღრე“.

ჩერნიშევსკი არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც მოუწო-  
დებდა გლეხეაცობას აჯანყებისათვის. „არა, ჩვენი მდგომარეობა აუ-  
ტანელია,—სწერდა ჩერნიშევსკი პერკენს,—მხოლოდ ცულს შეუძლია  
ჩვენ გვიხსნას და სხვა ვერაფერი, ცულის გარდა, ვერ გვიშვილია“.  
მართლაც, რეფორმის „გატარების“ 3 წლის შემდეგ იფეთქა გლეხ-  
თა აჯანყებამ და ჩერნიშევსკი ამ აჯანყებაში მონაწილეობის მიღე-  
ბის სურვილის გამო კატორლაში გაგზავნეს.

ლიბერალური ბურჟუაზიის იდეათა გაყალბება თავისჩ რადი-  
კალური დებულებებით დაიწყო ჩერნიშევსკიმ, ეს საქმე კი კომუნის-  
ტებმა ბოლომდე მიიყვანეს, ხოლო მემარჯვენე ხალხოსნები და მენ-  
შევიკები ამ საკითხში ბურჟუაზიის წინაშე პოლიტიკურ კაპიტულია-  
ციამდე მივიღენ.

ჩერნიშევსკი არა მარტო რევოლუციონერი-დემოკრატი იყო,  
არამედ სოციალისტი-უტოპისტი, რომელსაც არ გაეგებოდა თავისი  
რევოლუციის წვრილბურჟუაზიული ხასიათი.

„ჩერნიშევსკი იყო სოციალისტ-უტოპისტი, რომელიც ოცნებო-  
ბდა სოციალიზმში გადასვლაზე ძველი, ნახევრად ფეოდალური თე-  
მის (община) გზით“<sup>1)</sup>—სწერდა ამხ. ლენინი.

<sup>1)</sup> „Ленин и Чернышевский“ გვ. 82.

ჩერნიშევსკის უტოპიზმში არ არის ის, რაც „მემკვიდრეობის“ სახით მიიღო რევოლუციონურმა მარქსიზმა რუსეთში. ამდენადვე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია სტეკლოვისა და ბერკოვას მტკიცება იმის შესახებ, ვითომც ჩერნიშევსკის იდეოლოგიაში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შეთავსებულია ნაროდნიკული და მარქსისტული იდეები.

ჩერნიშევსკი არ იყო მარქსისტი, თუმცა ზოგიერთი მისი დებულებით ამა თუ იმ საკითხზე ახლო იდგა მარქსიზმის იდეებთან; ვინც ამ საკითხში აჭარბებს, ის, ჩვენის აზრით, მარქსისტულ შეცდომას უშვებს.

დაბოლოს, შესაძლებელია გავიმეოროთ პლეხანოვის სტუვები, რაც ვინდა მოუვიდეს ჩერნიშევსკის ლიტერატურას, როგორი სისწრაფითაც ვინდა განვითარდეს ის, ჩერნიშევსკი მაინც იქნება იმათ რიცხვში, ვინც ითვლება ლიტერატურის სიამაყედ, სასახელოდ და სილამაზედ“.

და მართლაც, ის, რითაც დაიწყო ჩერნიშევსკიმ, რაც შეადგენდა მისი სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის ძირითად ამოცანას პრაქტიკულად ხორციელდება ძლევამოსილი პროლეტარული რევოლუციის შემდეგ. საკავშირო რესპუბლიკების და მთელი ქვეყნის მშრომელნიც, ვფიქრობთ, არ დაივიწყებენ ჩერნიშევსკის თავგამოდებულ ბრძოლას კაცობრიობის დაბეჩავებული ნაწილის საკეთილდღეოდ.

მ. სიხარულიძე.

## შრომის პრინციპისათვის ჩვენს მასიურ სკოლები.

ცხოვრებაში არსებისათვის ბრძოლა არის ის ძირითადი მამოძრავებელი ძალა, რომელმაც ცოცხალ არსებათა მთელი სამყარო განვითარა, დააწინაურა და მოგვცა ის ჭხლა არსებული სახით. ყოველი ცოცხალი ორგანიზმის მიზანშეწონილი მოქმედება არის შეღეგი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ბუნებრივ თუ ხელოვნურ თანდათან შერჩევისა—არსებობისათვის ბრძოლის ნიაღავებებისადია, სუსტი და ნაკლებუნაზიანი ამ ბრძოლაში მარცხდებოდა და ისპობოდა, ხოლო ძლიერი და დადებითი თვისებებით აღჭურვილი კი ინარჩუნებდა და განაგრძობდა არსებობას, სიცოცხლეს.

თვით ყოველი უჯრედის სიცოცხლეც დამოკიდებულია მისი შემადგენელი ნაწილების, ელემენტების მიზანშეწონილ მოქმედებაზე, რაც თავისთვავად მიმართულია როგორც ნაწილის, ისე მთელი ცოცხალ სხეულის კეთილმსახურობისაკენ, მისი კრულ ყოფისაკენ. აქ შრომა - მოქმედების პრიმიტიულ და მარტივ პროცესთან გვაქვს საქმე.

განვითარების შემდგომ საფეხურებში კი უბრალო უჯრედის სხვადასხვა შემადგენელი ელემენტების როლის შესრულება იწყო თანაბრძან უჯრედების მთელშა ჯგუფში; გამრავლდა უჯრედები, გართულდა მათი მოვალეობაც და ამით, ცმოველის თანდათან დასრულებასთან ერთად, ჩაეყარა საფუძველი ფუნქციონალურ დიფერენციაციას—შრომის განაწილებას. ორსებობისათვის ბრძოლაში შრომა-მოქმედების საცხოვრებო დანიშნულებანი და გამოხატულებანი, რომლებიც აუცილებელი წყარო შეიქნენ ორგანიზმის უზრუნველსაყოფად, მოდგმითან მოდგმაში მაგრადებოდენ, მტკიცდებოდენ და გადაიქცენ თანდაყოლილ თვისებად—ინსტრუქტების სახით, რომლებიც უფრო რთულ, მაღალ და სრულყოფილ ცხოველებში თანდათან იქცნენ აზროვნებად. აქ კი რაციონალიზაციაქმნილი შრომა-მოქმედების უმაღლეს ფორმასთან გვაქვს საქმე და ეს უკანასკნელი შედეგია მათთვის (განვითარებული ცხოველების) შემადგენელი ნაწილების კოლექტიურ რი მუშაობისა, რადგან მთელი სხეულის და მისი შემცველი ნაწილების სიცოცხლე სწორედ მათივე წესიერ და რაციონალურ ურთიერთანაბრძოლობაზე დამოკიდებული.

რამდენადაც სრულყოფილია ცოცხალი არსება, რამდენადაც ის გონიერია და მოხერხებული, იმდენად მას მეტი საარსებო შრომითი საშუალებანი გააჩინა და უგონიერესი ცხოველების (აღამიანის) განვითარებული აზროვნების, გამოცდილების და შრომის გაერთიანებული ძალა მიმართულია არა მხოლოდ მისი არსებობის უბრალო შენარჩუნებისაკენ, არამედ ამ არსებობისაფავის ბრძოლაში საუკეთესო საშუალებათა შექმნისაკენ.

ზემოთქმული აზრის გაშლა სქემატურად ასე შეიძლება: ცხოვრება, ბრძოლა ცხოვრებისათვის (არსებობისათვის) და შრომა-მოქმედება, როგორც იარაღი ამ ცხოვრებაში (არსებობისათვის ბრძოლა-ში); ეს ბრძოლა-მოქმედება სამი ხაზითაა მიმართული ინდივიდუუმის დაცვისაკენ: 1—საკვები მასალის მოპოება (ნადირობა, თევზაობა, სხვადასხვაგვარი მუშაობა მეურნეობაში, წარმოებაში—საკვები მასალის შექმნის მიზნით), 2—არსებობისათვის საუკეთესო საშუალებათა შექმნა (ბინა, მოწყობილობა, ტანისამოსი, შრომის იარაღები, ე. უ.

ტექნიკა და ხელოვნება, კოლექტიურ ურთიერთობათა შექმნა და სხ.) და 3—შთამომავლობაზე ზრუნვა, მისი დაცვა (ზრუნვა და დაცვა შთამომავლობისა, მოვლა და მისი ელემენტარული აღზრდა, საუკეთესო სწავლა-აღზრდის სისტემის შექმნით საჭირო მეცნიერებით მისი შეიარაღება).

ერთი სიტყვით, ადამიანი თავის ცხოვრებაში მხოლოდ შრომა-მოქმედების მეოხებით ქმნის კვების, ზრდა-განვითარების და გამრავლების საშუალებებს და შრომა-მოქმედების აუცილებლობა ნაკარნახევია თვით ცხოვრებისაგან სიცოცხლის დასაბამიდანვე. შრომა-მოქმედების საშუალებით ადამიანი თანდათან იმორჩილებს და იპყრობს ბუნებას, მისი წიაღიდან მეტ სიმდიდრეს იღებს, ყოველგვარ დოკუმენტს ჰქმნის და ცხოვრების კეთილ მოწყობა-მოწესრიგებას ახერხებს. ადამიანი სწორედ შრომითვე ანვითარებდა და ანვითარებს თავის ფიზიკურ და სულიერ ბუნებასაც. ასე რომ შრომა-მოქმედება არის ის მთავარი წერტი, ომლის გარშემო შესაძლებელი ხდება მოწესრიგდეს, გამომუშავდეს ცოცხალი არსების ყოველგვარი რეაქცია გარემოს მიმართ. გასაგებია, თუ რატომ ითვლება შრომის სკოლების იდეოლოგების, დიდი გამოჩენილი რეფლექსოლოგების და მოწინავე ხელმძღვანელი პედაგოგების მიერ შრომა-მოქმედება ბუნებრივ გზად და საშუალებად ყოველ ცოცხალ არსებათა, ადამიანთა და ვანსაკუთრებით მოზარული თაობის აღზრდა-განათლების საქმეში, თუ რატომ შეაჩნიათ ის საუკეთესო მეთოდად ბავშის დადებით-პროგნოზით რეფლექსთა კომპლექსების დაგროვება - გამომუშავებისათვის, მისი ცხოვრებაში ყოველმხრივ მომზადებისათვის.

ჩვენს მასიურ შრომის სკოლებში „შრომის“ პრინციპი უდაოდ უნდა იქნეს მიღებული. ინდივიდუუმის (ამ შემთხვევაში სკოლის ბავშის) რიგიანი მომხადება უნდა ხდებოდეს შრომა-მოქმედების საფუძველზე და უნდა ეხებოდეს შემდეგ არსებით მომენტებს: 1) შრომის ტექნიკის სწავლებას, 2) პოლიტექნიკური ან პროფესიონალური ცოდნა-განათლების მიწოდებას, შაშასაღამე, მეცნიერებებთან დაახლოვებას (გარემოს მთლიანი ზოგადი შემეცნება) და 3) კოლექტიური შრომის უნარის, დადებითი ყოფა-ცხოვრების და საღი მსოფლეოდების გამომუშავებას. ამჟამად განზოგადოებული შრომა იქნება ჩვენს საბჭოთა შრომის სკოლაში სწავლების საგანი და მიზანი და, რაც მთავარია, აღზრდა-განათლების მეთოდიც.

საჭიროა აქ დიდი დაფიქრება და თეორიულ-მეცნიერული გაგება სასკოლო შრომის პრინციპის, მისი მიზანშეწონილობის და საფუძვლიანობის, რომ ამით იქნეს განდევნილი და აცილებული ყალ-

ბი, სრულია ბუნდოვანი და ან ცალმხრივი მისი გაგება ჩვენი სკოლის მთლიანი მუშაობის სისტემიდან. ამისათვის საჭიროა, პირველად ყოვლისა, შრომის რაობის წარმოდგენა, როგორც ცნების, რომ სასკოლო შრომასაც გასაღები მოვუძებნოთ. რა არის შრომა? ის ჩვეულებრივად ასე განისაზღვრება: „შრომა არის ყოველი ენერგიის დახარჯვა აღამიანის მიერ, რომელსაც მიზნად აქვს განსაზღრულ მატერიალურ პირობათა და იარაღთა საშუალებით გადაამუშაოს განსაზღრული საგანი, მასალა ამა თუ იმ პროცესტად, საქონლად, რომელიც აქმაყოფილებს აღამიანის ამა თუ იმ მოთხოვნილებას“. ასეთია მარქსისტული და წმინდა ეკონომიური, მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, უხევი კაპიტალისტური თვალსაზრისით მისი (შრომის) გაგება. ამ შემთხვევაში მოზრდილთა, — კვალიფიციური. მწარმოებლის, — წმინდა მექანიზაცია. და ავტომატიზაცია ქმნილ სკეციალურ შრომასთან გვაქვს საქმე, სადაც შემეცნებით-შემოქმედებით მომენტებს ნაკლებად აქვს აფგილი დათმობილი და რომელიც მხოლოდ და მხოლოდ რეალური ღირებულების და რაიმე განსაზღვრული მატერიალური სახსრის და დოვლათის შექმნისაკენაა მიმართული. სასკოლო შრომას კი წარმოებითი შრომის უტილიტარულ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება როდი აქვს სახეში, არამედ მის (შრომის) მეოხებით, უპირველეს ყოვლისა, ბავშის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი მხარეების და ყოველგვარი შემოქმედებითი ძალების განვითარება, ასე რომ ზემოხსენებული თვალსაზრისით მომარჯვებული პედაგოგიურ-მეთოდური მიზანდასახულობისათვის არავითარ ღირებულებს არ წარმოადგენს.

სასკოლო შრომის თვალსაზრისი მოცემულია შრომის შეორევარ განსაზღვრაში, მარქსისტულ-დიალექტიური კონცეპციით და განძარტებული შემდეგნაირად: „შრომა არის აღამიანის და ბუნების ურთიერთობის პროცესი, რომელიც მიმართულია აღამიანის მიერ ბუნების დამორჩილებისაკენ და სადაც აღამიანი ხელების, ფეხების და თავის საშუალებით ცვლილებას ახდენს. როგორც ბუნებაზე, ისე თავის თავზე“. ამგვარი თვალსაზრისით სკოლაში შეტანილი შრომა უზრუნველყოფს ბავშის განვითარება-აღზრდას. „შრომა ხელით, ფეხით, თავით და ცვლილების მოხდენა როგორც ბუნებაზე, აგრეთვე თავის თავზე“ — ბავშის ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი მხარეების მთლიანი ჩამოყალიბების სრული თავდებია. აქედან ნათელია, რომ შრომა-მოქმედება სკოლიში ნივთიერი საგანძუროს შექმნით კი არაა დაინტერესებული (საგანი, საქონელი, ნივთი, სხვადასხვა სახის პროცესი...), არამედ უმთავრესად მთელი სამყაროს შემო-

ქმედებითი, მოძრავი გაცნობით, გარემო სინამდვილის ყველა ფაქტის, მოვლენების, საგნის შესწავლა-შემეცნებით, ე. ი. იდეური და მასთან მორალური ღირებულების შექმნით, თავის „მე“-ს გარდაქმნით.

ბავში მთელი თავისი არსებით უმეცარია და გაურკვეველია ბუნებრივ თუ საზოგადოებრივ გარემოში და ის მოზრდილი აღამიანისაგან განსხვავდება არა მარტივ ოაოდენობის მხრივ, არამედ თვისების მხრივაც. მაშასადამე, ბავში რომ გამოვიყვანოთ მისთვის უმეტევეო, მაგრამ გაუგებარი და აუსწეველი სამყაროსაგან და კარგი ხელმძღვანელობის საშუალებით რომ შევიყენოთ მოზრდილ აღამიანთა კულტურულ სამეფოში, ბავშის შრომა მიმართული უნდა იყოს გარემოდან. მასალის არა მხოლოდ უბრალო და გარეგანი სახით მიღებისაკენ, ან ამ მასალის მხოლოდ ტექნიკური გადამუშავებისაკენ, არამედ მისი შეთვისებისაკენ, შემეცნებისაკენ, რომ ამით მიაღწიოს აღზრდის შესაფერ დონეს, მიიღოს და შეიძინოს ცონდა-გამოცდილების განსაზღვრული მარაგი.

შრომა, შეტანილი სკოლაში მეცნიერული დისციპლინების (საგნის, მოვლენების...) შესწავლის თვალსაზრისის გარეშე, წარმოებისა და სახალხო მეურნეობის დარგების ცოდნასთან დაუკავშირებლად, მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებული თვითშახურებითი შრომის გარეშე — უაზრო არის, — პირიქით, სასკოლო შრომა. მიმართულია ცოდნისაკენ, აღზრდისაკენ, რაც მის პირდაპირ და პირველ დანიშნულებას შეადგენს; საჭიროა შრომა ცოდნასთან დაკავშირებით, ე. ი. შრომის გარეგან გამოხატულებასთან (ფიზიკური შრომა, „შრომა ხელით, ფეხით“, საჭიროა აგრეთვე შრომის შინაგანი გამოხატულებაც (გონებრივი შრომა, „თავით შრომა“), რომ გავხადოთ ბავში ერთსადაიმავე დროს კარგი, ენერგიული მუშა და სალი, მტკიცე მოაზროვნებელოვანი, შემოქმედი; სხვანაირი აღზრდა მოგვცემს ან უვარების მონა-მუშას, ხელოსანს, ან და განყენებულ, სკოლასტიკოს მოაზროვნეს.

ბავშის აღზრდა-განათლება ის პროცესია, რომელსაც საბოლოო მიზნად აქვს დასახული გახდოს თანამედროვე სოციალისტური საზოგადოების ლიტერატურული წევრი, აღმშენებელი, ამისათვის კი პირველად ის უნდა დაემყაროს იმ დასაბამ პუნქტს, რომელიც ბავში გააჩნია და რომელიც მასში მოცემულია და სწორედ შრომის. სკოლის კარიღინალური საკიდხი და მთავარი ამოცანაა წარმართოს ეს მოცემულებანი განვითარებისაკენ, რომ ამით ბავში თანდათან შეიკვანოს რეალურ ქვეყანაში შეგნებულად და კეშმარიტი შემცნებით

სუროვნებით, შემოქმედების უნარიანობით გახადოს იგი თანამედროვე მალილი, განვითარებული მატერიალური და სულიერი კულტურის და მისი სოციალისტური სულისთვების პატრონი და ჩააბას ამ მხრივ აქტიურად თანდათან აღმშენებლობითს ყველა წამოწყებაში. ყველა ეს ხდება ცხოვრების ვზით და შრომითი ურთიერთობით ამ გზასთან დაკავშირებით, აյ რომ ბაეში იმთავითევ უნდა იქნეს დაკავშირებული საზოგადოებრივ-აუცილებელ პრაქტიკულ საქმეებთან, მაგრამ ვიდრე ის გაურკვეველია, უფიცია და სუსტია, ვიდრე მონაწილეობის მიღების მეოხებით სწავლობს, იზრდება, მანამ „მონაწილეობაშიც“ და „შესწავლაშიც“ უნდა იქნეს ბაეშის შიმართ დაცული თანდათან ნობა—მარტივი და მისთვის დასაძლევი საქმეებიდან უფრო როულ საქმეებზე გადასვლა, უნდა იქნეს შერჩეული დიდაქტიკური შესაძლა და მის გაორმოსადმი მონაწილეობის პროცესში კი ყოველთვის და ყოველგან უნდა სჭარბობდეს შეგნებითი აქტები—შემოქმედება, ნაცვლაუ მექანიკური შრომისა. მწარმოებელი მექანიკური შრომისა და სკოლის სააღმზრდელო-საგანმანათლებლო შრომის პრინციპებსა და ძირითად მიზნებში დიდი განსხვავებაა და ბაეშის (სკოლის) შრომა ყოველი მისი დეტალიზაციის დროს ვერ დაემოხვევა მოზრდილთა შრომას: აი რა უნდა ახსოვდეს საბჭოთა სკოლის, ზოგადი განათლების შრომის სკოლის ხელმძღვანელ-მასწავლებელს, როდესაც ის შრომის პრინციპს ანზორციელებს სკოლის კონკრეტულ პირობებში, რა- საცჟემდეგ წერილებში შევეხები.

ბიქტორ დიდოშვილი.

## რათომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა კართულში?

ქართულს კრატიკებში ამჟამად ტრადიციულია ბრუნვათა შემდეგი თანამიმდევრობა: სახელობითი, ნათესაობითი, მიცემითი, მოთხოვნითი, მოქმედებით, ვნებითი და წოდებითი; რუსულში კიდევ— იმენიტენი, როდიტენი, დატენი, ვინიტენი, თვორიტენი, პრედპიჯენი, ჰერორენი, ანუ რუსულში შექმნილა ასეთი რიგი; ბრუნვათა სახელწოდებანიც, ბრუნვათა ასეთი დალაგებაც ბერძნულმა ფილოლოგიურმა გრამატიკამ შემოიტანა ენათმეცნიერებაში; დიონისი თრაკიელის „ტექნე გრამატიკე“-ში (მეორე საუკუნეში ქრისტეს წინ)

უკვე არის ყველა ბრუნვები (მოქმედებითისა და ენებითის გარდა) <sup>1)</sup>; ბერძნული სახელწოდებანი ითარგმნა ლათინურად, ლათინურიდან — რუსულად; ბრუნვათა რიგიც დარჩა უცვლელი. ქართული თუ რუსულს მისდევს, რუსული ბერძნულ-ლათინურის უკუფენაა. და განა მარტო რუსული? სხვა ევროპულ ენათა გრამატიკებიც, რამდენადაც ეს ბრუნვები გააჩნიათ... ისტორიას რომ მივყვეთ, იმასაც გვეტყვიან, რომ ბერძნულმა გრამატიკამ პირველი ოთხი ბრუნვის სახელწოდებაცა და რიგიც ბერძნული ფილოსოფიისაგან მიიღო მემკვიდრეობად: პირდაპირი (სახელმისამართი), ნათესაობითი, მიცემითი, ბრალდებითი — სტოელებმა. შექმნეს და ეს ტერმინები შერჩა გრამატიკას იმ დროთა მოსაგონჩად, როცა მის ცნებათა გამომუშავებაში ფილოსოფია აქტიურ გონიშილობას იღებდა. მას აქეთ ოცუაერთმა საუკუნემ განვლო და მაინც ტრადიციის ლოცვა-კურთხევა გზას უნათებს სტოელ ფილოსოფისთა ტერმინებსა და პირველადვე განწესებულს მათს თანამიმდევრობას.

— ბრუნვათა ეს თანამიმდევრობა უვარევისია ქართულისთვის, რადგანაც: 1) ხელს გვიშლის სწორი წარმოდგენა გამოვიმუშაოთ ბრუნვათა შედგენილობის თავისებურებათა შესახებ ქართულში და 2) არ ეგუება ქართული კანკლედობის პროცესს.

1. ქართულსა (და, საერთოდ, ქართველურ ენებს) აო გააჩნია ბრალდებითი ბრუნვა (виннителъный, accusativus); შევადაროთ: უченик читает книгу (ბრალდებ. ბრ.) = მოწაფე კითხულობს წიგნს (მიცემ. ბრ.); უченик прочел книгу (ბრალდებ. ბრ.) = მოწაფებ წაიკითხა წიგნი (სახელმ. ბრ.). რუსული კнигу-ს გადმოსაცემად ხან მიცემითი მოვიშველიერ, ხან სახელმისამართი (და არა ბრალდებითი). რატომ? იმიტომ, რომ ბრალდებითი არა გვაქვს. ეს წემთხვევითი არ არის: ბრალდებითის ბრუნვის უქონლობა მომდინარეობს ქართული ენის ბუნებიდან, ამ კერძოობითს ფაქტში მოხანს ქართული ზმნისა და ქართული მეტყველების აგებულების სხვაგვარობა; ამიტომაც ამათ იყო ანტონ კათალიკოზის (და მის მიმდევართა) ცდა ბრალდებითი ბრუნვა აღმოეჩინა (თუ დაენერგა) ქართულში: „ენა არ ლებულობს წესებს, იგი თვით იძლევა მათ“.

ქართულისა (და, საერთოდ, ქართველური ენების) მეორე, დიდმიშვნელოვანი თავისებური მოვლენაა მოთხრობითი ბრუნვა: უченик читает = მოწაფე კითხულობს; უченик прочел = მოწაფებ წაიკითხა;

<sup>1)</sup> ეს ტერმინები ბერძნულის მიხედვით ვერ შეიქმნებოდა: სათანადო ბრუნვები ბერძნულს არა აქვს.

რუსულში ორსავე შემთხვევაში ყოველი არის, სახელობითია; ქართულში—ერთგან სახელობითი, მეორევან—მოთხრობრთი: ჩვენი მოთხრობითის შესატყვისად რუსული ისევ სახელობითს ხმარობს, რადგანაც არც რუსულში, არც სხვა რომელსამე ევროპულს ენაში ჩვენი. მოთხრობითის მაგვარი არაფერი მოიპოვა.

რა გამოვიდა? რუსულის ბრუნვებთან შედარებით ქართულს აკლია ბრალდებითი და მეტი აქვს მოთხრობითი. რუსულ ბრუნვათა სქემა რომ ქართულში გადმოვიტანოთ, ბრალდებითის აღგილი ცარიელი დაგვრჩება, სამაგიროდ უადგილოდ გვრჩება მოთხრობითი: უბინათ მოთხრობითს გრამატიკოსმა ბრალდებითის თავისუფალი ადგილი მიუჩინა, ქართული მოთხრობითი რუსულისა (და ევროპულ ენების) ბრალდებითის ადგილას დაბინადრდა! ეგების ეს კარგი იყოს, ეგების ამ „ზედმეტმა“ მოთხრობითმა აგვინაზლაუროს ბრალდებითის უქონლობა,—გასწიოს მცირება? საქმეც ის არის, რომ არა: ბრალდებითის მოვალეობა შეიძლება დაეკისროს ქართულში მხოლოდ მიცემითსა და სახელობითს, არავითარს შემთხვევაში მოთხრობითს (ეს ჩვენ უკვე ვნახეთ ზევით!), და პირიქით: ის როლი, რომელიც ქართულში მოთხრობითს განეუფორნება, რუსული ბრალდებითისათვის. სრულიად შეუფერებელია: მოთხრობითი მუდამ იღნიშნავს მოქმედს, აქტიურს (ზმნის თვალსაზრისით, ე. წ. მორფოლოგიურს სუბიექტს), ბრალდებითი კი რუსულში—უმოქმედოს, პასიურს,—სხვის მოქმედების ობიექტს. ერთის სიტყვით, მოთხრობითი და ბრალდებითი ისეთსავე ურთიერთობაში იმყოფება ერთმანეთთან; როგორც, ვთქვათ, რუსულში ქვემდებარე და დამატება. ცხადია, ერთმანეთის მაგივრობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება.

ასეთს პირობებში რუსული ბრალდებითის ადგილას მოთხრობითის მოთავსება შეუწყნარებელია: 1) ამან შეიძლება შეცდომაში ‚შეგვიყვანოს და გვაფიქრებინოს, თითქოს ქართული მოთხრობითი რუსულის (და ევროპულ ენების) ბრალდებითი იყოს. ეს შიში უსაფუძვლო არ არის: ასეთი შეცომა მოუვიდა, მაგალ. ერთს ქართველს, გრამატიკის ავტორს (დასახელება არ არის საჭირო!). და ვინ იკისრებს თავდებობას იმისთვის, რომ ასეთი შეცომისაგან დაზღვეულია ჩვეულებრივი მასწავლებელი, არა ვრამატიკოსი. მაგრამ ასეთ ღილუბებასაც რომ გადავრჩეთ, ის ხომ ეჭვს გარეშეა, რომ მოთხრობითის მოთავსება ბრალდებითის შემდეგ სრულიად უჩინარს ხდის ორს კარდინალურს ფაქტს: რომ გვაკლია ჩვეულებრივი ბრუნვა—ბრალდებითი, და გვაჭვს სპეციფიკური ბრუნვა—მოთხრობითი.

ამ ფაქტებს კი განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს არა მარტო იშიტომ, რომ მათშია მოცემული ქართული კანკლელობის სპეციფიურობა, არამედ იმიტომაც, რომ მათ შესახებ სწორმა შეხედულებამ დიდის გაჭირვებით გაიკაფა გზა ჩვენს გრამატიკულს ლიტერატურაში: მოთხრობითი არ შიაჩნდათ ბრუნვად, მას კანონიერ უფლებებს ართოვდებოდნ; ბრალდებითს კი უკანონოდ ენიჭებოდა ბრუნვის უფლებები და ეთმობოდა ბრუნვათა რიგში ადგილი. და მერე რა ტაქმ? უმთავრესად იმიტომ, რომ ხელმძღვანელობდენ არა ქართული ენს სინამდვილით, არაერთ უცხო ენათა საგრამტიკო ნორმებით, ამ ენებში კი ბრალდებითი ბრუნვა აუცილებელი იყო, მოთხრობითის ტოლი და მსგავსი კი არ შიაბოებოდა.

ორთოდე ცნობა ამ ბრუნვათა ისტორიიდან. არც მაჯიოს, ჩო ზელსაც ეკუთვნის უცხო ენაზე დაწერილი პირველი გრამატიკა ქართული ენისა (1646 წ.), არც ფატერს (1820 წ.), არც შანშოვანს, ქართულად დაწერილი პირველი გრამატიკის (1737 წ.) ავტორს, არა აქვს მოთხრობითი; ეს ბრუნვა, როგორც ჩანს, პირველიც ანტონ კათალიკოზმა შეიტანა ქართულ კანკლელობაში (1767 წ.); შემდეგ სხვა ბრუნვათა შორის მოთხრობითი მოხსენებული აქვს ყველა იმ გრამატიკოსებს, რომელნიც ანტონის გრამატიკის ნიადაგზე იდგენ, სახელდობრ გაიოზს (1789 წ.), ვარლამ არქიეპისკოპოზის (1802 წ.) ფირალოვს (1820 წ.), სოლ. დოლაშვილს (1830 წ.) და კლაპაოტას (1837 წ.); ვარლამ არქიეპისკოპოზი ამ ბრუნვას უწოდებს — „ცლა- ხა სამენიტელისა“-ს (მისი გრამატიკა რუსულად არის დაწერილი) კლაპროტი კი demonstratif'ს (ფრანგ.). ანტონის ავტორიტეტია თით-ქოს დაამკიდრა მოთხრობითი სხვა ბრუნვათა შორის, მაგრამ მას წინააღმდეგ ამხელრდა აკად. მარი ბროსე: „მოთხრობითი არ პრის ცალკე ბრუნვა, მათი რომ ნაწევარი-შეაზღვრელი, რომელიც მას დაერთვის, — მან — (კაც-მან), ემატებ; ორივე რიცხვის ყველა ბრუნ- ვასა“-ო (?), — (ჭრით: ენის თვომასწავლ. პარიზი, 1834 წ., გვ. 43.)

ამავე აზრს იმეორებს დავით ჩუბინაშვილი: 1) „მოთხრობითი ბრუნვა იგივე სახელობითია მანის მიმატებით; მოთხრობითი ბრუ- გებს კითხვაზე „ვინ?“. ისევე როგორც სახელობითი; 2) ვერც ერთს ენა- ში ცერ ვიპოვით მაგალითს, რომ ორი სხვადასხვა ბრუნვა ერთისა და იმავე კითხვით ამოიცნობოდეს; 3) ეს მან (კაც-მან) არ ირის დაბო- ლოება ნათესაობითის ისა-ს, მიცემითის სა-ს მსგავსი; არამედ ნაც- ვალსახელია მესამე პირისა, რომც იქიდან ჩანს, რომ სახელთა ბო- ლოში იგი იკანკლედების: დავით მან, დავითისა მის, დავითისა მას...“ (იხ. ცაგარელი, А.: Свед. о памятн. груз. письмен. т. I, вып. III,

СПБ. 1894 წ. გვ. 82-3.). დ. ჩუბინაშვილის ეს არგუმენტები წარმოდგენილია მის პასუხში რეცენზიენტებს „სახელმძღვანელოთა შემდგენელ კომიტეტიდან“; ამ კომიტეტის ქართულ განყოფილებას თავმჯდომარეობდა დიმიტრი ყიფიანი, წევრად, სხვათა შორის, პლატ. იოსელიანიც ყოფილა. ერთიცა და მეორეც მოთხრობითს იცავდა; რეცენზია, როგორც ჩანს, დიმ. ყიფიანს ეკუთვნოდა; მან მშევრივრად შენიშნა თავის რეცენზიაში: „მოთხრობითი მართლაც მან-ს დაირთავს, მაგრამ რალა ეს - მან, თუ არ მოთხრობითი ბრუნვა ნაცვალსაა. იგი - სა?“ (იქვ. გვ. 60). სამწუხაროდ, ასევე სწორი არ არის მისი არგუმენტიციის სხვა ნაწილები.

ყოველს შემთხვევაში, რეცენზიაზე პასუხის მიღების შემდეგაც დიმ. ყიუიანი ენერგიულად იცავდა ამ ბრუნვას; მან საგანგებო მოხსენება მიართვა ოლქის მხრუნველ ა. ნიკოლაი. ს. სადაც მოთხრობითი ბრუნვის შესახებ ვრცლად მსჯელობს და სხვათა შორის ამბობს: „ააააა. მ. ბროსეს მეცნიერულ შემოქამათებისდა მიუხედავად მოთხრობითს ბრუნვას მე ვთვლი ყოველ ქართველთან ერთად ჩვენი ენის უდავო კუთვნილებად და ჩვენი მეტყველების გარკვეულობის უცილბელ პირობად“ (იქვე, გვ. 97). დ. ჩუბინაშვილი არ ეთანხმება ჩვენს შეხედულებას — განაგრძობს დ. ყიფიანი, — მას მხარს უჭირს ბროსე, რომლის გაფლენასაც მიეწერება მოთხრობითის ამოშლა ბრუნვათა რიცხვიდან; ბროსეს აზრს იზიარებს სამეცნიერო აკადემია, მაგრამ დ. ჩუბინაშვილის გრამატიკა აქაურ სკოლებში სახელმძღვანელოდ უნდა იქნეს ნახმარი; ასეთ პირობებში შეუწყნარებელია არ იყოს ეს ბრუნვა შეტანილი გრამატიკაში; აქ ბავშვი ივალწინ დაუწყებენ დაცინვას მასწავლებელს, თუ მან მოთხოვა სახელმძღვანელო ბრუნვას მოთხრობითის ნაცვლად; სოფლელი სასაცილოდ გახდის მოხელეს, რომელიც მასთან ლაპარაკში სახელმძღვანელო იხმარს მოთხრობითის ნაცვლად, ხოლო სასამართლოს პრაქტიკაში ამ წესის გამოყენებას შეუძლაა მოგვიტანოს სჩულიად არა სასაცილო შედეგები“ (იქვე, გვ. 99). ილუსტრაციისათვის დიმ. ყიფიანს მოყავს ოქმი, შედგენილი მკვლელობის თაობაზე მოთხრობითის ნაცვლად სახელმძღვანელო ბრუნვას დასრულებს: აბა ვინ გაიგებდა, ასეთი ოქმი რომ დაიწეროს, ვინ ვინ მოკლაო.

დიმ. ყიუიანი ასე დაასკვნის: „ქართული გრამატიკა, რომელიც ამ ბრუნვას გამორიცხავს კანკლედობიდან, არ შეიძლება და არ უნდა იქნეს მიჩნეული აქაურ სასწავლებელში სახმარებლადო“ (გვ. 100). „შესაძლოა, გრამატიკის ფილოსოფიის მიხედვით ეს სადაც ბრუნვა არსად არ უნდა არსებობდეს, მაგრამ ჩვენ ქართველები უზისოდ

ერთმანეთისას ცერას გავიგებთ“ და ამიტომ დაბეჯითებით უნდა ვთხოვოთ დ. ჩუბინაშვილს უთუოდ შეიტანოს მოთხრობითი ბრუნვა-თა ოცხეში“-ი (იქვე, გვ. 101)...

დ. ჩუბინაშვილმა თავის გრამატიკაში მართლაც შეიტანა მოთხრობითი, შეიტანა თავის აღვილას, სახელმძინარეო შემდეგ... მას შემდეგ მოთხრობითის უფლებები არ დარღვეულა, ორონდ შემდეგშა. გრამატიკოსებმა პ. კვიცარიძემ (1888 წ.), ქუთათელაძემ (1889 წ.) და ს. ხუნდაძემ (1907 წ.) პლატონ იოსელიანის მსგავსად გადასვეს ეს ბრუნვა და მიცემითის შემდეგ ბრალდებითის აღვილი განუკუთვნეს ყოველგვარ ახსნა-განმარტებათა გარეშე. ვინ იფიქრებდა, რომ მოთხრობითისთვის, ამ სპეციფიკური ქართული ბრუნვისათვის, ქართულს გრამატიკაში აღვილის დათმობას ამდენი ბრძოლა დაჭირდებოდა? ვინ წარმოიდგენდა, რომ შესაძლებელი იყო ქართველს, ისიც გრამატიკოსს, დაეწერა: (ესა და ეს წიგნი, — ვეფხის-ტყაოსანი, — ზავანსა და მავანს) პატივისცემის ნიშნად შეესწირეთ ჩვენ, დამბეჭდველ-ნი ბრძოსეტ, ფალავანდიშვილი, ჩუბინოვი“ (იქვე, გვ. 59)?!

ამდენი ბრძოლა არავის გაუმართავს ბრალდებითი ბრუნვის გამოსარიცხავად; არც მისი შემოტანა დაუსაბუთებია ფისმე; იყო ეს ბრუნვა სხვა ენებში, შემოიღეს ქართულშიც; არა მარტო უცხოელები (მაჯიო, ფატერი, კლაპროტი, ბროსე) ხმარობდენ ქართულში. ბრალდებითს, არამედ თვით ქართველებიც, დაწყებული ანტონიდან: გადოზი, ვარლაშ არქიეპისკოპოსი, ს. დოდაშვილი, ფირალოვი, ვიდრე პლატონ იოსელიანამდე. პლატონ იოსელიანმა თავის 1840 წელს გამოსულს გრამატიკაში ბრალდებითი „უქმალ“ გამოაცხადა, რალგანაც „ყოვლად არს მცსეასი სახელმძინარეოსა“-ი; ასეთივე ახრისა უნდა ყოფილიყო დავ. ჩუბინაშვილი, რომელმაც აგოეთვე არ შეიტანა. ეს ბრუნვა თავის გრამატიკაში: პლ. იოსელიანის ხაზს მიყვებიან, როგორც ჩანს, კვიცარიძე, ქუთათელაძე, ს. ხუნდაძე, ი. ნიკოლაიშვილი: ბრალდებითი არც ერთს მათგანს არა აქვს. არც დიმ. ყიფიანი თვლის. ამ ბრუნვას საჭიროდ, მაგრამ მეტად თავისებურ რასაზრებათა გამო, მისი საბუთები იმდენად საინტერესოა ჩვენ ძველ გრამატიკოსთა საენათმეცნიერო აზროვნების დასახასიათებლად, რომ არ შეგვიძლია არ მოვიყვანოთ სათანადო აღვილი მთლიანად: „შემასმენლობითი-არის პირდაპირი თარვმანი ლათინურისა accusativus, ორგორც რუსული. ვინითება და პნიშნავს „ბრალდებულებას“, — „დაწამებას“, „შესმენას“, „შემასმენლობას“; ქართულს ენაში ამ ბრუნვას სრულებით არა აქვს აღვილი; — ახლა შეიძლება აქა-იქა იპოვებოდეს ისეთი კაცი, რომ იმის დასახელებით სიტყვა. ვამიმტყუნონ! მაგრამ თვითან მე

მახსოვეს ის დრო, როდესაც მოყვასის გაკემა, დაბეზლება, დასმენა, ისეთი სათაკილო საქმე იყო ქართველებში, როგორც, მაგალითად, ქურდობა, — და შემასმენლობითი ბრუნვა რაღად გვექნებოდა (ხაზი ჩვენია—ა. ჩ.); ამას გარდა—ყოველს შემთხვევაში თითონ საკითხავიც პირველი ბრუნვის სახის მექონია და პასუხიცა... (იხ. ახალი ქართული გრამმატიკა, ს. პეტერბურლი, 1882 წ., გვ. 22).

ასე მსჯელობს ისეთი დიდ ნიჭიერი მოაზროვნე, როგორიც დიმ. ყიფიანი იყო. სხვას რაღა მოეთხოვებოდა?! დასმენა სათაკილოა და შემასმენლობითი ბრუნვა როგორაც უნდა დავტოვოთ გრამატიკაში?! ანდა: სახელობითს გავს და იძიტომ ზედმეტია! მაშ, ბრუნვა არის, მხოლოდ სახელობითს არის დამსგავსებული! ასეთი საბუთის მიხედვით ბრალდებითის გამორიცხვა. რა თქმა უნდა, დაუსაბუთებელია, შემთხვევითის ხასიათს ატარებს. ამიტომ გასაკვირიც არ არის, თუ პლ. იოსელიანის, დ. ჩუბინაშვილის, დიმ. ყიფიანის შემდეგ თელო ფორდანის მაინც შეაქვს ბრალდებითი (შესმენილობითი) თავის გრამატიკაში.

ეს 1889 წელს იყო. იქნებ შემდეგ მაინც არავის მოგონებია ეს ბრუნვა? როგორც ჩანს, არა: 1920 წ. არის გამოცემული „ქართული პრაქტიკული გრამატიკა“ მელ. კელლენჯერიძისა; მის წინასიტყვაობაში წერია: ქართულ ძველ გრამატიკებში ბრუნვათა შორის შემასმენლობითიც ურევია. ახალი გრამატიკებიდან ეს ბრუნვა ფაქტიურად გააძვევეს, საბუთი გაძვევებისა კი—ჯერ არაფერია (ხაზი ჩვენია—ა. ჩ.)... ჩვენც უსამართლოდ და გაუქემდობით გაძვევებული შემასმენლობითი ბრუნვა აღვადგინეთ და მივიღეთ შეიღის მაგიერ რვა ბრუნვა“. არსებითად ავტორის ამ დებულების განხილვა საჭირო არ არის: თვით ავტორმა თავის წიგნის მეორე გამოცემაში (1925 წ.) ეს აღდგენილი ბრუნვა „გააძვევა“ და სრულიად სამართლიანადაც. პირველი გამოცემის წინასიტყვაობის ეს აღდგილი კი მაინც მნიშვნელოვანია; ის ცხადყოფს, რომ ჯერ კიდევ ბუნდოვანია ბრალდებითის საკითხი, არ არის გათვალისწინებული, რომ ქართული მთელი თავისი არსებით გამორიცხავს ამ ბრუნვის შესაძლებლობას. ამიტომაც შემთხვევითს ხასიათს ატარებს მისი გამორიცხვაც და მისი აღდგენაც... ამრიგად, უცხო ენათა გრამატიკულ შაბლონებს მიჩვეული ბევრი. ქართველი ინტელიგენტი დღესაც ვერ ამჩენეს, როგორი თავისებურია ქართული კანკლებობა, მოთხრობითის მქონე და ბრალდებითის არა მქონე.

ამიტომაც: ბრუნვათა ყოველი დალაგება, თუკი მოთხრობით ბრალდებითის აღგილი უჭირავს, უფარგისა და შეუწყნარებელი.

მოთხრობითი უნდა დაიძრას თავისი ფრაზიციული აღგილიდან და დაისვას იმ აღგილას, რომელიც მას შეეფერება, სახელ-

ღობრ, სახელობითის მეზობლობაში; მოთხრობითი სახელობითის ქმაა, ისტორიულად მანე უფროსი, უფრო ადრე ჩამოყალიბებული; ისტორიულის თვალსაზრისით ეს არის „პირველი სახელობითი”; თუ სახელობითის წინ არა, სახელობითის უშალო მეზობლობაში მანიც უნდა იქნეს იგი დასმული. ამისდა კვალობაზე რიგის დასაწყისი ასე-თი უნდა იყოს: 1. სახელობითი, 2. მოთხრობითი...

რაც შეეხება სხვა ბრუნვებს, თამამად შეიძლებოდა ტრადიციული თანამიმდევრობა დაგვეტოვებინა, ყველა სახელი რომ „ფუძე-უკუმშველი“ იყოს; ე. ი. ისე იკანკლედებოდეს, როგორც, მაგალ, ჟაცი: კაცი, კაცმა, კაცის, კაცს, კაცით, კაცად, (კაცო!). მდგომარეობას არ შეცვლილა ის შემთხვევებიც. როდესაც ფუძე ყველა ბრუნვებში „შეკუმშულია“: კედლები, კედლებმა, კედლების, კედლებს, კედლებით, კედლებად, კედლებო! მაგრამ სხვა ვთარებას ქმნის ის სახელები, რომელთაც ღუძე ეკუმშებათ მხოლოდ ზოგიერთს ბრუნვაში; სახელობრ: ა და ე-ფუძიანი სახელები ნათესაობითსა და მოქმედებითში კარგავენ ამ ფუძისეულ ხმოქნებს (ქვ-ის, ქვ-ით; ხ-ის, ხ-ით...), თანხმოვან ფუძიან სახელთა წყება კიდევ კარგავს ფუძისეულს ხმოვანს ნათესაობითსა, მოქმედებითსა და მიმართულებითს ბრუნვებში: კედლ-ის, კედლ-ით, კედლ-ად, შრ. კედლ-მა, კედლ-ს... ფუძის „კუმშვადობა“ იმჟენად არსებითი მოვლენაა ქართულ სახელთა კანკლედობაში, რომ გამოყენებულია კანკლედობის ღონის სახელთა დაჯგუფების კრიტერიუმიად. შეუძლებელია ასეთ მოვლენას ანგარიში არ გაეწიოს, და ამიტომ: აუცილებელი ხდება შრუნვები ისე დალაგდეს, რომ სამმა ბრუნვამ, რომლებშიაც ფუძე იკუმშება, ერთად მოიყაროს თავი; მაშინ „ფუძე შეკუმშული“ და „ფუძე უკუმშველი“ ბრუნვები ერთმანეთში არ აირევა. ამ შორთოლოგიურს გარემოებას ვუწევთ ანგარიშს, როცა მოთხრობითის გარდა დანარჩენ ბრუნვათა რიგსაც ვცვლით: ჯერ ის ბრუნვები; რომლებშიაც ფუძე არ იკუმშება, მერე კი ისინი, სადაც ფუძე შეიძლება შეიკუმშოს. ამისდა კვალობაზე შემდევ თანამიმდევრობას ვლებულობთ: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ვნებითი, ნათესაობითი, მოქმედებითი. საილუსტრაციოდ მოგვყავს „ფუძე-შეკუმშულ“ სახელთა კანკლედობის ნიმუში:

სახელობითი:	კედლ-ი	{	მთა	{	ხე	{
მოთხრობითი:	კედლ-მა		მთა-მ		ხე-მ	
მიცემითი:	კედლ-ს(ა)	{	მთა-ს(ა)	{	ხე-ს(ა)	{
ვნებითი:	კედლ-ა დ		მთა-დ		ხე-დ	
ნათესაობითი:	კედლ-ის(ა)	{	მთ-ის(ა)	{	ხ-ის(ა)	{
მოქმედებითი:	კედლ-ით(ა)		მთ-ით(ა)		ხ ით(ა)	

მრავლობითი რიცხვისთვის ასეთ გარჩევას მნიშვნელობა არა აქვს: ფუძე ყველა ბრუნვებში უცვლელია, ერთგვარია; თუ სახელმ-ბითში შეიკუმშა, ყველგან შეკუმშული დარჩება, თუ არა და არა; ასე, მაგალ.: კედლები, კედლებმა, კედლებს, კედლებად, კედლებისა; კედ-ლებითა—ფუძე ყველგან შეკუმშულია: კედლ-ებ-; ასევე: მთ-ებ-ი, მთ-ებ-მა, მთ-ებ-ს... ხე ებ ი, ხე-ებ-მა, ხე-ებ-ს... არსად არ არის შეკუმშული.

ბრუნვათა ამ წესით დალაგებას მხოლობითი მოითხოვს; აქ შეკიდება ფუძე შეკუმშულიც იყოს და შეუკუმშავიც... ზედმეტია ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ბრუნვათა ასე დალაგება ააღვილებს კანკლების შესწავლას ისევე, როგორც ანბანის მიხედვით გვარების, დალაგება, ვთქვათ, კატალოგში ამარტივებს ამა თუ იმ წიგნის დაძებნას. სიაღვილის შესახებ როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვყავს მოსწავლე, რომელმაც უნდა შეისწავლოს კანკლებისა, და არა მასწავლებელი; ამ უკანასკნელს ხშირად ისე აქვს ძვალ-ჩბილში გამჯდარი ტრადიციული რიგი, იმდენად დოგმატიკურად აქვს შეთვისებული გარკვეული თანამიმდევრობა, რომ აზრადაც არ მოუვა თავის თავს კითხოს: რატომ უნდა იყოს ასე დალაგებული? რა გამართლება გააჩნია იმ რიგს, რომელსაც იგი მისდევს?<sup>1)</sup> ამისდა მიუხედავად (უკეთ რომ ვთქვათ, სწორედ ამიტომ) ტრადიციული რიგის შეცვლა ბევრს მათგანს გეოლოგიურ კატასტროფად მოეწევენება, ისე შეეჩია ტრადიციულ რიგს!

აქ საჭიროდ მიმაჩნია დაცუმატო, რომ ტრადიციული რიგი ერთად ერთი როდი იყო ქართულს გრამატიკებში. იგი პლატ. იოსელიანიდან უნდა იწყებოდეს (1810 წ.); მისი რიგი ასეთია: 1. სახელმ-ბითი (ტერმინი მან შემოილო; მანამდე წრფელობითი იხმარებოდა); 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. მოთხრობითი; 5. მოქმედებითი და 6. წოდებითი (გვაკლია მხოლოდ ვნებითი); 3. კვიცარიძემ (1888 წ.) გაიმეორა იგივე რიგი, მხოლოდ ჩაურთო გადაქმნითი (აწინდელი ვნებითი) მოქმედებითის შემდეგ; არ. ჭუთათელაძე თავის გრამატიკაში (1889 წ.) იმავე რიგს წოვებს, ოლონდ ვნებითისათვის განვითარებითი აქვს ნახმარი; დასასრულ, ს. სუნდაძის გრამატიკაში (1907 წ.) ხდება ამ რიგის კანონიზაცია; განვითარებითის ნაცვლად ვნებითია შეპოლებული; სხვა მხრივ ახალი არაფერია.

<sup>1)</sup> ენათმეცნიერების ისტორიაში გასაჯებად მიაჩნიათ, რატომ არის საც-ლობითი პირველად; მაგრამ სრულიად გაურკვეველია, რატომ დაალაგეს სტრა-ლებმა სხვა ბრუნვები ისე, როგორც ეს ტრადიციულს განრიგებაშია. ამას დასა-ბუთება არ მოეპოვება.

რა ოოლიც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრისთვის პლ. იოსელიანის რიგმა ითამაშა, ისეთივე ოოლი ხვდა წილად პირველ ნახევარში ანტონის რიგს; მისი ოიგი-საკმაოდ განსხვავდება ზემო-ზენებულისაგან: 1. წრფელობითი (სახელობითი); 2. ნათესაობითი; 3. მიცემითი; 4. შემასმენლობითი (=accusativus); 5. დაწყებითი (კა-ცისაგან); 6. მოთხრობითი; 7. მოქმედებითი; 8. წოდებითი. სრულის ზედმიწევნილობით განმეორებული აქვსთ სახელწოდებანიცა და ეს რიგიც: გაიოზს (1789 წ.), გარლამ არქიეპ. (1802 წ.), ფირალოვს (1820 წ.), სოლ. დოდაშვილს (1830 წ.), კლაპროტს (1837 წ.). ოო-გორც გხედავთ, ეს რიგი უფრო გაგრცელებული ყოფილა ძველად, ვინემ ტრადიციული, ახლანდელი. ამას გარდა: თავისებური რიგი აქვს ა) ბროსეს: 1. წრფელობითი და შემასმენლობითი; 2. ნათესაო-ბითი; 3. მიცემითი; 4. წოდებითი; 5. მოქმედებითი; 6. მოდალობი-თი (=ვნებითი); 7. დამთავრებითი (ბაგა-მდე). — ბ) დ. ჩუბინა-შვილს: 1. სახელობითი; 2. მოთხრობითი; 3. ნათესაობითი, 4. მი-ცემითი; 5. მოქმედებითი; 6. წოდებითი; 7. გარდაქმნითი (=ვნები-თი); 8. სადაობითი (მამისას). — გ) თ. უორდანიას: 1. სახელობითი, 2. შესმენილობითი (=ბრალდებითი, accusativus), 3. ნათესაობითი, 4. მოქმედებითი, 6. მოთხრობითი, 7. ზმინისზედითი (=ვნებითი) და 8. წოდებითი. — დ) მოსე ჯანაშვილს: 1. სახელობითი, 2. სახელო-ბითი მეორე (=მოთხრობითი), 3. ნათესაობითი; 4. მიცემითი, 5. შექ-მედებითი, 6. ზმინისზედითი, 7. წოდებითი. — ე) მელ. კელენჯე-რიძეს: 1. სახელობითი. 2. ნათესაობითი, 3. მიცემითი, 4. მოთხრო-ბითი, 5. ვნებითი, 6. შემასმენლობითი, 7. მოქმედებითი, 8. წოდე-ბითი. აქიდან ნათლადა ჩანს, ოომ ტრადიციული რიგი ქართულში ერთად ერთი სრულებითაც არ არის<sup>1)</sup>.

რა უდევს საფუძვლად ამ სხვადასხვაგვარ დალაგებას? არავი-თარი გარკვეული ობიექტური პრინციპი, მხოლოდ შემთხვევა, ავ-ტორის გემოვნება-სურვილით. გამართლებული.

გამონაკლისს, საყურადღებოსა და სასიამოენოს, შეადგენს და ჩუბინაშვილისა და მოსე ჯანაშვილის რიგი; ორსავე შემთხვევაში მოთხრობითი სახელობითს მოსდევს; ორსავე ავტორს ნათლად აქვს

<sup>1)</sup> არა თუ ქართულში, არამედ ლათინურშიაც კი, სადაც ტრადიციულ რიგს ორი ათასი წლის ისტორია აქვს, შესაძლებლად მიაჩნიათ რიგის შეცვლა. ჩამდენადაც მასმოვსკ ლოპატინსკის „ლათინური გრამატიკის“ ერთ-გამოცემში ბრჭყნები ასე იყო დალაგებული: სახელობითი, ბრალდებითი, მიცემითი, მოქმე-დებითი, ნათესაობითი. სამწუხაროდ, ამ შენიშვნების წერის დროს ეს გრამატიკა ხელთ არ მქონდა და შეიძლება ამ ჩვენებას შედმიწევნილობა აკლდეს.

გათვალისწინებული, რომ მოთხრობითს სახელობითთან აქვს კავშირი; დ. ჩუბინაშვილს, როგორც ვიცით, არც უნდოდა მოთხრობითი გამოეყო სახელობითისაგან (რაც შეცოტომა იყო); და რაკი გამოყო (უკეთ, გამოაყოთინეს), შესაფერი აღგილიც მიუჩინა; მ. ჯანაშვილი მოთხრობითს „მეორე სახელობითს“ უწოდებს და ამით უკვე ნათქვამია, რა არის ეს ბრუნვა და სად უნდა იყოს იგი. ეს დიდი პროვენესია. სამწუხაროა მხოლოდ, რომ სხვა ბრუნვათა დალაგებისას არ იქნა მათ მიერ გარკვეული პრინციპი წამოყენებული.

ამგვარად: ის დალაგება, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ მოთხრობითის საკითხში, არაფერს ახალს არ წარმოადგენს. მისი დასაბუთება და შეიძლება იყოს ახალი; სხვა ბრუნვათა რიგის საკითხში ჩვენს დალაგების მხოლოდ ერთი პრეტენზია აქვს: იგი არ არის სუბიექტური, გემოვნება-სურვილით ნაკარნახევი, არამედ დამყარებულია ქართული კანკლელობის ოფისებაზე, ითვალისწინებს ამ კანკლელობის პროცესებს, მათ ეგუება. ამდენადვე მას აქვს პრეტენზია იყოს ობიექტური.

ა. ჩიქობაგა.

## საჭიროა თუ არა ზღაპარი?

კადისკუსიონი.

უკანასკნელ ხანებში რესეთის პრესაში საქმიოდ დიდი ადგილო ეთმობა საკითხს: საჭიროა თუ არა ზღაპარი. რევოლუციის შემდეგ წლებში ზოგ პედაგოგიურ უურნალში ზღაპრების წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა. ამხანაგები ზღაპრის წინააღმდეგ გამოდიოდენ და ამტკიცებდენ მის მავნებლობას თანამედროვე აღზრდისათვის.

ჩვენს ადგილობრივ პრესაში ეს საკითხი თითქმის ხელუხლებია: საჭირო კი იყო მისი დასმა და ასე თუ ისე გადაჭრა, რაღაც თუ ის მავნეა, უნდა მოისპონს, თუ სასაჩვებლოა, მის ჯეროვან ჩამოყალიბებას ყურადღება მიექცეს.

შევეცდებით, ჩვენი შეხედულება მკითხველებს გადაცეც და ამით გავხსნათ კამათი ამ ფრიად საყურადღებო საკითხზე. ფქმა იმისა, რომ ზღაპარი უნდა მოისპონ, რადგან მასში კარბად არის ფენტასტიური და მისტიური ელემენტები, უსათუოდ მიუღებელია, რადგან არავის მიერ დამტკიცებული არ არის, რომ ზღაპარი არის და უნდა იყოს მაინცდამაინც დევების, როკაპების და ღმერთების სარბიელი.

დამტეკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ბავშვს ზღაპარი ძლიერ უყვარს. რამდენი შემთხვევაა, რომ როდესაც ბავში დროზე არ იძინებს ან წამალს არ სვამს, საჭმელს არ სჭამს, მავნე ცელქობას ეწევა, საკმარისია ზღაპრის დაპირებით დაუძახოთ და თქვენთვის სასურველი საქმე გააკეთებინოთ. ამის შემდეგ წყნარად, ყურადღებით გვერდზე მოგისცულდებათ და ზღაპრის მოლოდინში სმენად გადაიქცევა. მრავალი შემთხვევა გვქონია გვენახვა როდესაც. 2 წლის ბავშიც კი ძილის წინ „ზღაპალი მინდა, მითხალი ზღაპალი“; გაიძახის. ზღაპარი უყვართ არა თუ ბავშებს, მოზრდილებსაც, დიდებსაც.

გამოჩენილი მწერლები: პუშკინი გორკი, აკაკი და სხვები დიდი სიყვარულით მოიგონებდენ თავისი ბავშობის მეგობრებს, რომლებიც ზღაპრებით უმასპინძლდებოდენ. ზოგი მათგანი თავის შემოქმედებით მუშაობაში ზღაპრებს დიდ მნიშვნელობას აძლევდა. ზღაპარი ხალხური შემოქმედების საუკეთესო სახეა; ზღაპარს ჰქმნის არა პიროვნება, არამედ ხალხი, და შიგ აქსოვს თვის საკუთარ ფილოსოფიას, კირვარამს; სიბრძნეს, სიმახვილეს და მხატვრულ გემოვნებას. მაშინ, როდესაც ხალხი მონობის ქვეშ გმინავდა, ცხადია, მისი ზღაპარი ვერ ჩამოყალიბდებოდა მისტიკისა და მავნე ფანტაზიის გარეშე, რადგან ხალხს განთავისუფლების ქომაგად ღმერთი ევლინებოდა და კეთილისა (ხალხის); და ავის (მეფეები, ბატონები და, საზოგადოდ, მყვლეფელები) ბრძოლას აღეგორიულად ეშმაკებით, დევებით, რეიანი ტურა-ქალებით, ქაჯებით და როკაპებით გამოხატავდა. ახლა ზღაპარს უნდა მივცეთ ჩვენთვის მისალები შინაარსი, მაგრამ ამავე დროს საესებით ვისარგებლოთ ზღაპრის უკვე მიღებული ფორმით.

ზღაპარი ბავშის ფსიქიურ ორგანიზაციას აყალიბებს: თხრობის დროს მსწერელი (ბავში) ლოლიკურად აკავშირებს ერთს ეპიზოდს მეორესთან, მეორეს მესამესთან და ასე ბოლომდე; გმირების მოქმედებას აფასებს, ყურადღებით აკვირდება შინაარსის გაშლას და ხშირ მთხოვნებელის მიერ უყურადღებობით გამოშვებულ დეტალებსაც კი ამჩნევს და მიუთითებს. ამ მხრივ ზღაპარი არ შეიძლება ჩვენ არ ალვიაროთ ბავშის აზროვნების საუკეთესო ორგანიზატორად. ამას გარდა ზღაპარი ანგითარებს ბავშში მხატვრულ გემოვნებას, ფერების, ხმების, სურათების, შედარებების შეგრძნობას, სახეებით აზროვნებას.

ჩვენ ვიცით, რამდენად მოსაწყენია. არა თუ ბავშებისათვის, ჩვენოვისაც კი, მშრალი, მხატვრულ ფორმებს მოკლებული ფაქტები, შიშველი სინამდვილე. ორატორი, რომელიც თავისი ლაპარაკის დროს არ ხმარობს მხატვრულ ხერხებს, მახვილ ფრაზებს, ლამაზ შედარებებს;

და სახეობითს გამოთქმებს, ძნელი მოსასმენია. რა უნდა იყოს ბავშებისათვის, რომელთა გონებრივი რაობა სიმურალეს ვერ ეგუება და ასოციაციათა სისუსტის გამო მშრალ ფაქტებს ერთიმეორეს ვერ უკავშირებს, იმის თქმა, რომ ფანტაზია სრულიად უნდა განიდევნოს. ჩვენი სინამდვირილიდან, არ შეიძლება. ასე რომ იყოს, მაშინ საზოგადოდ უარი უნდა ვთქვათ ყოველგვარ პოეტურ ნაწარმოებზე, რადგან არც ერთ ზუსტად რეალისტურ ნაწარმოებშიაც კი არ შეიძლება არ იყოს თხზვა და ფანტაზია. საღი ფანტაზია ამდიდრებს ბავშის მხატვრულად აზროვნებას. ჩვენი ბავშები, რომლებიც ძალიან ახლო დგანან. მშობლების ყოველდღიურობასთან, ცხოვრების სიღუბჭირესთან და ხელმოკლეობასთან, უსათუოდ ხშირად უნდა ისმენდენ ლამაზ, მაღალ და გმირობით სავსე ამბებს, რომ მშობლების წვრილმანმა და მძიმე პირობებმა სულიერი სიმახიჯის დაღი არ დასვას ბავშეს ფაქიზ აზრებს.

არა თუ ბავშებს, დიღებსაც კი არ უყვართ ყოველდღიური ერთფეროვანება, ისინი ხშირად ექებენ რაღაც რომანტიულს, ზღაპრულს, და რა გასაკვირველია. რომ ბავშის ბუნება ჩარჩოებში ვერ მოვამწყვდიოთ და შის ბუნებრივ მოთხოვნილებას, ზღაპრით გატაცებას, ხელი ვერ შეეუშალოთ. დავადასტურებთ თუ არა ჩვენ ზღაპარს იურიდიულად, ის მაინც იარსებებს. იარსებებს, რადგან ის ხალხური შემოქმედება და იმდენად, რამდენადაც ხალხი აზროვნობს, მოძრაობს, ცოცხლობს, აქვს თავის სიხარული და გაჭირვება, თავის მორალი და სიბრძნე, — ამ სიმდიდრის გამოსამჟღავნებლად შესაფერი ფორმებიც ექნება ზღაპრებისა და ვაღმილცემათა სახით. ჩვენ კათევორიულად შეგვიძლია ვთქვათ, რომ არაეთარი წესდებით, ბრძანებით და ხერხებით არ შეიძლება ზღაპრების უკრძალვა, რადგან, სულ ერთია, ამით მიზანს ვერ მივალწევთ. ის იარსებებს, რადგან არსებობს ხალხის წიაღში. წარმოშობილი ბავში, რომელსაც ენის ადგმასთან ერთად ესძის და აინტერესებს ზეპირი თხრობა და ამბები. რომლებიც იტაცებენ მის გონებას. გატაცების ხანგრძლივობითაც ზღაპარი უბადლოა, ბავში შზადაა საათობით იჯდეს და ზღაპარს ისმენდეს, მაშინ როდესაც სხვა საქმიანობა სწყინდება. ამგვარი ინტერესი ბავში ამტკიცებს გულდასმულობას (ყიდვივის), ნებისყოფას და ერთ საგანზე ხანგრძლივად ყურადღების ფიქსაციას. ზღაპრის უკელა დადებითი მხარე უნდა გამოვიყენოთ და ჩვენი შესაფერი შინაარსის შექმნით დავიხმაროთ ბავშის აღზრდაში.

სხვადასხვა ასაკში ბავშებს სხვადასხვა შინაარსის ზღაპრები აინტერესებთ. 6 წლამდე ბავშებს აინტერესებთ ცხოველების საშუალების გამოყიდვას და მშენებელის მიმართ არ გამოიყენოთ და ამავდე მართვის გადასახარო განვითარებას. ასე გადასახარო განვითარებას ასაკში ბავშებს სხვადასხვა შინაარსის ზღაპრები აინტერესებთ. 6 წლამდე ბავშებს აინტერესებთ ცხოველების საშუალების გამოყიდვას და მშენებელის მიმართ არ გამოიყენოთ და ამავდე მართვის გადასახარო განვითარებას.

მათი ცხოვრება, ურთიერთობა და პაწია ამბები ბავშების ცხოვრებიდან. საქმარისია 2-3 წლის ბავშს უამბო კატის, ძალლის, ბაჭიას, გოჭის მოკლე ამბავი ან კოტეს, გივის, ქეთოს ბურთის ან ბზრიალის ამბავი, რომ მან ყური დაგვიგდოს და ხშირად იხარხაროს კიდეც. „მერე, მერე?“ ისმის პაწია მსმენელიდან და მანამ, სანამ არ ჩაეძინება, მთხოვნელის ფანტაზიაც დაუსრალავად მუშაობს. 3-5. წლამდე ბავშებს უფრო გრძელი და ლოგიურად გადაწყული ამბები აინტერესებთ. აქ შეიძლება ბავშებს მივაწოდოთ უფრო რთული ამბები, მაგრამ ზღაპრულ ფორმებში. 7-10 წლამდე კი შეიძლება ზღაპრებში შევიტანოთ რეალობასთან დაკავშირებული ფანტასტიური ელემენტები, რომელიც დააინტერესებს ბავშს, მაგრამ ერთი წუთითაც რეალურ ნიადაგს არ გამოაცლის. ფანტასტიური ზღაპრების მიცემა მაშინ შეიძლება, როდესაც ბავში მიხვდება, რომ ეს ამბავი მოგონილია, შეთხხულია. ამის მიუხედავად, კარგად შედგენილი ზღაპარი მას ესთეტიურად დიდად დააკმაყოფილებს და ფანტაზიის გაქანებით დატებობს. იქნებ ვინმებ იფიქროს: თუ ბავში მიხვდება, რომ ეს ამბები შეთხხულია, მას ინტერესიც აღარ ექნება. ეს არ არის სწორი. ჯერ ერთი, დიდებსაც უყვართ მახვილი ენით დაწერილი, მხატვრულად ჩამოსხმული შეთხხული ნაწარმოებები, თუმც იციან, რომ ის შეთხხულია და არა სინამდვილე და შეორეც, როგორც ერთ-ერთი ამხანაგი სწერს: „ბავში რეალისტია. მან იცის, რომ აგურაკები მრისი დის სათამაშო სუფრაზე შოკოლადი კი არაა არამედ „ვითომ შოკოლადია“. ერთმა საბავშო მწერალმა სწორედ სთქვა, სწერს იგივე ამხანაგი, რომ, ბავში არასოდეს არ შესჭამს თავის გაკეთებულ სილის ზაქაპურებს, მაგრამ მაინც გატაცებით თამაშობს და აცხობს. მართლაც, ბავში აშენებს სახლებს, აკეობს დედოფალებს, ელაპარაკება მათ, თითქო თავისივე ენით პასუხებსაც ილებს, ჯოხის „ცხენზე“ ჯდება და თავისივე ფეხებით გარბის, აწყობს სუფრას კენჭებით, თეთშების ნამტვრევებით, ტალახის „ბურებით“, მაგრამ არასოდეს კი არ სჭამს და სხვა. ეს უველაფერი იმას ამჟღავნებს, რომ, თუმცა ბავშმა იკის, რომ ეს უველაფერი შეთხხულია, და არა ნამდვილი, თამაშობით მაინც გატაცებულია. ასეთ ზღაპრებშიც. ის ისმენს გატაცებით, აზროვნობს სახეებით, მაგრამ არ ტყუილდება. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ თუნდაც ერთი წუთით დავუშვათ ეშმაკები, ქაჯები, ალები, ტყის კაცები და სხვა. ჩვენ შხოლოდ იმის თქმა ვეინდა, რომ სალო ფანტასტიური ელემენტი ზღაპარს ალაპაზებს, მსმენელს ასიამოვნებს, და სარგებლობა მოაქვთ ზღაპარი აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონეა, ის უნდა გამოვიყენოთ ჩვენოვის მისალებ იდეოლოგიით და შევჭმათ ზღაპარის

ახალი სიუკეტები სამოქალაქო ომშე, წითელი. არმიის გმირობაზე, ელექტროფიკაცია ქმნილ სოფლებზე, რევოლუციონურ გამოსვლებზე და სხვა. ამით არ დავქმაყოფილდებით და შევიტანთ მუშების ცხოვრებიდან სხვადასხვა ამბებს, ცხოველთა და მცენარეთა ცხოვრებას, მაგრამ ისე კი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ცხოვლები და მცენარეები აღამიანის ენით ლაპარაკობენ, ისინი მაინც ბავშვს აზროვნებაში ნამდვილ ცხოველებად რჩებიან და არა განკაცებულ და შიშისმომგვრელ ზეცხოველებად. შეიძლება სხვა შინაარსის შეტანაც, მაგრამ ყველგან უნდა იყოს რეალობასთან შეგუებული ფანტასტიკა და ბავშისთვის ადგილად მოსანელებელი ამბები. ზღაპარს თავისი უანრი აქვს, თავისი ტექნიკა. შეიძლება ახალი ყოფა, ახალი ცხოვრება, ახალი მეცნიერება ბავშებს ისე გადავცეო, რომ ზღაპრული ფორმა არ დაიკარგოს და მათი გონება ჩვენთვის მისაღები იდეოლოგიით გამდიდრდეს. ზღაპარი სხვა ნაწარმოებიდან თავის ფორმით განიჩრევა. „იყო და არა იყო რა, „ლეთის“ უკითესი რა იქნებოდა“... იყო, ზღაპრის დასაწყისი. რასაკვირველია, სიტყვა „ლეთის“, რომელიც მაჩვენებელი იყო ხალხის. რელიგიური განწყობილებისა, ჩვენთვის სრულიად მიუღებელია. მაგრამ კარგად ვახსისეს, თუ ეს დასაწყისი რაზომ კმაყოფილების ურუანტელს გჩვრიდა. შეიძლება ამ დასაწყისის გადაცეთება, ან სრულიად შეცვლა. ბოლოში მთხრობელი ყოველთვის დასძენდა: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“, ან სხვა ამგვარ სიმახვილეს. რასაკვირველია, ამის შეცვლა ჩვენთვის უდავოა, რადგან ეს აშენებულია მაშინდელ სოციალურ და ეკონომიკურ შემეცნებაზე. ჩვენთვის მისაღები დაბოლოება უსათუოდ მნიშვნელოვანი და ზღაპრის კოლორიტის მიმცემი იქნება. ამას გარდა, ზღაპარში ერთიდაიგივე სიტყვა ან წინადადება რამდენჯერმე მეორდება, მაგალითად: „იარა, იარა, ბევრი იარა თუ ცოტა იარა“... ან და: „დევი დევიძისაო, სტუმარ-მასპინძლისაო“, რაც ზღაპარში მრავალ ადგილას მეორდება, ან და: „მიღის, მიღის, იქვეა“... ან და: „კეცი კეცზე, კეცი კეცზე, დავკარ... ფეხი და ავგარდი ზევით“... და მრავალი სხვა. თხრობის დროს განმეორება ბავშის წარმოდგენას ამდიდრებს და ახალისებს და აღრმავებს. როგორლა ვითარდებოდა მოქმედება? გმირს ჯერ ხედება ერთთავიანი დევი, შემდეგ ათთავიანი, შემდეგ ასთავიანი, თანდათან რთულდება ზღაპრის სიუკეტი, უფრო მეტი და მეტი სიძნელების გადალახვა. უხდება გმირს და ისე კოტად და მოხდენილად შენდება ზღაპარი, რომ მსმენელი თვალს ვერ აშორებს მსმენელს და ყურს ზღაპრის შინაარსს. შიგ ჩართული ლექსები, შაირები და ვამოცანები ზღაპარს დიდ იქრს და სილამაზეს

აძლევს. შემდგენელი ენერგიას არ უნდა ზოგავდენ, რომ მათი შე-  
მოქმედება ფორმით ყოველდღიურ სალაპარაკო ენას დასცილდეს და  
ზღაპრისათვის აუცილებელი იქნი და სახე მიიღოს. ამგვარი ხერხე-  
ბით ჩვენ ბავშვს პატარაობიდანვე შევათვისებინებთ ჩვენი ცხოვრებისა-  
თვის აუცილებელ ცნობებს, გაუფართოვებთ გონიერობის არეს და დავუ-  
კრაყოფილებთ საინტერესო ამბების მოსმენის წყურუილს.

საბავშო მწერლები ზღაპრულ ფორმას დიდი ყურადღებით  
უნდა მოექცენ და ბავშისათვის გასაგები და დასაძლევი ენით ჩამოას-  
ხან ჩვენი სინამდვილიდან ალებული და შემდეგ გადაკეთებული ში-  
ნაარსოს ზღაპრები.

ხალხი კი თავის მხრივ მუშაობს, ახალ ზღაპრებს ქმნის. ჩვენი-  
ვალია ამ სიმდიდრის შეგროვება, ჩაწერა და დამუშავება, რომ ახალ  
თაობას მივაწოდოთ.

ეს საკითხი ყურადღებას მოითხოვს და ჩვენმა აღმზრდელებმა:  
მას ჯეროვანი აღვილი უნდა დაუთმონ.

ნინო ძიძიგური.

## ჩვენი სცოლების მუშაობიდან

### 4-წლების პროგრამების გადასინჯვის შესახებ.

გასულ სასწავლო წელს 4-წლები ახალი გადამუშავებული:  
პროგრამებით მუშაობდა.

თუმცა ერთი წლის გამოცდილება საკმარისი არ არის პროგ-  
რამების ყოველმხრივ შესაფერებლად, მაგრამ ჩატარებული მუშაობი-  
დან ზოგიერთი დასკვნის გამოყენა მაინც შესაძლებელია. როდესაც  
ჩვენ ჯამს ვუკეთებთ გასულ სასწავლო წელს ჩატარებულ მუშაობას,  
ორი რამ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში:

1. გადამუშავებული პროგრამები დაგვიანებით გამოვიდა, რა-  
მაც მასწავლებლობას არ მისცა საშუალება შეესწავლა რიგიანად ეს  
პროგრამები და ახალი სასწავლო წლისთვის გეგმიანად შესდგომოდა  
მუშაობას. ეს გარემოება, რასაკერძოელია, დიდად აფერხებს უფრო  
საფუძვლიანი დასკვნების გამოტანას.

2. თუმცა გადამუშავებული პროგრამების პრინციპების ძველი:  
პროგრამების (1924 წლის) პრინციპებისაგან არ განსხვავდება, მას-  
წავლებელი მაინც დიდ დაბრკოლებებს ხვდებოდა, რომ გადაესინჯა,  
თავისი მუშაობა და გადამუშავებულ პროგრამებზე აეწყო თავისი

ყოველდღიური პედაგოგიური საქმიანობა. მასწავლებელი; რომელიც კარგად იცნობს შრომის სკოლის მიზნებსა და ამოცანებს, ადრე ულებს ალლოს გადამუშავებულ პროგრამებს; მისთვის არ არის ძნელი საქმე ახალი პროგრამების მიხედვით მუშაობაში ცელილებების შეტანა. მასწავლებელთა განსაზღვრულმა ნაწილმა კი დროზე ვერ გადასინჯა თავისი მუშაობა; არც ისე აღვილი სუქმე შეიქნა თემების გადაჯგუფება, მასალის დალაგება, ახალი ელემენტების შეტანა მუშაობაში, რასაც გადამუშავებული პროგრამები მოითხოვდა. ეს გარემოებაც აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებულიც პროგრამების შეფასების დროს. მომავალი სასწავლო წელი გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში იქნება ჩატარებული, რაღაც აქერანვე დაიწყება სამზადისი გეგმიანი მუშაობის ჩატარებლად.

პირველი დასკვნა, რომელიც უნდა გამოვიყვანოთ ჩატარებული მუშაობიდან, ეს არის ჩვევების გაუმჯობესება წილი წლებთან შედარებით.

ჩვევები: ანგარიშში, ბენებისმეტყველებაში, სამშობლო ენაში, საზმეცნიერებაში და სხვ., — უსათუოდ გამოსწორებული არის იმას, თან შედარებით, რაც ჩვენ ამ სასწავლო წლამდე გვქონდა. ეს გაუმჯობესება მიეწერუბა გადამუშავებულ პროგრამებს, რაღაც მასში ჩვევების საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ჩვენი მასიური სკოლა თანდათანობით თავს აღწევს, იმ მდგომარეობას, როცა „კომპლექსი“ მუშავდებოდა და ჩვევების საკითხს კი მეხუთეხარისხოვანი აღილი ეჭირა. ჩვენ ამ შემოხვევაში ვლაპარაკობთ შედარებით გაუმჯობესებაზე, სავსებით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან ახლაც არა გვაქვს საქმე. მასალის მეთოდურ დალაგებაშიც დიდი მიღწევები არის. პროგრამა მთლიანად აქვთირებს სკოლას ცხოვრებასთან, ავ უკანასკნელის გაუმჯობესებაში მონაწილეობის მისაღებად, უჩვენებს გზებს და საშუალებებს, როგორ იძრძოლოს სკოლამ გარემო ცხოვრების სამეურნეო. და კულტურული დონის ამაღლებისათვის. ეს საკითხები წინა წლის პროგრამებში ასე გარკვეულად და ნათლად არ იყო გაშუქებული.

მიუხედავად ამ დადებითი მხარეებისა, გადამუშავებულ პროგრამებში ზოგიერთი ცელილება მაინც უნდა იქნეს შეტანილი და ეს გასაგებიცა: ცხოვრება წინ მიღის, ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ფრონტზე ახალი ამოცანებია წამოყენებული, განსაკუთრებით მეჩუთმეტე პარტიული ყრილობის შემდეგ. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ახალმა ამოცანებმა თავისი გამოხატულება უნდა ჰქონოს სკოლის. მუშაობაშიც. სწორედ ამ ახალი ამოცან

ნების თვალსაზრისით და აგრეთვე გასული სასწავლო წლის გამოცდილების საფუძველზე უნდა შეივსოს პროგრამები ნაწილობრივ ახალი მასალით, ნაწილობრივ გადაჯგუფება უნდა მოხდეს თემების და მასალის დალაგებაში. კონკრეტულად რაში უნდა გამოიხატოს ეს ცვლილებები?

ანტირელიგიური აღზრდის შესახებ. უკანასკნელ ხანებში რელიგიის ფრონტზე უსათურდ გამოცოცხლებას აქვს ადგილი, რაღაც სისტემატიური მუშაობა აშენდება მიმართულებით შენელებულია. რელიგია ჯერ კიდევ ნაყოფიერ ნიადაგს პოლობს შშრომელთა ფართო მასების კულტურულ ჩამორჩენილობაში და ყოფა-ცხოვრების ძველ ნაშთებში, რაც ჯერჯერობით ჩვენს საზოგადოებრივობაში აღმოფხვრილი არ არის. სკოლის მიზანია ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის საფუძველზე ახალი ადამიანის აღზრდა. ეს მიზანი მიუღებელი დარჩება, თუ ჩვენს სკოლაში ანტირელიგიურ აღზრდას ფართო ადგილი არ დაეთმო. შეიძლება ვინმემ ითიქროს, რუსეთში რელიგია უფრო აქტიურად გამოდის ბრძოლის ასპარეზზე, ჩვენში კი რელიგიის საკითხი მწვავედ არ არის დასმული, მაშასადამე, ანტირელიგიურ აღზრდაზე ლაპარაკიც ზედმეტი არისო. ასეთი შეხედულება სწორი არ არის. ჩვენი 4-წლებდი ანტირელიგიურ მუშაობას არ აწარმოებენ, ბავში აღვილად ექცევა რელიგიის გაულენის ქვეშ მორწმუნე თუ ნახევრადმორწმუნე მშობლების მეოხებით. არის ცალკე შემთხვევები, როცა ოთხწლედის მოწაფეები ეკლესიაში დადიან, ანდა ოჯახში საწმუნოებრივი ცერემონიების შესრულებაში მონაწილეობას იღებენ. რით უნდა ავხსნათ ასეთი გარემოება? უძთავრესად ეს აიხსნება იმით, რომ ანტირელიგიურ აღზრდას სკოლებში ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ, ანდა სრულებით არ ვაქცევთ ყურადღებას.

დროა ურელიგიონ აღზრდიდან ანტირელიგიურ აღზრდაზე გადავიდეთ. ნეიტრალური პოზიცია დაგმობილ უნდა იქნეს. ეს მუშაობა პირველი საფეხურის სკოლებიდან უნდა დაიწყოს. აქ უნდა ჩაეყაროს მტკიცე საფუძველი ნამდვილი ათეიისტების აღზრდას. ამიტომაც საჭიროა შერჩეულ იქნეს სათანადო მასალა და შეივსოს ოფიციალური პროგრამები; კომეჯავშირთან და პიონერორგანიზაციასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანტირელიგიური კამპანიების ჩატარებას. მასწავლებლის მიერ წინასწარ საკითხის შესწავლით და სხვა ორგანიზაციებთან შეთანხმებით, ანტირელიგიური მუშაობა მოსახლეობის ფართო მასაში უნდა იქნეს გადატანილი. განსაკუთრებით მესამე და მეოთხე ჯგუფებში ეს საკითხი ფართოდ

დამუშავდება. მხარის ეკონომიურ - კულტურული მდგრადების შესწავლის დროს ყოფა-ცხოვრების საკითხებს, კერძოდ რელიგიის, განსაკუთრებული უურადლება უნდა მიექცეს. მდიდარი მხარეთმცოდნებითი მასალა საზოგადოებათ მეცნიერებაში გამოყენებულ უნდა იქნეს ანტირელიგიური აღზრდისათვის. მარტო საკითხის განყენებული შესწავლით არ უნდა დავვმაყოფილდეთ. ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის პრაქტიკულად დაყენება, იმ გზების და საშუალებების გამონახვა, რომლითაც შესაძლებელი გახდება ჩვენი სოფლის კულტურული გარდაქმნა, — აი რა უნდა იქნეს მიზნად დასახული. აუცილებლად საჭიროა ოთხწლედის პროგრამებში ყველა ამ მომენტის გათვალისწინება და სათანადო მასალით შევსება.

**საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა.** ბევრი ითქვა და დაიწერა სკოლების საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის შესახებ. თუ სკოლა გარეშო საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებაში მონაწილეობას არ იღებს, მაშინ ახალი თაობის კომუნისტურალზრდაზე ლაპარაკი ზედმეტია. სწორედ ამიტომ საკითხი სკოლის საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ პირველ რიგში უნდა იქნეს დაყენებული.

მასიური სკოლა ამ მხრივ ჯერჯერობით მოისუსტებს. არ წარმოებს, სისტემატიური და გეგმიანი საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა. განსაკუთრებით მე-3 და მე-4 ჯგუფის პროგრამებში საკითხი საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ დაწვრილებით უნდა იქნეს დამუშავებული. მაგალითად, მეოთხე ჯგუფის პროგრამებში თეორიული ხასიათის მასალა მოცემული, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს საზოგადოებრივი მუშაობას ამ ჯგუფში ნაკლები ყურადღება ექცეოდეს. პირიქით, პროგრამა გულისხმობს, რომ ოთხწლედის უფროს ჯგუფებში ეს მუშაობა გაკილებით უფრო ფართოდ იქნება დაყენებული: მაგრამ ის, რაც „იგულისხმება“ პროგრამაში, მასწავლებლისათვის ხშირად ბუნდოვანი რჩება. ავილოთ კონკრეტული მაგალითი: მესამე ჯგუფში მუშავდება „ასეთი საკრთხი, „რა პირობებია საჭირო ადამიანის ჯანმრთელობისათვის“ (პირველი დემის მთავარი საკითხი). მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ დანარჩენ ჯგუფებში ჯანმრთელობაზე ზრუნვა საჭირო არ იყოს. ბრძოლა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის ერთდროული ამოცანა არ არის. მესამესთან ერთად მეოთხე ჯგუფმაც ამ საკითხის დამუშავებაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. ოთხწლედების გამოკვლევის მასალები ადასტურებს. რომ: 1. საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობას გეგმიანი და სისტემატიური ხასიათი არა აქვთ,

2. საზოგადოებრივი მუშაობის სახეები: უმეტეს შემთხვევაში გარე-  
მო ცხოვრების მტკიცნეულ საკითხებს არ ეხება, 3. საზოგადოებრივ-  
სასარგებლო მუშაობას ერთდროული დაკვრითი ამოცანის სახე აქვს  
და საპროგრამო მუშაობასთან მხოლოდ ფორმალური მომენტებით  
არის დაკავშირებული. პროგრამების ვადასინჯვის დროს ყველა ეს  
მომენტი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული და განმარტებით  
ბარათში უნდა გაშუქდეს საზოგადოებრივი მუშაობის პრაჭ-  
ტიკული ამოცანები.

**პემების დალაგება:** ცალკე თემად უნდა იქნეს გამოყოფილი  
საზაფხულო მუშაობის აღრიცხვა. ეს მომენტი პროგრამებში გათვა-  
ლისწინებულია, მაგრამ ცალკე თემად გამოყოფილი არ არის. იმისა  
თვის, რომ საზაფხულო მუშაობის აღრიცხვას უფრო გეგმიანი სახე  
მიეცეს და საფუძვლად დაედვას წლის განმავლობაში დასახული გეგ-  
მის განხორციელებას, საჭიროა მისი ცალკე თემად გამოყოფა ყველა  
ჯგუფში.

პირველი ჯგუფის პირველი თემა არის „ბავშის ცხოვრება-  
ზაფხულში და პირველი მუშაობა სკოლაში“. თემას აქვს ოთხი მთავა-  
რი მომენტი: 1. ბავშის გაცნობა, 3. სკოლის გაცნობა, 3. მუშაობი-  
სათვის შესაფერი პირობების შექმნა, 4. თითოეული ბავშის და მო-  
რიგის მოვალეობა. მეოთხე მომენტი სრულიად უნდა მოიხსნას, რად-  
განაც ის ახალს არაუგრს არ მატებს თემის დამუშავებას. მასალა  
უნდა გადაჯგუფდეს სხვა მომენტებში; დარჩება სამი მომენტი, იმ  
თანამიმდევრობით, როგორც ეს პროგრამაში არის მოცემული.

მეორე ჯგუფის პირველი თემა არის „ჩვენი სოფელი შემოდ-  
გომაზე“. პირველი ქვეთემა „ოჯახის მუშაობა“ უნდა შეიცვალოს ასე:  
„სოფლის მოსახლეობა და საშემოდგომი მუშაობა; დასამუშავებელი  
მასალის სვეტში კი უნდა დაემატოს სოფლის გეოგრაფიული მდება-  
რება, საზღვრები, მოსახლეობის რაოდენობა და შემდეგ კი— მოსა-  
ხლეობის შრომა-საქმიანობა. თემის „ბ“ მომენტი „ამინდის ცვლა“  
სრულიად უნდა ამოვილოთ პროგრამიდან, მასალა ამინდის ცვლის  
შესახებ გადატანილ უნდა იქნეს ცოდნა-ჩვევის სვეტში, ვინაიდან ამინ-  
დის ცვლა ცალკე დასამუშავებელი საკითხი არ არის. ბავშები ამინ-  
დის კალენდარს აწარმოებენ, ისინი იცნობენ წვიმიან და ქარიან  
დღეებს; რაც შეეხება მზის გადახრას, საათით სარგებლობას და სხვ..  
ამას ბავშები გზადავზა გაეცნობიან. ამ მასალის ცალკე მომენტიად  
გამოყოფა მიზანშეუწონელია.

დარჩება მეორე ქვეთემა: „როგორ ემზადებიან ზამთრისათვის  
მცენარე, ცხოველი, ადამიანი“. პირველად უნდა დამუშავდეს „რო-

გორ ემზადება ოჯახი ზამთრისათვის“ და შემდეგ კი ცხოველები და აღამიანები. პროგრამის მიხედვით, ჯერ „ოჯახის საშემოდგომო მუშაობაზე“ არის ლაპარაკი, შემდეგ კი ზამთრისათვის მზატებაზე და „ოჯახის მზადება“ ბოლოში არის მოქცეული, რაც თემის მთლიანობას არღვევს.

შესამე თემა „ზამთრის ბუნება და აღამიანის შრომა“ უნდა შეიცვალოს ასე: „ზამთრის ბუნება, აღამიანის შრომა და ბავშის გართობა-თამაშობანი“. საამისო მასალა თემაში შეტანილია.

რაც შეეხება მესამე ჯგუფის პროგრამას, პირველი თემაა „ჩვენი სოფელი“, რომლის მეორე ქვეთემა არის „რა პირობებია საჭირო აღამიანის ჯანმრთელობისათვის“ (ბინა, კვება, ტანსაცმელი). ეს საკითხი დამოუკიდებელ თემად უნდა გამოიყოს და ამ რატომ: თავისი შინაარსით და მოცულობით ჯანმრთელობის საკითხი განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენი სოფლის ცხოვრებაში. სახოვალოებრივ-სასარგებლო მუშაობის ჩასატარებლადაც სკოლას ფართო ასპარეზი ეძლევა ამ თემის დამუშავების დროს. სოფლად ჯანმრთელობის გაუმჯობესების დარღვევი იმდენი რამ არის გასაკეთებელი, რომ ცალკე ამ საკითხზე შეჩერება და დამუშავება აუცილებლად საჭიროა. მით უმეტეს, პროგრამაც საკმაოდ ფართო აღვიწს უთმობს ამ მასალას. საკითხი არც ისე მარტივია, რომ მისი დამუშავება სხვათა შორის შეიძლებოდეს. მეორე მოსაზრებაც ის არის, რომ საკითხი აღამიანის ჯანმრთელობის პირობების შესახებ არ შეიძლება „ჩვენი სოფლის“ (მთავარი თემის) ქვეთემად ჩაითვალოს. აქ უფრო მასალის ხელოვნური დაკავშირება გამოდის. ჯერ ლაპარაკია სოფლის მოსახლეობის შრომა-საჭირობაზე და შემდეგ კი გადავიდგართ იმაზე, თუ „რა პირობებია საჭირო აღამიანის ჯანმრთელობისათვის“. ეს უკანასკნელი თავისი მოცულობით, შინაარსით და მიზანდასახულობით დამოუკიდებელ თემას წარმოადგენს და ასეც უნდა იყოს შეტანილი. პროგრამაში, რაღვანაც ჩვენ დაინტერესებული ვართ არა მარტო ჯანმრთელობის აწმყო მდგომარეობით სოფლად, არამედ მისი გაუმჯობესების ამოცანებით, ამიტომაც თემასაც ამ მიზანდასახულობის შესაფერისად სახელწოდება ასე უნდა შეეცვალოს: „ჯანმრთელობის მდგომარეობა სოფლად და მისი გაუმჯობესების ამოცანები“.

შემდევი მთავარი თემა არის „სოფელი და ქალაქი“. ჯერ არ სებითად თემის შესახებ თემის მთავარი მომენტებია: ა) რას აძლევს სოფელი ქალაქს და ქალაქი სოფელს, ბ) ქალაქის კეთილმოწყობა და კუთხა-ცხოვრება; რომ თემის დამუშავებას უფრო მთლიანი, გარდა კვეული და თანამიმდევრობითი ხასიათი მიეცეს, ყაჭიროა შემდეგი

ცულილებების შეტანა: პირველი მომენტის ნაცვლად უნდა დაისვას „შრომა ქალაქსა და სოფელში“; მუშის და გლეხის შრომის დახა-სიათება ბავშებისათვის უკვე ნათელი გახდა, რას აძლევს ქალაქი. სოფელს და სოფელი ქალაქსა მეორე მომენტი იქნება: „მიმოსვლის საშუალებანი“ (სოფელსა და ქალაქში), მესამე მომენტი კი: „კავში-რი სოფელსა და ქალაქს შორის“. უკანასკნელ შემთხვევაში დასამუ-შავებელი მასალა იქნება: ზედმეტი ნაწარმოების გაცვლა-გამოცვლა. სოფელსა და ქალაქს შორის, კოოპერატივი, მისი საქმიანობა, კულ-ტურული გაყლენა ქალაქისა სოფელზე (წიგნები, გაზეთები, ურნა-ლები) და სხვა.

საკითხი ქალაქის კეთილმოწყობისა და ყოფაცხოვრების შესახებ სრულიად უნდა მოიხსნას, რაღაც ეს მასალა გადანაწილდება ზე-მოთდასახელებულ სამ მომენტს შორის.

გარდა ამისა, საჭიროა ეს თემა („სოფელი და ქალაქი“) დამუ-შავდეს „ჩვენი თემის“ შემდეგ. რა მოსაზრებით? ჯერ ერთი—ეს თე-მა უფრო რთულია, ვიდრე „ჩვენი თემი“ და, მაშასადამე, უფრო გვიან უნდა იქნეს დამუშავებული. მეორე—„ჩვენი თემის“ დამუშა-ვება წინასწარ გაცილებით უფრო ააღვილებს „სოფელის და ქალა-ქის“ გავლას. მართლაც, თუ ჩვენ გვიხდა ბავშებს შევათვისებინოთ სოფლის და ქალაქის კავშირის აუცილებლობა, საჭიროა ეს კონკ-რეტული და თვალსაჩინო ფაქტებით დავასურათოთ. მაგალითად: კო-ოპერატივის გამოკვლევა, თუ რადარა საქონელი მოაქვს მას სოფ-ლისათვის, ბაზრის დათვალიერებით; ფოსტა-ტელეგრაფის პუნქტის დათვალიერება, რამდენი წერილი და დეპეშა იგზავნება სოფლად, მიმოსვლის საშუალებათა გაცნობა და სხვა. ყველა ამ დაწესებულე-ბას უფრო ნაკლებად შევხდებით ცალკე სოფელში, უმეტეს შემთხვე-ვაში ესენი თავმოყრილია თემის ცენტრში. მაშასადამე, სანამ ბავშე-ბი „ჩვენ თემს“ არ გაეცნობიან, მანამდე სოფლის და ქალაქის დამუ-შავება მიზანშეუწონელია. საჭიროა ამ ორი თემის აღვილის შენაც-ვლება.

ახლა „ჩვენი თემის“ შესახებ არსებითად. მთავარი მომენტები ან ქვეთემები აქ გამოყოფილი არ არის. რომ მასწავლებელს გაუად-ვილდეს სამუშაო პროგრამის შედგენა, საჭიროა ამ თემის დაყოფაც მთავარ მომენტებად.. ასეთი მომენტები იქნება: ა) თემს აღვილ-მდებარეობა, ბ) მოსახლეობა და მისი შრომა-საქმიანობა, გ) მარ-თველობის ორგანოები, დ) კულტურული დაწესებულებანი და მათი საქმიანობა. დასამუშავებელი ძალას სვეტშიც სათანადო გადაჯვრ-ფება უნდა მოხდეს ამ მომენტის მიხედვით და იმ თანმიმდევრობით

როგორც ეს წემოთ პრის ჩამოთვლილი. ასეთივე სახელშოდების მთავარ მომენტებად უნდა დაიყოს „ჩვენი მაზრა“.

დასასრულ, მეოთხე ჯგუფის შესახებ. პროგრამაში მოცემული თემები გამოუკლებლივ უნდა იქნეს დამუშავებული იმ თანმიმდევრობით, როგორც დალაგებულია. თუ მასწავლებელი წვრილმანებს არ გამოუდგება (თემები ისე დეტალურად არის დაშლილი, რომ ამ საფრთხეს ჰქმნის) და მესამე ჯგუფში პროგრამით გათვალისწინებული მასალა კარგად დამუშავდა, მაშინ მეორე ჯგუფშიაც არავითარ დაბრულებას მასალის დატვირთვის და დამუშავების მხრივ აღვილი არ ექნება. პროგრამებს უნდა დაერთოს აუცილებლად განმარტებითი ბარათი მუშაობის აღრიცხვის, აგეგმვის, ცალკე თემების და მუშავების შეთოდების და ორგანიზაციის შესახებ (ბუნებრივია, ამითი უკანასკნელი სვეტი პროგრამაში მოიხსნება).

### კალე შეროზია:

იძულებული არის სამართლის სამსახურის გან. განყოფილების გამგე.

## საგვროთა არჩევნებისთვის გზადება.

განსახლების მე-2 საცდელ-საჩვენებელ სკოლაში.

„მძინარის გალვიძება, ნელის აჩქარება“ — ასეთია ჩვენი სკოლის ლოზუნგი საბჭოთა არჩევნებისათვის.

ა. კომ. კავშირის სასკოლო უჯრედმა, ა. პიონერთა კოლექტურიდა, მოსწავლეთა, კომიტეტმა, პედაგოგიურმა საბჭომ, ყველამ მხურვალედ მოჰკიდა ხელი ამ მუშაობას. მშობელთა, დამხმარე საბჭოც საზოგადოებრივ-პედაგოგიური სექციის საშუალებით ეხმარება ბავშებს. ერთად იქნა განხილული საკითხი, ერთად დამუშავდა კამპანიის გეგმა.

ამ მუშაობაში მოზიდულ იქნენ რკინისგზის სახელოსნოების შემკრება ამქრის წარმოებაში ჩაბმული ახკომეკავშირელები და ამ-კავკ. ქვეითი სამხედრო სკოლის კურსელები.

უზომოდ გაჭედილ ოთახში, ა. კომიტეტის უჯრედის ლია სხდომაზე პირველად იქნა განხილული ეს საკითხი, აქედან მიეცა სახელმძღვანელო ხაზი ყველა საბავშო ორგანიზაციის.

— საჭიროა პიონერებისა და ბავშების „ნაკაზები“.

— მშობლებმა თავისი სიტყვა უნდა სთქვან.

— სკოლა დაეხმარება ოჯახს მიიღოს მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში.

ასეთ აზრს გამოსთქვამდენ ბავშები და პედაგოგები:

შემდეგ კი მუშაობა გაჩაღდა. თითოეული რგოლი ადგენს დარიგებას — „ნაკაზს“. ყველანი შემოკრებილან და კითხულობენ „პიონერსკაია პრავდა“-ს № 95, თუ როგორ ემზადებოდენ არჩევნებისათვის. პიონერები მოსკოვში. აქვეა პედაგოგი, ამხანაგი და თანაშემწე მუშაობაში, აქვეა მშობელი — მუშაქალი — კომუნისტი.

„ნაკაზები“ გრძელ-გრძელი გამოუდით და საკითხებსაც სულ სხვადასხვაგვარს აყენებენ.

— კინო უნდა ამზადებდეს საბავშო სურათებს.

— სახელმძღვანელო წიგნი უნდა გაიაფდეს.

— მოსწავლეს ტრამვაიზე შელავათი უნდა მიეცეს.

— დემონსტრაციები უკეთ უნდა მოეწყოს, რომ ერთ ადგილზე დგომით არ დავიღალოთ.

ახალ-ახალი აზრები სწრაფად სცვლის ერთი-მეორეს. „ნაკაზი“ კი იზრდება და იზრდება.

დაიმუშავეს ანკეტა ოჯახისათვის. ბევრი კამათი იყო, რომ ანკეტა გამოსულიყო რაც შეიძლება მოკლე და ნათელი. შეტანილ იქნა ოთხი საკითხი, რომელზეც უნდა უპასუხოს თვითეულმა ბავშვა, წინდაწინ კი საკითხები თავის ოჯახს უნდა გააცნოს. ეს აღრიცხვაა, რომელიც აუცილებელია შემდგომი მუშაობის და ოჯახის დახმარებისათვის. ბოლოს გამოკიდეს ანკეტაც. ბავშების ერთი ჯგუფი კი თხულობს მას:

ა ნ კ ე ტ ა. 1. შენს ოჯახში ვისა აქვს საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

2. აგისხნეს თუ არა უჯრედში, კოლექტივში, სკოლაში ამ წლის საბარჩევნო კამპანიის მნიშვნელობა და მასში ყველა მშრომლის მიერ მონაწილეობის მიღების საჭიროება?

3. დაეხმარე თუ არა ოჯახს ამ კამპანიის მნიშვნელობის გაგებაში და როგორ?

4. რითი შეუძლია სკოლას დაეხმაროს შენი ოჯახის ყველა წევრის მონაწილეობას საარჩევნო კამპანიაში.

ხვალიდან კი დაიწყება მუშაობის აღრიცხვა: კონკრეტულად ცხადვებით, როგორ და რით დაეხმარება სკოლა ოჯახს, რომ მან მონაწილეობა მიიღოს მომავალ არჩევნებში.

„კედლის გაზეთის მორიგ ნომერში მოცემულია სპეციალური განყოფილება საბჭოთა ორჩევნებისა. და ამ მუშაობაში სკოლის მონაწილეობის შესახებ. კედლის გაზეთის კორესპონდენცია ყურადღება მომართული უნდა იქნეს ამ კამპანიისაკენ. ერთ-ერთ კორესპონდენცია სარეადაქციო კოლეგია ავალებს შეკრიბოს ბავშებში ინტერვიუ ანკერის სახით—ვინ. და ორგორ მონაწილეობას იღებდა საარჩევნო კანკანიაში“, — ასეთი მუხლია შეტანილი სკოლაში კამპანიის ჩატარების გეგმაში.

ამას გარდა აწყობენ აგრეთვე მოძრავ კედლის გაზეთს: „ვეზზადებით საბჭოთა ორჩევნებისათვის“. აქ არის მხოლოდ საგაზეთო მასალა „კომ. პრავდა“-დან, „პიონერ. პრავდა“-დან, „ზარია ვოსტკა“-დან და სხვ.

მშობელთა დამხმარე საბჭოც იღებს მონაწილეობას ამ დიდ მუშაობაში. კომისიებში, კრებებზე მშობლები ეხმარებიან ბავშებს. მუშაობას აწყობს მშობელთა დამხმარე საბჭოს საზოგადოებრივ-პედაგოგიური კომისია. ამას გარდა მშობელთა საზოგადო კრებაზე იყითხება მოხსენება საბჭოთა ორჩევნებში სკოლის მონაწილეობის შესახებ. მშობლები უნდა გაეცნონ ბავშების „ნაკაზებს“.

მაზრის სკოლას უჯრედმა, კოლექტივმა, მოსწავლეთა კომიტეტმა გაუგზავნეს დასახმარებლად თავისი მუშაობის გეგმა, ანკეტა და სპეციალური წერილი: „გიგზავნით რა კამპანიის ჩატარების გეგმას“, — სწერენ ბავშები თავის მაზრელ ამხანაგებს, — „გთხოვთ გვაცნობოთ, თქვენი ახ. კომეკავშირის უჯრედი როგორ მონაწილეობას იღებს ამ კამპანიაში, როგორი „ნაკაზები“. გამოიმუშავეს თქვენმა ბავშებმა. ამას მოსდევს წინადადება, რომ შემდგომ გაბმულ იქნეს კავშირი სკოლებს შორის.

საქმე დაწყება! ქალაქელი ბავშების შეურგალე კომკავშირული სალამი ნაწილობრივ მაინც გაუადვილებს ძელ მუშაობას მაზრელ კმხანაგებს.

### ა. ზღემოვა

მე-2 საცდ.-საჩ. სკოლის მასწავლებელი.

## გიგლიორგაზის

კართული ენის სახელმძღვანელოთა განხილვა.

განათლების კომისარიატის მიერ ახლახან გამოცემული ქართული ენის პროგრამიდან<sup>1)</sup> მკაფიოდ ჩანს, რომ საჭირო ყურადღება აქვს მიქცეული ქართულ ენას შრომის სკოლებში. პროგრამას წარმძღვარებულ განმარტებით ბარათში გარკვევით წერია შემდეგი: „მასწავლებლის რიგიანი მომზადება, სათანადოდ შედგენილი სახელმძღვანელო და სამუშაო წიგნი უთუოდ თავდები იქნება იმისა, რომ ჩვენ ენობრივად განათლებული, სწორმეტყველი, კვლევისა და დაკვირვების უნარგამახვილებული თაობა გვეყოლება“ (გვ. 15). წამოყენებულ საკითხთაგან პირველის გამორკვევა—თუ რაოდენ არის ან არ არის მასწავლებლობა ამ მხრით მომზადებული—ჩვენს მიზანს არ შეადგენს. ჩვენი განზრახვაა შეძლებისდავგარად მიმოვიხილოთ ის სახელმძღვანელოები, რომელნიც ქართული გრამატიკისა თუ ენის დაკვირვებისა და მეთოლიკური წერილების სახელით არიან ცნობილი და გამოვარკვიოთ, ერთის მხრით, თუ რამდენად მართებულად არის გადმოცემული ქართული ენის თვისებები, და, მეორის მხრით, ითვალისწინებენ თუ არა პროგრამაში მოქცეულს ყველა ენობრივს მოვლენას. ამ ორი საკითხის გაშუქებით, ვთიქონობთ, მასწავლებლებს ოდნავ მაინც დახმარებას გავუწევთ...

I. o. ზოკოლაიშვილი. ქართული ენის გრამატიკა... სახელგამი, 1927  
(სავსებით გადამუშავებული და შესწორებული მექანიკური გამოცემა სახელგამი, 1927)

წიგნი დანიშნულია სახელმძღვანელოდ. მთლიანი შრომის სკოლის მეორე საფეხურის პირველი კონცენტრისათვის. მისი ავტორი, ძველი პედაგოგი და ქართული ენის ბუნებაში გარკვეული, შეეცადა შაბლონური გრამატიკა ყველა ატრიბუტით, არაგრამატიკული კატეგორიებით, უარეს და მოეცა მეთოდოლოგიურად მისგან განსხვავებული, ახალი გრამატიკა. მაგრამ, როგორც თითონ სამართლიანად შენიშნავს, „სწორი ხაზი ბოლომდე ვერ, გაიტანა“<sup>2)</sup>, და

<sup>1)</sup> დაბეჭდილია სხვა საგნის პროგრამებთან ერთად ცალკე წიგნად, სათაურით: „მთლიანი შრომის სკოლის პროგრამები და მეთოდური წერილები; მეორე საფეხურის პირველი კონცენტრი (V, VI და VII ჯგუფი)“, ტფ. 1928, გვ. 12—17.

<sup>2)</sup> იხ. „განათლების მუშაკი“. 1928 წლ., № 1, გვ. 47.

ამიტომ ფორმალი გრამატიკის შედგენის პირველი ცდა მარცხით და-მთავრდა. დღეს იგი ძევლისა და ახალი მიმართულების შეერთების, ძველი პირის ახალ სარჩულთან შეხამების შთაბეჭდილებას ტოვებს; ასეთ გარემოებაში, ცხადია, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ ზოგიერ-თი გრამატიკული ტერმინი გამართლებული ვერ იოს. მაგრამ არც ის იყო მოულოდნელი, თუ პირველი ცდა შეცომებისაგან დაზღვეუ-ლი არ აღმოჩნდა, რადგანაც: 1. მრავალი საკითხი ჯერ კიდევ საკითხობს და 2-ც, ქართული ენის მეცნიერული შესწავლის ის მი-ლწევები, რომელიც ქართ. ენის კათავდრას მოეპოვება, ჯერ კიდევ გა-მოქვეყნებული არ არის. ამიტომ რიგი ბრალდებებისა შეიძლება ავ-ტორს „მოვხსნათ“, და მისი უთუო დამსახურება ფორმალი გრამა-ტიკის ზოგიერთი პრინციპის შრომის სკოლის ნიადაგზე დანერგვაში ვეძიოთ. ათეული წლებით მიღებული გრამატიკული ყინულის გაღმო-ბითა და მასწავლებელთა შორის განმტკიცებულ ტრადიციაში ოდნავ მაინც შეეჭვებით მან, აღბათ, გარკვეული როლი შეასრულა: ვგუ-ლისხმობთ, რომ ამიერიდან ფორმალი გრამატიკა ადვილად გაიკა-ფავს გზას.

### სა სცოდეთ- რას სცოდავს ხსენებული გრამატიკა?

1. მასალისათვის. პროგრამაში გათვალისწინებული ფონეტიკურ-შორეულობიურ-სინტაქსური მოვლენები არამც თუ ყველა განხილუ-ლი ამ გრამატიკაში, არამედ ისეთი საკითხებიც კია გაშუქებული; რომელთა უგულებელყოფა შეცომების რიცხვს შეამცირებდა და სახელმძღვანელოსაც შვიდწლების ფარგლებში ოდენობის მხრით არა დააკლდებოდა რა. ყოველ შემთხვევაში გრამატიკის ნაწილების „ლა-რიბად“ წარმოდგენაში მას წუნი არ დაედება. ოლონდ პროგრამას-თან შეფარდებისას როი ნაკლი უთუოდ თავს წამოყოფს:

ა. სა და ო სა კი თ ხები ს შ ე ტ ა ნ ა ს ა ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ . ე ლ რ-ში და ბ. მა ს ა ლ ი ს უ მ ა რ თ ე ბ უ ლ ი დ ა ლ ა გ ე ბ ა .

ა. სა დ ა მ , უარეს შემთხვევაში, გამოურ კვეველი საკითხი სახელმძღვანელოში უმჯობესია არ შევიტანოთ. მხედველობაში გვაქვს მახვილი (§12), რომლის შესახებ ნათქვამისა: „ყოველ სიტყვაში ურთ-ერთი მარცვალი დანარჩენებზე უფრო გრძლად და ხმის აწევით გამოითქმის“, და ერთგვარი წესიც კია დადგენილი, რომ სამსა და მეტ-მარცვლიან სიტყვებს თითქოს ბოლოდან მესამე მარცვალზე მო-დიოდეს მახვილი, რაც ჯერ კიდევ დასამტკიცებელი რომ არის, ჩანს აკად. ნ. მარის სხვანაირი გაგებიდან,—მისი სიტყვით ოთხსა და ხუთმარცვლიანებს შეუძლიათ ატარონ ორი მახვილი, მაგ.: მარგალი-

ტი, მაშენებელი, და თუ მეტმარცვლთანია; მაშინ უსათუოდ ასეათ: აღმაშენებელი<sup>1)</sup> აშეარაა, აზრთა ასეთი სხვადასხვაობა გამოწვეულია თვით ქართულის მახვილის თავისებურობით: სმენისათვის იგი არც ისე ადვილი დასაჭერია და ამიტომ, ვიდრე გამორკვეული არ იქნება, თუ როგორი მახვილი გვაქვს ქართულში, მანამდე ნააღრევია მისი ლოკალიზაცია; ამდენად გრამატიკაში მოცემული განმარტებით მისი „არსებობა“ მიუღებულია. სჯობია სულ ამოვილოთ. თუ ვისშე სურვილი მაინც დაებადება მახვილის საკითხს შეეხოს, მაშინ ვურჩევთ რუსულს შეუდაროს და ქართულის მახვილის თავისებურობა მისთვის ნათელი გახდება... სხვა საღაო საკითხის ამოშლაზე, როგორიცაა მაგ.: დამარცვლა და მეორე სტრიქონში გადატანა, ან ქვემდებარებადატება გარდამაყალ ზმნებთან და სხვა—არაფერს ვამბობ, რადგანაც ზოგი მათვანი ორთოგრაფიას განეკუთნება და სათანადო წესის დადგენა კი შეთანხმების საქმეა, ზოგიც გამორკვეულია; ყოველ შემთხვევაში ისე ბნელი არ არის, როგორც მახვილი; ზოგიც პროგრამაში არ არის შეტანილი, მაშასადამე, გრამატიკიდანაც თავისთავად გაძევებულია...

b. მასალის დალაგება ან „გრამატიკის დაშლა-დაქუცმაცება“. ავტორს აუცილებელ საკიროებად არ მიაჩნია, რადგანაც: გამოცდილი მასწავლებელი პროგრამის მიხედვით აღვილად ამოპკრეფს საჭირო მასალას ამა თუ იმ ჯვეფისთვისო („განათლების მუშ.“, გვ. 44). მის მისაზრებას იმ შემთხვევაში დავთანხმებოდით, თუ ავტორი დაგვარწმუნებდა, რომ: 1. ქართ. ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ყველა გამოცდილია, 2. პროგრამა ისე ვრცლადაა დამუშავებული, რომ გრამატიკის ყოველი სათაურია გათვალისწინებული და 3. ჩვენს მასწავლებლობას იმდენი მომზადება აქვს და დრო მოეპოვება. რომ სულ ადვილად შეიძლება „ამოკრეფის“ პროგრამის მიხედვით საჭირო ნასალისას. დაგვეთანხმება აეტორი, რომ გამოცდილი მასწავლებელი ძველს გრამატიკას იცავს, მისთვის უცხოა: სუბიექტურ-ობიექტური პრეტიქსები, ფონეტიკური მოვლენები (რედუქცია, ასიმილაცია-დიკიმილაცია...), მართვა, შეთანხმება და სხვა. ის ან: არ „ამოპკრეფს“ ან ვერ „ამოპკრეფს“. ახალი პედაგოგი, თუნდაც იგი თანამედროვე გრამატიკაში გავარჯიშებული იყოს, გამოუცდელია და ამიტომ კარგად მაინც ვერ „ამოპკრეფს“... ერთი სიტყვით, საჭიროა ეს სახელმძღვანელო ან ელო პროგრამის მი-


<sup>1)</sup> ი. H. Marr, Грамматика эр.-лит. грузинского языка, Ленинград 1925, № 16. მაგალითები ზისია.

ხ ე დ ვ ი თ შედგეს. ამგვარს მოთხოვნილებას ამ წიგნს აქამდე არ ვუყენებდით, იმიტომ რომ პროგრამაც ვერ იყო შესაფერისად დამუშავებული, თუმცა, ავტორს, როგორც ძველს პედაგოგს, შეეძლო ზოგიერთი დეფექტი მასალის განაწილებაში თავიდან აეცილებინა, ე. ი. ადვილიდან ძნელზე გადასულიყო, ჯერ მთავარი და აუცილებელი განემარტა, შემდეგ კი მეორეხარისხოვანი. სახელდახელო ნიმუშად ქვემომოტანილიც კმარა: ფორმიანი და უფორმო სიტყვების გარჩევისას (§ 22, გვ. 23) ვკითხულობთ, რომ: ... ბეგრა ი გვაგებინებს მხოლოდითი რიცხვის სახელობითი ბრუნვის მნიშვნელობას, ხოლო მხოლოდითი რიცხვი და სახელობითი ბრუნვა მისი ი ნიშნით განხილულია შე 49 და 50 (გვ. 82, 83); ან კიდევ: „სიტყვაში „ჰერაკლი“ ბეგრა ჲ გვაგებინებს, რომ ეს მოქმედება გარდამავალია, უკანასკნელი ბეგრა ს გვაგებინებს, რომ მოქმედი მესამე პირია, მთელად სიტყვა ჰერავს გვაგებინებს, რომ მოქმედება თხრობითი კილოს, აწმყო დროს მხოლოდითი რიცხვის მესამე პირისაა“ (§ 22)—თითოეული მათგანი კი შემდეგაა განხილული, მაგ.: თხრობითი კილო 30 გვერდზე (§ 31), აწმყო დრო—31 გვ. (§ 32), მესამე პირი 33 გვ. (§ 33) და სხვა განა უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ჯერ გაგვეცნო პირი, რიცხვი, დრო, კილო, გვარი ცალ-ცალკე, სხვადასხვა ნიმუშზე, რა თქმა უნდა, და შემდეგ წარმოვედებინა ასეთი დახასიათება?! ეგვევ ითქმის ზმნაზე, სახელზე, სინტაქსურ და არასინტაქსურ ფორმებზე და სხვა, რომელთა რიცხვი არც ისე მცირეა. მაგრამ მათ შესახებ აქ ზედმეტია ლაპარაკი, რადგანაც მასწავლებელს, ვიღრე უკეთესი სახელმძღვანელო ექნებოდეს, პროგრამის მიხედვით მოუხდება მასალის ამოკრეფა, პროგრამაში კი თანამიმდევრობა დაცულია. ქვევით მთავარ შეცომებზე შევჩერდებით.

2. მეტყველების ნაწილები. მეტყველების ნაწილთა ისტორია ამჟამად არ გვაინტერესებს; ვიცით. რომ სხვა უნის სახელმძღვანელოთა მიბაძვით ჩვენშიაც განმტკიცდა მეტყველების ცხრა ნაწილი. ამ შხრით არც ხსენებულს გრამატიკაშია რაიმე ახალი, იგივე არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნისართი, თანდებული, კავშირი და შორისდებული. იგივე ტერმინები, იგივე ნაწილები და იგივე განმარტება. საკლასიფიკაცია ნიშნად ან სიტყვის შინაარსია ალებული ან ფუნქცია, მაგ.: „არსებოთი სახელი აღნიშნავს საგანს“... (§ 45), ხოლო „თანდებული... გვიჩვენებს საგნებს შორის სხვადასხვა ურთიერთობას“ (§ 60) ან კიდევ: „...ზე; ზენ, ჩვენ... საგნების სახელის ნაცვლადა ნახმარი“ (§ 54). პირველს შემთხვევაში არსებითი სახელების გამოყოფა ხდება

მნიშვნელობის მიხედვით, უკანასკნელ ორს შემთხვევაში, კი დანიშნულების, ფუნქციის მიხედვით; ცხადია, იცვლება fundamentum divisionis; ასეთ პირობებში შეუძლებელი არ არის ცხრაზე მეტი ნაწილის მიღება. ახალი ამ გრამატიკაში არის ის, რომ ძველს განსაზღვრებას ზოგჯერ უსწრებს ფორმალი მხარის აღნიშვნა, მაგ. „არსებითი სახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც იცვლება ბრუნვებსა და რიცხვებში“ (§ 45), „ზმნა არის მეტყველების ნაწილი, რომელიც იცვლება პირებსა, რიცხვებსა, დროებსა და კილოებში“ (§ 27). აკტორს რომ მორფოლოგიდან სიტყვის ცვლა მოემარჯვებინა საკლასიფიკაციოდ, მაშინ მეტყველების ცხრა ნაწილის ნაცვლად სულ რამდენსამე მიიღებდა, სახელდობრ:

### სიტყვები



აქედან ჩანს, რომ ფორმიანი სიტყვა იცვლება; იცვლება ან ბრუნვის მიხედვით ან პირის მიხედვით. ბრუნვის მიხედვით ცვალებადნი არიან: არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი და ნაცვალ-სახელები, ამათვე უერთდება ე.წ. ნაზმნარი სახელები: „სახელზმნა“ და მრმლება. ფორმის თვალსაზრისით მათ შორის არავითარი განსხვავება არ არის, ამიტომ მათ ვარქმევთ სახელს; უნდა ითქვას, რომ ე. ნიკოლაიშვილი თავის გრამატიკაში მათ შორის ფორმალ მსგავსებას ამჩნევს და კიდევ განმარტავს, რომ: „არსებითი სახელი... იცვლება ბრუნვებსა და რიცხვებში“ (§ 45), „ზედსართავი სახელი მსგავსად არსებითისა იცვლება ბრუნვებსა და რიცხვებში“ (§ 51). რიცხვითი სახელები,... „ისე იცვლებიან ბრუნვებსა და რიცხვებში, როგორც არსებითი სახელები“ (§ 56), ეგევეა თქმული ნაცვალსახელების შესახებ (§ 55). მაგრამ ამ ფორმალ იდენტობას განდასების დროს უყურალდებოდ ტოვებს. ჩაც შეეხება უფორმოზ, მის ქვეშ თავმოყრილი არიან: ზმნისართი, თანდებული, კავშირი და სიტყვა-შორისდებული... ამათ შესახებ საგანგებო წერილი გვექნება.

მეტყველების ყოველი ნაწილის განსაზღვრება უნდა იყოს მოცემული მისი აუცილებელი ნიშნის მიხედვით. არ ვარგა, რომა არსებითი სახელის შესახებ ვამბობთ: იცვლება ბრუნვებსა და რიცხვებში, ან: ზმა არის მეტყველების ნაწილი, რომელიც იცვლება პირებსა, რიცხვებსა, დროებსა და კილოგრამში (§ 27), იმიტომ რომ სახელის გამოსაყოფად იუცილებელი ნიშანი არის ბრუნება, რიცხვი მისთვის უსათუო არ არის, რადგანაც: 1. მხოლოდითი და მრავლობითი ოცხვი ზმნასაც გააჩნია და 2. მთელს რიგს სახელებისას მრავლობით რიცხვში ვერ ცცილით, მაგ.: ქვიშა, რძე, ვერცხლი, წერა, ხატეა, ვინ და სხვათ. ზმნის მიუცილებელ ნიშნად პირის ფორმა ითვლება; რიცხვებსა და დროებში ცცლა სახელთაც ახასიათებს (მაგალ. მიმღებებს: მკითხველი, წაკითხული...), ამდენად უკანასკნელთა მეოხებით სახელისა და ზმნის ერთმანეთისაგან გარჩევა ძნელი გახდებოდა. არის ისეთი ზმნაც, რომელიც მრავლ რიცხვში არ გვევლინება, მაგ.: ოოგს, წვიმს და სხვ.

სასკოლო გრამატიკაში უნდა ვეცადოთ სხარტი, გარკვეული განსაზღვრების შეტანას. მიხვეულ-მოხვეულ განსაზღვრას სირთულის გარდა შეიძლება შეცომაც დაერთოს, როგორც ეს დაშვებულია ე.წ. სახელზმნის მიმართ (გვ. 29, შენიშვნა). ნათქვამია, რომ სახელზმნა, არის ზმნის ერთგვარი ფორმა, რომელიც არც დროს აჩვენებს, არც რიცხვს, არც პირს, არც კილოს“, რაც, აშეარაა, ზმნა არ შეიძლება იყოს, მას ზმნის არცერთი დამახასიათებელი ნიშანი არ აღმოაჩნდა. შეუძლებელია „ერთსა და იმავე დროს სახელიც“ იყოს „და ზმნაც“, იგი მხოლოდ სახელია. მომავალ სახელმძღვანელოებში ადგილი უნდა დაითმოს ფორმალ განმარტებებს. მართალია, ეს მძიმე საქმეა, მაგრამ აუცილებელია.

3. ტერმინებისათვის. ახალს გრამატიკაში ახალი ტერმინია საჭირო, მით უმეტეს ეს სჭირდება ქართულს; რიგი ტერმინებისა ქართულისათვის უნდა შეიქნას. საგანგებოდ: უცხოურით გაღმოლებული ქართულს ვერ აქმაყოფილებს, ზოგიც ცხადია, უვარგისია. შაგრამ ახალი ტერმინი უთუოდ უნდა ღირდეს განსამტკიცებლად. ამას ვერ ვიტყვით დროთა მესამე ჯგუფის ნამყოს. „ნამყო რელატიურით“ მონათვლის შესახებ. „ნამყო რელატიურის“ შემოტანა მიუღებელია, იმიტომ რომ მოქმედებითი გვარის ზმნები აწმყოში, აორისტში, ყველა რელატიურია, მაგ: დაფშერა, დამიწერა, დამწერა, და სხვა. მაშასადაც ნამყო რელატიურად ესეც შეიძლება მივიღოთ და ისიც. სად დაიდება ზღვარი? ვერ იტყვით, რომ დროთა მესამე ჯგუფის ნამყო მხოლოდ სასხვის ქვევის ფორმით. ეყოს წარმოდგენილი, გვხდება, საჭირო

ქცევითაც. მაშასადამე, მისი შეცვლა საჭიროა უფრო მოხერხებული  
ტერმინით...

ამ ზოგადი მიმოხილვის შემდეგ შეიძლება ზოგიერთ შეცორ-  
მებს მივაქციო მკითხველის ყურადღება. მივყვეთ გვერდობლივ. აქაც  
შედარებით სხვებთან წვრიმალი გამოტოვებული იქნება,

1. ფონეტიკა (გვ. 3—11) უკეთეს დამუშავებას მოთხოვს: აფ-  
რიკატების (გვ. 5) ამგვარი წარმოდგენა, თიხაქოს წ უდრიდეს ტს, ან  
ჰ=ტშ, საჭირო არ არის, მათ შესახებ სხვა აზრი არსებობს... ხმო-  
ვანთა და თანხმოვანთა არსებით განსხვავებაზე, რასაკირველია,  
ორივდე სიტყვა მაინც უნდა ითქვას. ქართული ფ, ქ, პ, ტ და ზო-  
გიერთი სხვა ბგერაც საგანგებოდ უნდა აღვწეროთ. მათ შეგნებულ  
ცოდნას მნიშვნელობა ენიჭება რუსულის შესწავლისას...

2. ასიმილაციის მაგალითებიდან ამოსალებია: „შაშქამს, შაი-  
ტანა, შავიდა“ და „შაშქამს“ სიტყვის შესახებ შენიშვნა, აქ დამსგავ-  
სებას არა აქვს ადგილი (გვ. 16).

3. ბგერისნაცვლობის (§ 16) ნიმუშად ვერ გამოდგება: ასე—  
ესე; აგრე—ეგრე, აგრეთვე—ეგრეთვე; ენაში ორივე არსებობს: პირ-  
ველი უახლოეს საგანს მიუთიობს და მეორე უფრო შორეულს.

4. რედუქციაში (§ 18, გვ. 21; 86) უნდა იხსნას ოს ნულამ-  
დე დასელის მიზეზი, სახელდობრ: რედუქციის გამო ო იქცევა გლ, მაგრამ უკანასკნელი იკარგვის ბილაბიალი ბგერის მეზობლად: დი-  
ლომი, ნათეს. ბრ. დილვმის—დილმის; საპონი: საპნის—საპნის...

ამოსაშლელია ასეთი წესიც, თითქოს სამმარცვლოვანზე ნა-  
კლები ციტუვის ფუძიდან რედუქციის ძალით ხმოვანი იშვიათად ვა-  
რდებოდეს (გვ. 21); იქვე მოტანილი ლექსის მაგალითებში ასეთი  
ნიმუშების შერჩევა შეიძლება: ტყე—ტყ-ის, მთა—მთ-ისა და სხ.

შედარებით რიგიანადაა დამუშავებული მორფოლოგია, თუ მა-  
სალის ცუდად დალაგებას არ მივიღებთ მხედველობაში. ფორმიან  
და უფორმო. სიტყვათა დახასიათება სახელებისა და ზმნის გარჩევი-  
სას უნდა მოხდეს, ამას მოითხოვს აწინდელი პროგრამა. მკაფიოდ  
უნდა განისაზღვროს: ძირი, ფუძე, პრეფიქსი, პრეფიქსი,  
ფლექსია და სხ.

ზმნებში (§ 27—44) უნდა გამოიყოს ერთთემიანი და ორთე-  
მიანი ზმნები; უკანასკნელთა ნიშნების (-ებ,-ებ,-ავ,-აზ და სხ.)  
მიმოხილვა ვრცლადაა საჭირო. პრევერბების ფუნქცია (მიმართულე-  
ბის ჩვენება, ასკექტის გამოხატვა, დროის საწარმოებლად, გამოყენე-  
ბა) აშეარა და ნათლად უნდა გამოიკვეთოს.

ზმნაში პირის ნიშნების ძიებისას (§ 33) ქვემდებარე-დამატების ნაცვლად სხვა ტერმინის ხმარება უმჯობესია. შეცომა (გვ. 34), როცა ავტორი გვეუბნება, თითქოს მე და ზენ სუბიექტს „დამატებად სამივე პირი“ ჰქონდეს.

მე—ზენ გ-წერ მე—მას ვ-ს-წერ	ზე-ს ობიექტი იქნება ზენ და მას, შე- უძლებელია მე იყოს, მაშასადამე, ორი პირია და არა „სამივე“.
--------------------------------	---

დროთა მიმოხილვისას (ფფ 35—37) უთუოდ საჭიროა დროთა მაწარმოებელ და პირის აღმნიშვნელ ელემენტთა ტაბულა. არ უნდა და გამოვრჩეს რომ ნამყოფსრულში -ი თემიანი საშუალ-ვნებითი გვარის ზმნები -ოს ჩაირთვენ: ყვირ-ი-ს—ყვირ-ო-და; იწერება-რ-ს—იწერებ-ო-დ-ა და სხვა. კონიუქტურივ. I'ის ნიშანი -დე-ა არა -დ და სხვა. ამისდამძხედვით ზმნათა ცხრილებში (გვ. 44—53) ფორმალი ელემენტები მეტი სისწორით უნდა იყოს გამოცალებებული, ვი- დრე აქ არის, მაგ.: ვწერ-დი, თლი-და; ვწერდე... უნდა გამოიყოს: ვწერ-დ-ი, თლ-ი-დ-ა, ვწერ-დე და ასე...

მიმღეობის (§ 39) განსაზღვრება და წარმოება უკეთეს და მუშავებას მოითხოვს.

რაც შეეხება არსებით, ზედსართავ, რიცხვით და ნაცვალსახე-ლებს (ფფ 45—58), მათგან სიტყვის მწარმოებელი ელემენტები უნდა გამოიყოს და ცალკე იქნას წარმოდგენილი უფრო ვრცელი სახით (მაგ.: კნინობითობის სუფიქსები, ხარისხის, რიგის და სხვა. ასეთი წარმოებანი). ბრუნება ამ სახელებისა, ნაცვალსახელების გამორიცხ-ვით, შედარებით კარგადაა შესრულებული. ოლონდ-ხი და-თხ სუ- ფიქსების ნათესაობითისა და მოქმედებითი ბრუნების ნიშნებად მიღება შეცოობა.

სახელის სახელთან ბრუნება (მაგ. კეთილი კაცი, ვატარი- ფიცარი...) სინტაქსშია მოსაქცევი; მსაზღვრელი სახელის ბრუნება- დაკვირვებით უნდა აღწერა.

გრამატიკის დანარჩენ ნაწილს საფუძვლიანად სჭირდება გადამუ- შავება. სინტაქსი იმდენად მოიკოჭლებს, რომ შეცომებზე მითითებას საკმაო ადგილი მოუნდება...

### დ ა ს კ ვ ნ ა.

როგორც ზევით ვთქვით, წიგნმა უთუოდ გარკვეული სამსახუ- რი გაწია: ის გახდა „შუამავალი“ ძველსა და ახალ გრამატიკას შორის; ნიადაგი შეამზადა უკანასკნელისათვის. ახალი გრამატიკის მოთხოვნილებებს იგი დღეს ვერ აქმაყოფილებს.

ვ. თოფურია.

თესლი 1928 წლის 24-25 დღების მატერიალის შესახებ მუნიციპალური კომისიის მიერ გვიცნეთ საქართველოს კურსების მიზანის შესახებ უძლიერი მატერიალის გამოყენების შესახებ. ამავე დღეს გვიცნეთ ასევე მას მიერ გვიცნეთ საქართველოს კურსების მიზანის შესახებ უძლიერი მატერიალის გამოყენების შესახებ.

## დაუსწრებელ კურსებზე ჩაწერილთა და ჩაწერის მსურველთა საუფრადღებოდ.

ჩვენ მოგვდის შეკითხვები და უსწრებელ კურსებზე ჩაწერის შესახებ.

კურსებზე ჩაწერა გაგრძელებულია.

კურსებზე ჩაირიცხებიან მხოლოდ უურნალის „ახალ“ სკოლისა და „კენ“ ხელისმომწერნი, შევსებული ანკეფის გადმოგზავნის შემდეგ.

ცნობები კურსების პროგრამისა და ორგანიზაციის შესახებ ის „ეხ. სკ.“ 1928 წ., №№ 7-8 და 9; და აგრეთვე ამა წლის ოქტომბრიდან უურნალის ახალი განყოფილება: „დაუსწრებელი კურსები“, „ახ. სკ.“ 1928-29 წ. №№ 1-2 და შემდეგ.

საკონტროლო დაგალება დაეგზავნება თითოეულ მსმენელს მეტ სამეტ დავალების დამუშავების შემდეგ.

ვთხოვთ დაუსწრებელი კურსების შსმენელებს და აგრეთვე უურნალის მკითხველებს გამოთქვან აზრი დაუსწრებელი კურსების მასალის შესახებ: რა არის მისალები, და რა არის შესასწორებელი როგორც შინაარსის, ისე ენის და დავალებების სიაღვილე-სიძნელის მხრივ.



## საგვოთა სკოლის შრომითი რაოდა.

### I. დაფალების შიზანი

საბჭოთა სკოლის თეორიისა და პრაქტიკის შესწავლის მეოხედით გამოირკვეს შრომითი ოღზრდის რაოდა და ძირითადი მიმართება.

### II. დაფალების შინაარსის განმარტება.

შრომა, როგორც შინაარსი, როგორც განსაზღვრული პრინციპი, რომლითაც სკოლის მთელი მუშაობაა გამსჭვალული, თეორიულად სავსებით სწორად უკვე რევოლუციის პირველ წლებშივე იყო დაყენებული. მაგრამ შრომითი ოღზრდის იდეის პრაქტიკული განხორციელება ბზირად მეტად მახინჯ ფორმებს ლებულობდა და ბევრი მის შესახებ შემცდარი წარმოდგენისა იყო.

შრომის სკოლას თავისი ისტორია აქვს და სხვადასწერა ხანაში სხვადასხვა პედაგოგის მიერ მისი სხვადასხვანაირი გაგება და განმარტება დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკისა და ტექნიკის მდგომარეობაზე და იმაზე, თუ რომელ სკოლას ექვთვნოდა ესა თუ. ის პედაგოგი. შრომის სკოლის გაგების მთელ ამ სხვადასხვაობაში შეიძლება ორი მთავარი მიმართულება დავსახოთ. პირველი მიმართულება განიხილავს შრომას, როგორც მოქმედების ფუნქციას, როგორც სკოლის პროგრამის შეოვისებისათვის ხელშემწყობ კუნთურ-მოტორულ მოძრაობას, როგორც მასწავლებელთა აქტივობისა და თვითმოქმედების გამოვლინებისათვის ხელშემწყობ მეთოდს მუშაობისას, როგორც ილიუსტრაციას პროგრამებით მუშაობისათვის.

მეორე მიმართულებას შრომა მიაჩინია საზოგადოებრივ-სასარგებლო ხასიათის ფუნქციად, რომელსაც უწინარეს ყოვლისა განსაზღვრული სოციალური მნიშვნელობა აქვს. ამ მიმართულებიდან გამომდინარეობს ორი დაყენება: ხელოსნურ-პროფესიონალური და პოლიტიკური. ხელოსნურ-პროფესიონალური დაყენება იმაში გამოიხატება, რომ შრომა შეაქვთ როგორც ცალკე საგანი, როგორც შეზღუდული დარგი, რომელშიც უნდა სწარმოებდეს მოსწავლეთა სპე-

ციალიზაცია და ჯერ კიდევ ზოგადგანმანათლებელ სკოლაში შათო  
მომზადება ამა თუ იმ პროფესიისათვის.

პოლიტექნიკური დაყენება კი გამოიხატება სწავლებისა და  
წარმოების დაკავშირებაში, შრომითი საქმიანობის ყოველმხრივ შეს-  
წავლაში, მთელ რიგ ტექნიკურ ჩვევათა და ცოდნათა შეძენაში, რაც  
აუცილებელია გარკვევისათვის თვითოულ წარმოებაში. ნ. კ. კრუპ-  
სკია ერთერთ წერილში ეხება პოლიტექნიკურ სკოლას და ამბობს:  
„ეს არ ნიშნავს სკოლას, სადაც რამდენიმე ხელობას სწავლობენ,  
არამედ სკოლას, სადაც ბავშები სწავლობენ შრომითი პროცესების  
რაობის, აღამიანთა შრომითი საქმიანობის რაობის გაგებას, ეცნობიან  
მისი წარმატების პირობებს და საკუთარი ძალოონის შეგნებას  
სწავლობენ“.

### III. სამუშაო მასალა.

## შრომა სკოლაში.

### I. ფარსული წლების პრაგტიკა.

შრომის საკითხი სკოლაში — ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხ-  
თაგანია. ამავე დროს სახელდობრ ეს საკითხი ყველაზე ნაკლებაა და-  
მუშავებული, ჩვენი საბჭოთა სკოლის არსებობის შვიდი წლის გამო-  
ცდილება შრომის მხრივ ყველაზე ნაკლებაა აღრიცხული. უფრო მე-  
ტიც — შრომის საკითხი არც კია ნათლად, გაუფილ და ზუსტად ჩა-  
მოყალიბებული.

როგორ აყენებდენ შრომის საკითხს შრომის სკოლის პრინცი-  
პების გამოცხადების დღიდან ჩვენში? აქ შეიძლება დავსახოთ სამი  
ძირითადი მიმართულება.

პირველმა მათგანმა, რომლისთვისაც ჩვენ შეგვეძლო გვეწოდე-  
ბინა „წმინდა პედაგოგიური“, საკითხის დაყენება ზოგიერთი ბურ-  
უაზიული პედაგოგ-რეფორმისტისაგან გაღმოილო. ძირითადი მიღვო-  
მა აქ სწავლების მეთოდიების თვალსაზრისს ემყარება. საკითხის და-  
ყენება ასეთია: სკოლას აქვს წმინდაწინ მიცემული ესა თუ ის სასკო-  
ლო სასწავლო პროგრამა, ე. ი. ასეთი თუ ისეთი თანამიმდევრობით  
ჩამოთვლა იმისი, რაც უნდა „გავლილი იქნეს კურსის მიხედვით“. „კურსის“ გავლა სწარმოებს სხვადასხვა ხერხით — წიგნურით, ექს-  
კურსიულით და ლაბორატორიულით და სხვ. მაგრამ ვინაიდან პედა-  
გოგიერ გვასწავლის, რომ მხედველობითსა და სმენითს შთაბეჭდი-  
ლებებს გარდა სასარგებლოა, ცოდნას უკეთ შესათვისებლად, მოტო-

რულ შოაბეჭდილებათა მოზიდვაც, ამიტომ კურსის გავლის მეთოდი— კაში შიგაღაშიგ ერთვის კუნთური. ძრაობის პრიციპიც. აქედანაა— ძერწყვანხატვა, მუყაოზე მუშაობა, სხვადასხვა მოდელების კეთება, საერთოდ, ხელსაქმე. აქედანვეა ეგრეთწოდებული „ლაბორატორული შრომითი მეთოდიც“, რომელიც თითქო ახალს არ შეიცავს. აქედანვეა: სიტყვები, რომელმაც უკვე კბილი მოგვკვეთა: „შრომითი პროცესები“. სკოლაში.

ეს თვალსაზრისით რევოლუციის პირველ წლებში განახლებული იყო იმით, რომ მოტორულობის პრიციპი გადაიტანებოდა ფიზიკურ შრომაზე, რომელსაც უკვეთს შემთხვევაში დაუწყეს. მიუწვენება „საწარმოო“ (სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით) ხასიათისა, ე. ი. სკოლას ზოგიერთი რაღაც სახელოსნოები მიაშენეს.

საქმით კი გამოდიოდა, რომ შრომა შედიოდა სკოლაში დანაწევრებულად, ნაჭრობით, მოზაიქურად; შრომა ჰქარგავდა თავის მთლიანობას, ის თითქო როგორლაც გვერდით ჰქონდა მიკრული სკოლას, მხოლოდ თავისებურ სასწავლო სახელმძღვანელოს წარმოადგენდა.

ასეთი მიდგომისას განსაზღვრულ მომენტს წარმოადგენს სასწავლო პროგრამა, შრომა კი იღებს კურსს სასწავლო პროგრამაზე და მას ექვემდებარება. ამიტომ შრომა აქ დაყიდულია (კალკუ „შრომითი პროცესებად“, რომელიც არ არიან შინაგანი მთლიანობით დაკავშირებული).

ნამდვილად საქმე განისაზღვრება იმით, რომ დაგროვდა მეთოდური გამოცდილება ამა თუ იმ სასკოლო დისკიპლინის თვითეული განყოფილების დაკავშირებისა შრომის რომელიმე პროცესთან. იმედი გვერდია, რომ მთელ სასკოლო სწავლებას ამნაირად დავაყენებდით, თითქო მხოლოდ სათანადო გამოცდილება გვაკლდა. მაგრამ მალე დავრწყმუნდით, რომ შრომის პრობლემის გადაჭრის ცდა ასეთი მეტად ვიწრო საშუალებით წარმატებით ვერ დამთავრდებოდა. ამოცანის სიმწვავე თანდათანობით შენელდა, ბევრმა კი, მარცხის განცდის შემდეგ, თვით პრობლემაზე აიღო ხელი.

ამ მხრივ კიდევ უფრო ძნელი იყო ნაყოფიერი შრომის საკითხის გადაწყვეტა. თავის თავად ცნება ნაყოფიერი მუშაობისა სკოლაში პირველ წლებში ოქტომბრის შემდეგ არასაკმაოდ იყო გარკვეული. ხოლო ზემოაღნიშნული მიმართულებით ძევლი სკოლის რეფორმის ცდა იმ დაქასესების დროს, რომელიც პედაგოგიურ იდეათა თანდათანობაში სკოლის ახალ რევოლუციონურ შინაარსს შეაქვს, ცხადია, სრულიად უიმედო იყო.

“უფრო გამედულმა ნოვატორებმა ოამდენაზე სხვა ჭურსი აიღეს რომელიც შეიძლება დახასიათდეს როგორც მეორე მიმღინარეობა შრომის პრობლემის გადაჭრაში. ეს მიმღინარეობა სასკოლო მუშაობას საფუძვლად უდებდა მთლიანი ხასიათის რაიმე შრომას და მის საფუძველზე ცდილობდა აეგო (უფრო სწორედ რომ ვოჭვათ, მხსოვის მიერნებინა) სასწავლო პროგრამა.

ამ მიმართულების ერთერთ უმეტესად დამახასიათებელ ცდაში შრომას საფუძვლად დადებული ჰქონდა სხვადასხვა ხასიათის სასკოლო სახელოსნოები—რიცხვით ათხე მეტი. აქ იყო საამკინდავო სახელოსნოც, სადურგლოც სამშედლოიანად, ელექტრო-ტეხნიკურიც, სამკერფალოც და სხვ. მუშაობის სქემა: შემდეგი იყო: პირველად მუშაობა სახელოსნოში; იქ წამოჭრილ სამეცნიერო პრობლემას მივყევართ კლას-სტუდიაში; იქიდან, ცოდნის დაგროვების და მთელ რიგ უფრო ლრმა საკითხების დაყენების შემდეგ, გადავდივართ კაბინეტში და ლაბორატორიაში დამოუკიდებელ კვლევითი მუშაობაზე.

თეორიაში ძეტად მწყობრად გამოდიოდა და სიახლეც უეპველია იყო. მაგრამ საჭმეშე ეს არ გამართდა. სახელოსნოები ან ალარ ასრულებდენ არავითარ როლს და იყავებდენ რაიმე მესამებარისხოვან ადგილს, როგორც „საკლუბი“ ან თავისუფალი მეცადინეობა, ან, და ეს უკეთეს შემთხვევაში, სახელოსნოები იყენენ თავისოფას, სასწავლო მუშაობა კი თავისოფას; „შრომისა და მეცდინეობის“ რაიმე ნამდვილი შინაგანი კავშირის გარეშე.

ამდენადაც ორივე ხაზი—შრომითი და სასწავლო—განსაზღვრული არ იყო რაიმე საერთო დასაბამით, არამედ ორივე თიფისი გზით მიღიოდა, იმდენად მათი კავშირი ბუნებრივი იყო მხოლოდ იმ ზოგიერთ წერტილში, სადაც ეს ხაზები შემთხვევით გადაპყვეტდენ ერთიმეორეს, ორივე ამ ხაზის მთელ მათ სიგრძეზე დაკავშირდების ცდა კი ან მეტად ხელოვნური იყო, ქოჩით მოთრეული, ან სრულიად უშედეგოდ თავდებოდა.

მაგრამ გარდა ამისა თვით შრომის ბაზისს არა სათანადო სახით იღებდენ. საუკეთესო სახელოსნოები, თვით ქარხანაც კი, თუ ისინი აღებულია მხოლოდ როგორც ტეხნიკური კომპლექსი, ვიწრო წარმოებითი შრით, თუ ისინი მოწყვეტილია კავშირს. მთელ საბჭოთა მეურნეობასთან, თუ ისინი შეტანილია სკოლაში. თანამედროვეობის ჯაჭვის საერთო პერსპექტივების გარეშე, თვით არსებაშივე სისხლი-საგან იქნებიან დაწრეტილი,—შრომა დაკარგავს თავის საზოგადოებრივ მნიშვნელობას. ამიტომ ბუნებრივია, რომ ასეთ შევიწროვებულ ბაზისზე არ შეიძლებოდა ახალი სისკოლო პროგრამის აგება, ამ ბა-

ზისხე ლამობდენ ჩვეულებრივი ტიპის პროგრამის მიშენებას, მაგრამ თრივე ნახევარი ერთიმეორეს არ უდგებოდა. ხოლო შრომაში საზოგადოებრივი დასაბამის უქონლობამ — აქ ჩვენ მხედველობაში გვაქვს შრომის უშუალო კავშირი თანამედროვეობასთან — საჭირო გახადა სკოლის თეორიაში შეტანა საზოგადოებრივი აღზრდის სუროგატებისა, მაგალითად, რომ საწარმოო მუშაობა სახელოსნოში იწვევს კოლექტივიზმის აღზრდას, შესაძლებლობას აძლევს ბავშებს შეითვისონ ორგანიზაციული ჩვევები და სხვ. ყოველივე ეს ერთი მხრით მართალია, მაგრამ იმავე დროს ძლიერ ცოტაა, რომ გვჯონდეს უფლება ვილაპარაკოთ ხოციალურ შრომით აღზრდაზე.

თითქოს მარტივი გამოსავალი მდგომარეობიდან ჰპოვა მესამე მიმღინარეობამ, რომელიც პრაქტიკაში ყველაზე მეტადაა გავრცელებული. იგი საერთოდ არ ისახავდა მიზნად შრომისა და მეცნიერების პრობლემის გადაწყვეტას, ე. ი. იმ დებულების განმტკიცებას, რომ თვით პრობლემა არ არსებობსო. ამ გზას ჩვეულებრივ მისდევდენ საბავშო სახლები, ქალაქებარეთა ახალშენები საბჭოთა მეურნეობებში და მამულებში და სხვ.

ამ მიმღინარეობის თეორია საკმაოდ მარტივია: შრომა, ყოველი შრომა თავისთავად მშვენიერი აღზრდელობითი დასაბამია. შრომა სწყვეტს არა საგანმანათლებლო, არამედ წმინდა აღზრდელობითს ამოცანებს. შრომა ასწავლის ადამიანს დისკიპლინასა და ორგანიზაციას. საჭიროა შევასწავლოთ ადამიანს სიყვარული და პატივისცემა საერთოდ შრომისადმი. შრომა ამალებს აღამიანს, ანიჭებს მას შეებას. შრომა აღზრდის კოლექტივიზმის გრძნობას. შრომა აღამიანს აკეთილშობილებს. და ამიტომ შრომა თავისთავად, განსაკუთრებით ფიზიკური შრომა, შრომის თითქმის ყოველი სახე მისაღებია და ძვირფასია, როგორც აღზრდის საშუალება. სასწავლო მუშაობა კი თავისთავად უნდა იყოს; მასა და შრომას შორის კავშირის ძებნა მაინც დამაინც საჭირო არ არის. თუ ის თითონ გვივარდება წელში ცალკე შემთხვევებში, მით უკეთესია, თუ არა და — არც ამითი დაშავდება რამე.

ასეთი რამდენადმე ანარქისტული და წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისი, ნაწილობრივ ტოლსტოისებური, ნაწილობრივ „თავისუფალი აღზრდის“ თვალსაზრისი, ფართო პრაქტიკაში გაბატონებული იყო. მას შემოღებული პქნონდა პრინციპიალური სრული თვითმსახურება საბავშო სახლებში. თვით იატაკების წმენდამდე და სარეცხის რეცხვამდე პატარა ბავშების მიერ, იგი ბავშების ხელების შემწეობით

ჰქმნებდა დიდ ბოსტნებს, აშუშავებდა მინდვრებს, სწნავლა კალათებს, აკეთებდა სკამებს, ამზადებდა სათამაშოებს და სხვ.

სამივე მიმდინარეობის ცდაშ, როგორც ვნახეთ, ვერ გადასწყვიტა ამოცანა, უფრო მეტიც, მარცხით გათავებულმა ცდებმა გამოიწვია შეოთხე მიმდინარეობა, რომელიც საერთოდ უარს ამბობდა შრომაზე სკოლაში. შრომის სკოლაში იწყებენ შრომის დავიწყებას. მასწავლებლობის საუკეთესო ნაწილმა მხურვალედ მოპკიდა ხელი 4-წლების პროგრამებს, მაგრამ მათ მხოლოდ სასწავლო მხრიდან ჩასჭიდა ხელი.

შრომის საკითხი ხელახლა უნდა დაისვას.

## II. საკითხის დაცვება.

ეჭვს გარეშეა, რომ თვითეულ ზემომოყვანილ მიღებომას აქვს თავისი ღირებულება, თავის აღვილზე თავისი დადებითი მხარეები. მაგრამ არცერთს მათგანს ცალკე, არც მათ გაერთიანებას არ ძალუმთ გადაჭრა შრომის პრობლემისა თანამედროვე სკოლაში იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყველა ესინი შრომას იღებენ აბსტრაქტულად, შრომის როგორც ასეთს, ე. ი. შრომას აცლიან მის უმეტესად მნიშვნელოვან ნაწილებს, რომელნიც შრომას განუშორებლივ უკავშირებენ თანამედროვეობას. როგორც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ საბჭოთა სკოლა, ამოგლეჯილი ცხოვრებიდან, განცალკევებული, გადატანილი უდაბური კუნძულის თუნდაც იღეალურ პირობებში, ისევე შეუძლებელია ავილოთ შრომა სხვანაირად, თუ არ როგორც ნაწილი ბავშვა და მოზარდთა შრომის ზოგადი პრობლემისა საბჭოთა წყობილების მთელ სისტემაში, თუ არ როგორც საზოგადოებრივი შრომის ნაწილი.

პრობლემის ასე დაყენების დროს საკითხი „შრომის კავშირისა მეცნიერებასთან“ კარგავს აზრს, უკეთ რომ ვთქვათ, იგი უფრო ზოგადი პრობლემის ნაწილი ხდება. საკითხი ამ კავშირის შესახებ შეიძლებოდა წამოჭრილიყო სწავლების დაშორების დროს აღმზრდისაგან. ჩვენმა თანამედროვე სკოლამ ამ დაშორებას ბოლო უნდა მოუღოს. შრომა არის ნაწილი სკოლის კავშირისა თანამედროვეობასთან და ამ ნიადაგზე აღმზრდელობით-განმანათლებელი მუშაობა იზრდება. როგორც მთლიანი განუწყვეტელი ერთეული. სკოლის ძირითად საკითხს წარმოადგენს არა შრომისა და მეცნიერების (ანუ, როგორც ჩუმად იჯულისხმება—სწავლებისა და მუშაობის) დაკავშირება, არა მედ მათი ერთად გახდა სკოლის, ე. ი. ბავშების საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიულ ნაწილებად.

ამ საკითხის გადაწყვეტაშეს ნაწილობრივ 4 წლების პროგრამა  
მებს მივყევართ.

როდესაც ამ თვალსაზრისს ვადგებით, საჭიროა დავსვათ შემდე-  
გი საკითხები: 1) შრომის რა სახეები და ფორმები რა ასაკისათვის  
შეიძლება გამოყენებულ იქნას სკოლაში; 2) შრომის ამა თუ იმ სახის  
რა მხარეები უნდა მოექცეს ყურადღების ცენტრში და მათი შედარე-  
ბითი ღირებულება; 3) კავშირი სკოლაში შემოღებულ შრომის ამა  
თუ იმ სახესა და საერთოდ ადამიანთა შრომითი მოქმედებას შორის,  
ე. ი. სასკოლო შრომის სოკიალური კავშირები; 4) შრომა და სას-  
კოლო პროგრამა, ე. ი. აღმზრდელობით-განმანათლებელი მუშაობის  
სინთეზი; 5) შრომითი აღზრდის მეთოდიკის ზოგადი საკითხები:

პირველ საკითხზე: შრომის რა ფორმებისა და სახეების გამოყე-  
ნება შეიძლება სკოლაში,—არ შეიძლება მივცეთ ზოგადი პასუხი, გა-  
მომდინარე საკითხის ზოგადი თეორიიდან, არამედ მხოლოდ უნდა ჩა-  
მოეთვალოთ შრომის ის სახეები და ფორმები, რომლებიც აქამდე ში-  
ღებული იყო სკოლაში, ან რომლებიც ხელმისაწვდომია სკოლისათვის  
ამჟამად.

ამ სახეებს ამჟამად შეიძლება მივაკუთვნოთ:

თვითმსახურება პირადი და კოლექტიური;

მონაწილეობა სკოლის გარეშე ის საზოგადოებრივ სამუშაოებში,  
რომელიც კვალიფიკაციას არ მოითხოვენ;

სასოფლო-სამეურნეო შრომა;

მუშაობა საფამილიურ-საქართველო წარმოებაში.

### III. თვითმსახურება.

უახლოეს პირველ წლებში ოქტომბრის შემდეგ მრავალ სკოლა-  
ში, განსაკუთრებით კი საბავშო სახლებში, სრული თვითმსახურება  
პრინციპად იყო მიღებული. არავითარი ტეხნიკური მომუშავე — მხო-  
ლოდ ბავშები და პედაგოგები. ყველაფერი თითონვე უნდა ეკვთებინ  
დათ: მოეხარშათ, დაერეცხათ, იატავები დაეხეხათ, შეშა დაეპოთ.

ძნელი სათქმელია, თვითმსახურებისადმი ასეთი პრინციპიალუ-  
რი დამკიდებულება. უფრო ჩვენი მატერიალური სიღარიბის შედეგი  
იყო თუ შრომისადმი ტოლსტოისებურ-ბატონური მონანიებითი და  
მოკიდებულების ნაყოფი. ჩვენ გვვინია, რომ უფრო მძიმე აუცილებ-  
ლობა იყო მიზეზი თვითმსახურების აღიარებისა პრინციპად, და ბავ-  
შების ხელებით სარგებლობის ამ აუცილებლობას დიდი მცდელობით  
უფარდებდენ თვით თეორიას.

ჰე ხანამ განვლო. საბატეშო ტაწესებულებათა პრაქტიკა, კურძოდ სკოლის პრაქტიკა, როგორც ქანქარა, ახლა მეორე უკიდურესობაშა— კენ წავიდა; თვითმსახურებაშ იწყო თანამდებობით შეკვეცა, რე თითქმის სავსებით განდევნეს. განსაკუთრებით სკოლიდან (რა თქმა უნდა, თუ ეს შესაძლებელი იყო მატერიალური მოსაზრებებით).

ჩვენ არა ვართ არც პირველი, არც მეორე შეხედულების შოშებრე. პრინციპიალური სრული თვითმსახურება პატარა ბავშების ძალებით, რაც ზიანს აუკრებს მათ ჯანმრთელობას და აშორებს მათ მუშაობას საერთო განვითარების ხაზით — მეტად მავნე და ოკორიულად სრულიად დაუსაბუთებელია. ასეთი თვითმსახურება, ცხადია, არ იძლევა შრომის „სიხარულის“ შეგნებას. საერთოდ ეს არც საჭიროა, ვინაიდან ჩვენს პირობებში შრომა არც ისე მაღლე გახდება სასიხარულო. მაგრამ თვითმსახურების ასეთი ფორმები არ იძლევა ავრეთვე შრომის, როგორც გარკვეული აჩსებითი და ადვილად შესასრულებელი მოვალეობის, შეგნებას. შრომა იქცევა მძიმე ტვირთად, ზოგჯერ პატარა კატორლადაც, ვითაოდება ზიზლის გრძნობა მისდამი, სურვილი არასამიამოვნო მოვალეობისაგან რაც შეიძლება მაღლე განთავისუფლებითა, ე. ი. ჩვენ სწორედ საწინააღმდეგო შედეგებს ვიღებთ.

მეორე მხრით, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია თვითმსახურებაზე სრულიად ან თუნდა მის დად ნაწილზე ხელის აღება იმ მიზეზის გამო, რომ მასზე შეიძლება და კიდეც უნდა ალიზარდოს მთელი რიგი კულტურული ჩვევა, რომელთა ჩაუნერგვადა ოცნებაც კი არ შეიძლება „ახალ ყოფაცხოვრებაზე“, რომელზეც უკანასკნელ ხანებში ძლიერ ბევრს ლაპარაკობენ. ახალი ყოფაცხოვრება კი — ერთერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ახალი (უფრო სწორედ რომ ვთქვათ, თავის ზოგიერთ ნაწილში ძველი, ჩვენთვის უკიდურესად საჭირო) კულტურის გზით.

უმთავრესად უმაღლესი ეტაპისათვის, უფრო სწორედ რომ ვთქვათ, კულტურული ყოფა-ცხოვრების უმაღლესი ეტაპის განსავითარებლად საჭირო ნიაღავისათვის ბრძოლის თვალსაზრისით უნდა განიხილებოდეს თვითმსახურება.

პირადი თვითმსახურება, ე. ი. მოვლა საკუთარი სხეულისა, კბილებისა, თმისა, ტანისამოსისა და საცვლებისა, საკუთარი ლოგინისა, წიგნებისა, კალმისა, რეველისა და სხვ. უნდა გადაიქცეს მტკიცელ შეთვისებულ ჩვეულებად, აუცილებლობად, ურომლისოდაც ძნელია ცხოვრება, იმდენად მტკიცე ჩვეულებად, რომ რანაირ პირობებშიც არ უნდა იყოს, შეუძლებელი გახდეს პირადი არხებობის უჭივიერობისა და ანტისანიტარულობის ჩეცილივი. საზოგადოებრივი

თვალსაზრისით ეს აუცილებელია ეპიდემიების, პარაზიტების, სოცია-ლურ ავადმყოფობათა, გადაგვარებისა და სხვ. წინააღმდევ საბრძოლ-ველად. და ეს საზოგადოებრივი თვალსაზრისი, სიბნელისა და უმე-ცრების მძიმე მემკვიდრეობის წინააღმდევ საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის თვალსაზრისი საფუძლად უნდა დაედოს პირადი თვით-შსახურების ჩვეულებათა განსაზღვრული წრის შემოლებას.

მოსახლეობის ჯანმრთელობის სოციალური დაცვის პროპაგან-და, რომელიც ჯერჯერობით ძლიერ მყირე შედეგებს იძლევა, თით-ქმის იმდენადვე დამოკიდებული ჩვენს საერთო კეთილდღეობაზე, რამდენადაც მომზადებულ ნიადაგზე, რომელზეც შეიძლება აღმოცენ-დეს ამ პროპაგანდის იდეები. ეს ნიადაგი მომზადებული იქნება, თუ პირადი თვითმსახურება ამ გაშუქებრო შემოლებული იქნება სკოლა-ში, შემოლებული იქნება საბავშო დაწესებულებებში.

4-წლედის პროგრამები სწავლების პირველი წლებისათვის ამ მიმართულებით დიდ მასალას შეიცავს. სწორედ მას უნდა დაუკავ-შირდეს პირადი თვითმსახურება ბავშის სასკოლო ცხოვრების პირ-ველი ნაბიჯებიდან.

ყოველივე ეს მეტად მარტივი და ყველასათვის გასაგები სა-ქმება, და უკვე დიდი ხანია მიღწეულია ბურუუზიული ევროპისა და ამერიკის მიერ, მაგრამ საჭირო ხდება ხოლმე ამის გახსენება, ვინაი-დან ხშირად, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდობა, სიტყვებში მე-ტად ფიცხი, საქმით ამას „ბურუუზიულ ცრურწმენებად“ სოვლის. არა— ეს ჩვენ ჯერ კიდევ უნდა დაფიცყროთ და გავუთანასწორდეთ ბურუუზიულ ევროპას. ჩვენ ეს ჯერ კიდევ არ შეგვისრულებია. თი-თქმის შვიდი წელიწადია, რაც ჩვენ „თვითმსახურებას“ ვიწევით და ჯერ კიდევ ვერ მიგვიღწევია ისეთი უბრალო რამისათვის, რომ ჩვენს საბავშო სახლებში ალარ იყოს ბალინჯოები, ტილები, მუნი-და სხვ. ბავშის ასაკში ბრძოლა, უფრო მეტიც—მძვინვარე ოში ბალ-ლინჯოებთან ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ბრძოლა მსოფლიო ფაშიზმთან.

და ამას უნდა მივაღწიოთ პრინციპიალურად სრული თვითმსა-ხურების გარეშე, ბავშების სუსტი ხელებით სარეცხის რეცხვისა და იატაკების ხეხვის გარეშე.

კოლექტიური თვითმსახურება მდგომარეობს ბინის დაგვა-და-ლაგებაში, სისუფთავისა და წესრიგის დაცვაში, საჭმლის მომზადე-ბასა და მის დარიგებაში დახმარების გაწევაში. სრულიადაც არაა აუცილებელი ჟველა სამუშაოს გადაცემა ბუშებისათვის. საჭიროა ამორჩევა, ამა თუ იმ საბავშო დაწესებულების პირობების მიხედვით,

კოლექტიური თვითმსახურების იმ ნაწილებისა, რომელიც ჰქმნიან ერთად კულტურულად ცხოვრების ჩვეულებას. ამასთანავე იქაც ლაპარაკია არა ისეთ ჩვევებზე და მათ ისეთ ფორმებზე, რომლებიც აღემატება ბავშების ძალებს და დააწვება მათ შძიმე ტვირთად, რასაც შეიძლება მოკვევს უკულტურობის რეციდივი, არამედ ისეთ ჩვეულებებზე, რომლებსაც თვითეული შეიძენს როგორც აუცილებლად საჭიროს.

კოლექტიურად ცხოვრება—ჩვენთვის ჯერ კიდევ დიდი და მძიმე საქმეა. იქ ჩვენ პირისპირ ვაღებებით უკვე არა მარტო გაუმჯობესებულ ყოფაცხოვრებას, არამედ ახალი ყოფაცხოვრების მისავლებასაც.

თუ გვიწდა განვავითაროთ კოლექტიური ცხოვრება, მოზარდთაობაში უნდა ალვზარდოთ ერთად, ერთმანეთისათვის ხელის შეუშლელად, ერთმანეთისათვის ხელის შეწყობით ცხოვრებისა და მუშაობის არა მარტო ცოდნა, არამედ აუცილებლობაც. მხოლოდ ამ ნიაღავზე შევძლებოთ შედეგების მიღწევას ახალი ყოფაცხოვრებისათვის ბრძოლაში<sup>1)</sup>.

მაშასადამე, პირადსა და კოლექტიურ თვითმსახურებას საზოგადოებრივი თვალსაზრისით უნდა მიყენდეთ. მაგრამ, გარდა ამისა, მხედველობიდან არ უნდა გავუშვათ—და ესარა ნაკლებ მნიშვნელოვანია—შრომის ცალკე პროცესების მეცნიერული გაშუქებაც. ჩვენ ვწმენდავთ, ვრეცხავთ, ვგვით, მაგრამ ვეკითხებით თუ არა ჩვენს თავს, რად ვაკეთებთ ამას და უფრო უკეთ, უფრო პიგიენურად და უფრო ადვილად როგორ შეიძლება ამის გაკეთება? უნდა ვეცადოთ, რომ ბავშებს დაებადოთ ეს კითხვები და შემდეგ გავცეთ მათზე პასუხი, უნდა ვეცადოთ ავამუშავოთ ბავშების აზრი თვითმსახურების საკითხის მეცნიერულად გაშუქების მიმართულებით.

#### IV. საზოგადოებრივი საზურაოები უკალიფიკაციონი

მუშაობის მეორე სახე, რომელიც შეიძლება დაემყნოს სკოლაში. ესაა—საზოგადოებრივი ხასიათის სამუშაოები, რომლებიც განსაკუთრებულ კვალიფიკაციას არ მოითხოვს. მუშაობის ეს სახე შეი-

1) საჭირო არც კია იმის აღნიშვნა, რომ ახალი (ამაღლებული) ყოფაცხოვრების ბაზისი უწინარეს ყოვლისა იქნება ჩვენი მეურნეობის განმტკიცება და მისი გარდაქმნა. მაგრამ განსაზღვრული მატერიალური ბაზისისა და ზოგადი მატერიალური წინამძღვრების არსებობის დროსაც საჭიროა შექმნა მისწმებისა და მათი გამოყენებისადმი ახალი ყოფაცხოვრებისათვის.

ძლება განხილულ იქნას როგორც თვითმსახურების შემდგომი ჟაფა-რთოვება.

აუღლებთ რა საფუძლად თვითმსახურების წაზოგადოებრივი მნიშვნელობის იძავე ძირითად იდეას, შეიძლება და საჭიროც არის ბავშების მიზიდვა, მაგალითად, ასეთი ხასიათის ყოველგვარ მუშაობაში: საზოგადოებრივი ბალებისა და ხეივნარების გაწმენდა და იქ წესრიგის დაცვა, ხის დარგვა (ტყის დღეები), ბუნების ძეგლთა დაცვა და სხვ.

ასეთი მუშაობა ყოველთვის არ იქნება მუდმივი და თვით პერიოდულიც კი, ხშირად ის შემთხვევითი იქნება, და მით უფრო საჭიროა ბავშების მიზიდვა ასეთი მუშაობისადმი, მათთვის ამ მუშაობათა საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაშუქება. ამგვარსავე მუშაობებს შეიძლება მივაკუთხნოთ მონაწილეობა ამა თუ იმ ქარხანასა თუ ყაზარმასთან მოწყობილ შაბათობებში, დღესასწაულისათვის მუშათა თუ ა. კომ. კავშირის კლუბის მზადებაში, სასპორტო მოედნების მოწყობაში და სხვ,

პროექტით ამ მხრივ მეტ გასაქანს იძლევა, კიდრე დედა-ქალაქები ან ძლიერ მსხვილი ქალაქები, ვინაიდან იქ სკოლა უფრო მნიშვნელოვან და თვალსაჩინო ცენტრს წარმოადგენს; სკოლის გამოყენების შესაძლებლობა უფრო ნათლად მოსჩანს.

მაგრამ ასეთ მუშაობათა განვითარების წარმატებისათვის საკმარისი არ არის ჩათი ცალმხრივი დაყენება სკოლის მიერ. აუკილებელია, რომ ჩვენმა საზოგადოებრივმა და სახელმწიფო ორგანიზაციებმა, სამეურნეო და პარტიულმა ორგანოებმა თავის მხრით შეიგნონ, თუ რამდენად დიდი შეიძლება იყოს აქ სკოლის როლი, და გამოიჩინონ მეტი თაოსნობა ასეთ სამუშაოებში სკოლის მიზიდვის მხრივ. თაოსნობა აქ ორივე მხარემ უნდა გამოიჩინოს.

საჭიროა საზოგადოებრივი აღზრდის იდეის გაძლიერებული გავრცელება მოსახლეობის ფართო მასებსა და საზოგადოებრივ და სახელმწიფო ორგანიზაციებს შორის.

## V. სახელოსნოები:

სასკოლო სახელოსნოების საკითხი მუდამ იწვევდა უველახე მეტ მსჯელობასა და კამათს. ამასთანავე სასკოლო სახელოსნოებს აქვთ უდიდესი პრაქტიკა ჩვენს სკოლაში - თუმცა, მართალია, შედარებით მცირე შედეგით.

სასკოლო სახელოსნოების საკითხმა განვითარების რამდენიმე საფეხური განვლო და განსაკუთრებული ყურადღების ღირსის.

հոգեսաւ ոյթոմներու կամըլք զամուխացը թուղու ոյխն. Ցհոմնու կյոլուն Յրոնց պատճեն, կյոլը դա սածացի դաշտեցնեցնեան զայսաւ ուրբատ թեղացը և սեցածածեց սաեն սակյոլու սաելունոյներուն մունչուն դա լաարեցնաս; լուսացլունունոյնեռու Ցհոմնու կյոլու առ Ֆյոնդա Բարիմունցնուն. Ցագրամ յս զարւպեա քունեան առ զաշրայ-լեցնուղ.

Հոգոր շուշիերու կյոլու սաելունոյներու, առարու դամին մա-տից տանքատանքներու եղուն ալեցա, Ցրինանց վրանուն ոյս յս տպ առա?

Հոգոր շուշի ալզնունետ, սակյոլու Ցհոմնու սայուտեմու. որո մոմքնարյուն առսեցնեած արտու մերտաց, մեռու նայլու Ցհորցը-սուլու, տպ Շեունցնեած ասյ օտքես, — Հոմլունց սաելունոյնեած դուզ ոմեցնեած ամսարյածնե. յս օմեցնեած, Հոգոր շուշի զնանետ, Ցհոմնու առ թիրուն սայմեշու առ զամարտուղա. Սակյոլու Ցհոմնու սայուտես առա Սթորմա զուրիս զայցնեած մասթացլունց մալց հասպեն հունշու. Սայու-տես ասյ զայցնեածսաս սրունցնեած զերա եցնեցնեածու սաելունոյնեած ոնցնեսուրու զամուցնեած; մատ մեռլունց Ցհորյեսահուսեուցն, զամեմարյ Հոլուս ասրունցնեած Շեյքլուտ.

Ցհորյ մերուտ, սատանարու մոմինացնեած շյոնլուն մասթացլու-նց նորաց մեմի. մըցումարյունամու այցնեած. ման առ ուրուս, Հո-գոր յելիմազա սաելունկնոյնեած դա առ ուրուս մատու. ցամուցնեած, մաս ահա Ֆյոնդա առացուտարու եղունունուրու Շա Ծյենոյուրու հայրա դա պունճա. ամաս շնճա մոցումարյուտ ուսուց. Հոմ ուում յմուս սրունցնեած առ զայցն-նա ձեզազոցուրուս մերուտ ասյ տպ ուսյ մոմինացնեածուն ոնսթիրուշիթո-րուտ ձերսենալու, Հոմլունց առա մառնու տպու Շեմլունց մունչունեած, առամեց շերելմծլզանցնելուն ճացնեած մունչունեած սակյոլու սաելու-նոյնեած.

Զայլուն օյշնու օմանաց, Հոմ Սթարմունց սաելունոյնեած Շյու-հից զաէսանլուրուն Ծյենոյուրու զացնուտ դա ռամիյ Ֆրացոցուրուն նունեած մուեցուտ. ուլունց, Ռաց մոեցլունցուտ եղուն, Ռաց պու-ճաճ ուուր դա Հուս զալաւրանաց Շեունցնեածու սյոլունամու. ամենառաճ եցը-նունց եռլուն, Հոմ սածացի սաելունցն դա Յունցը ու սայցնուրուս սյո-լունցն տազմուրունու ոյս ռամիյ Տեցուուրուն. Բարմունցն սայմար Հուլուն մովունցնուն դա առ. ոյս թարթուզու, Ամոմինուուրու եցլսա-վունցն Եցրունու, „սամնառ“ Շեյտեցնեատցուս.

ամաս տպ մունչարյուն մասալունցս Ցեցնուս, օցրուացը մովունցնուն Ցեցնեածսա դա մուս դացուսատցուս սայուրու սաեսրուն սյուն-նուն մունչունցնուն դա առ. ոյս թարթուզու, Ամոմինուուրու եցլսա-վունցն Եցրունու, „սամնառ“ Շեյտեցնեատցուս.

სიათის მთავარი მიხედვებისას, რომლებმაც არ მისცეს სახელოსნოებს ცოტად თუ ბევრად მტკიცედ განვითარების საშუალება მასიურ სკოლაში.

სახელოსნოების საკითხი თავისთავად დაჩლუნგდა. უფრო მეტიც, სკოლის მიერ თახამედროვეობაზე კურსის აღებასთან დაკავშირებით შეიძლება ის აზრიც გავიგონოთ, რომ სახელოსნოებს არ უნდა ჰქონდეთ ადგილი თანამედროვე სკოლაში, რომელიც უნდა დაუკავშირდეს მსხვილ წარმოებას, რომ ხელოსნური შრომა, როგორც მოსასპობად განწირული შრომა, საჭირო აღარ არის.

ჩვენ არა თუ არ უარყოფთ სკოლის კავშირის აუცილებლობას მსხვილ წარმოებასთან, არამედ მისი ერთგული მომხრე ვართ, მაგრამ მაინც გვვინია, რომ სახელოსნოების საკითხში ერთგვარ შეცდომას უშევებენ. სახელოსნოები საჭიროა სკოლაში, ისინი უნდა შეადგენდენ შრომითი აღზრდის დიდ ორგანიზულ ნაწილს, თუ ჩვენ არ ვერ ნდა, რომ სკოლაში ადამიანთა შრომითი საქმიანობის მარტო შეწავლით დავჭიროთ.

მართლაც და, თუ ჩვენ გვსურს, რომ ბავშებშა ნამდვილად შეიგრძნონ, თუ რა არის მსხვილი წარმოების ტეხნიკა, საკმარისი არ იქნება, რომ მათ მსხვილი წარმოება ნახონ ან მის შესახებ წაიკითხონ. მათ ხელქვეშ უნდა იგრძნონ მასალა, რომ საქმეზე დარწმუნდენ მისი დამუშავების ამა თუ იმ წესის ავკარგიანობაში, მათ ნათლად უნდა წარმოიდგინონ როგორც მანქანა-იარაღების, ისე მანქანა-ძრავების განვითარების გზები. შრომის განაწილების არსშიგასარკვევად საჭიროა თითონევე მიიღო მასში მონაწილეობა. მანქანის მუშაობის ვასაგებად საჭიროა ჩასწვდე წარმოების მაშინიზაციის პროცესში დედაბზრს.

ყოველივე ამის მოცემა სახელოსნოს შეუძლია.

გარდა იმისა, რომ სახელოსნოში უშუალოდ შეიძლება მიღება ჩვევებისა, რომლებიც იძლევიან სულ სხვაგვარ, არა მჭვრეტელობითს, არამედ მქმედურ შეხედულებას წარმოების ტეხნიკაზე, სახელოსნო უნდა იქნეს გამოსავალი წერტილი, რომლიდანაც წარმოებისაკენ მრავალი ძაფი იქნება გაბმული. და ეს ძაფები იქნება ძაფები ბავშთა ინტერესების გარკვეული აჭტივობისა.

მაგრამ რომ სახელოსნო იქნეს მტკიცე საფეხური წარმოებისაკენ, რომ წარმოება გავხადოთ შესწავლის არა გარეშე ობიექტად, არამედ არსებით მოთხოვნილე ზად, რომელიც ბავშთა ინტერესებს უპასუხებს, საჭიროა რომ სასკოლო სახელოსნო მიეღ რიგ მოთხოვნას აკმაყოფილებდეს.

ჯერ ერთი, საჭიროა ამორჩევა, ისეოთ სახელოსნოებისა, რომ  
მლებიც იმუშავებენ ტეხნიკურის მხრივ ან ცხოვრებაში მწიშენელო-  
ვანისა და გავრცელებულ მასალას, ანუ, უფრო მარტივად რომ ვთქვათ,  
უმეტესად გავრცელებული ხელობებისა. ამ მოთხოვნის გზრი იმაში  
მდგომარეობს, რომ ბავშებს არ შევაძენინოთ ვიწრო ჩვევები, რო-  
მლებითაც მათ არაფრის გაკეთება არ შეეძლებათ, როდესაც სკო-  
ლის ინტერესთა წრე გაფართოვდება მსხვილ წარმოებაზე.

ამ თვალსაზრისით საჭიროა სავსებით დაგუჭიროთ მხარი. ლი-  
თონისა და ხის დამმუშავებულ სახელოსნოებს, ვინაიდან, გარდა იძი-  
სა, რომ ეს მასალები ფართოდ არიან გავრცელებული, მათ აქვთ  
აგრეთვე მნიშვნელობა როგორც ნედლ მასალას ყოველგვარი ხელსა-  
წყოებისა და იარაღების დამზადებისათვის, ე. ი. წარმოების პრიმიტ  
ტიულ საშუალებათა და შრომის იარაღთა დამზადებისათვის.

სწავლების დაბალ საფეხურზე (I საფეხურის 1—2, ნაწილობ-  
რივ მე-3 წელი) ასეთი მასალა შეიძლება იყოს აგრეთვე ქსოვილი,  
ქაღალდი, მუყაო. ეს კარგად ეგუება უმცროსი ასაკის ინტერესებს.

მეორე, ხელსაწყოები და მუშაობის ხერხები სახელოსნოში რაც  
შეიძლება სხვადასხვაგვარი უნდა იყოს. რაც უფრო სხვადასხვაგვა-  
რია ხელსაწყოები, იმდენად უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს. მოს-  
წავლეს მექანიზაციის ცნება შეითვისოს, მეტ უფრო ადვილად იგრძ-  
ნობს იგი, თუ რა შეადგენს მანქანის არსს, განსაკუთრებით კი მა-  
შინ, როდესაც იგი თითონ იხმარს სხვადასხვა ხელსაწყოს.

როდესაც მოსწავლე რთულ ხელსაწყოებს ეცნობა, ადვილად  
მიხდება, თუ რა მოთხოვნებს უყენებს მას მასალის ხასიათი, და  
დამუშავების რა წესები უნდა იყოს ხმარებული მის მიმართ; მისთვის  
ჩათელი გახდება ხასიათი ერთისა და იმავე მასალის სხვადასხვაგვა-  
რი დამუშავებისა სხვადასხვა დავალებისათვის და სხვ. როდესაც მო-  
სწავლეს ექნება ასეთი მარაგი ჩვევებისა, რომელთა განხოგადოებაც  
ადვილია მასალების უფრო ფართო წრეზე, მას უკვე აღარ გაუძნელ-  
დება წარმოების სამანქანო, ე. ი. რამდენადმე უფრო გართულებული,  
ტიპისადმი მიღვომა. ამასთანავე ეს მიღვომა მჭიდროდ იქნება და-  
კავშირებული წარმოების ტეხნიკისადმი მოსწავლის ინტერესთან,  
რომელსაც მასში უკვე თვით სახელოსნო შექმნის.

შესამც მოთხოვნა—სახელოსნოები ბავშთა ტეხნიკურ შემოქმე-  
დებას ფართო შესაძლებლობას უნდა აძლევდენ. სხვა სიტყვით რომ  
ვთქვათ, ტიპები იმ ობიექტებისა, რომლებიც ამა თუ იმ სახელო-  
სნოში მზადდება, რაც შეიძლება მრავალრიცხოვანი უნდა იყოს; შე-

საძლებელი უნდა იყოს მასალის სხვადასხვაგვარი. შერჩევა-კომიტინაცია სულ სხვადასხვაგვარი მიზნებისათვის.

საკითხი ფართო მასების, მოზღვისა წარმოების ტეხნიკური სრულყოფისადმი, გამოგონებებისადმი და გაუმჯობესებისადმი. არა მარტო ტეხნიკის განვითარების საკითხია, არამედ საზოგადოდ ფაქტობრივი მასების ორგანიზაციული უნარიანობის განვითარების საკითხიც ცაა. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენს გარდამაფალ ხანაში, ჩვენი საზოგადოებრივი წესწყობილების დროს.

სამიზე მოთხოვნა, რომელნიც სასკოლო სახელოსნოებს უნდა წარედგინოთ, როგორც ადგილად შეიძლება დავრწმუნდეთ, მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და ურთიერთისაგან გამოცდინარებენ.

იმ სახელოსნოებად, რომელნიც ამ მოთხოვნებს აკმაყოფილებენ, როგორც ვნახეთ, შეიძლება ხის და ლითონის დამმუშავებული სახელოსნოები ჩავთვალოთ. 1 საფეხურის უმცროს ჯგუფთათვის კარგი ბავშთა ასაკისა და ინტერესთა მიხედვით, შეიძლება იყოს — ქსოვდლის, ქალალის, მუყალის, ფანერის დამუშავება.

სახელოსნო უწინარეს ყოვლისა გამოყენებული იქნება სკოლაში ძმისათვის, რომ მოსწავლეებმა შეითვისონ გარკეეული საჭირო და მნიშვნელოვანი შრომითი. ჩვევები, — გამოყენებული იქნება ზოგადადმიზრდელობითი მიმართულებით. ჩვენს ქვეყანაში ასეთი ჩვევების — საშინაო ყოფაცხოვრების საკმაოდ პრიმიტიული პირობების — სარგებლობის მეტისმეტად გადაფასება ძნელია.

ჩვენ არ უარვყოფთ სახელოსნოების მეორე სასარგებლო მხარესაც — მათ გამოყენებას სასწავლო ხაზით შემთხვევიდან შემთხვევამდე ე. ი. ჩვენ არ უარვყოფთ მათ როლს სწავლების მხრივ, რასაც თავის დროზე, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, უაღრესა, თითქმის განსაკუთრებულ მნიშვნელობას აწერდენ. მაგრამ სახელოსნოების ეს როლი, როგორც უშუალო ლაბორატორიისა, შედარებით უფრო მცირე მნიშვნელობისაა, ვინევ შეგვეძლო გვეფიქრო.

სახელოსნოების ძირითადი დანიშნულებაა — იყვნენ გამოსავალი წერტილით თანამედროვე ტეხნიკისა და შრომის ორგანიზაციის შეთვისების დაწყებისას. ჩვენ ვამბობთ — გამოსავალი წერტილი, ვინაიდან მე-II საფეხურზე მუშაობის სიმძიმის ცენტრი იმყოფება მსხვილ წარმოებაში, რომელზე გადასვლაც შეიძლება წარმოების უფრო მარტივი საშუალებებიდან სათანადოდ. მოწყობილ და შერჩეულ სახელოსნოში.

მხოლოდ უშუალო მუშაობა სახელოსნოში, რაც გვაძლევს მასა-ლისა და შრომის იარაღის გრძნობას, მოგვცემს ნიადაგს შრომის უფრო მაღალი ფორმების ნამდვილი შედარებითი შესწავლისათვის.

სასკოლო სახელოსნოში მოიპოვება თანამდედროვე მანქანის ჯგუფი ელემენტები და სამანქანო წარმოების დამახსიათებელი თა-ვისებურობანი.

ამ ელემენტებსა და თავისებურობებს ადვილად მივხვდებით მუშაობის წესიერი ორგანიზაციის დროს სახელოსნოში.

სასკოლო სახელოსნოს, ამნაირად, სკოლის ერთერთ საფეხურზე (დაახლოვებით, სწავლების მე-6 ან მე-7 წლისათვის) შეუძლია მოგვცეს სრული და საკმაო შესავალი თანამდედროვე წარმოების პო-ლიტებნიზმისა, ამასთანავე შრომითი შესავალი. ამ ძირითადში მდგო-მარეობს კიდევ სასკოლო სახელოსნოს ამოცანა.

ნათელად გამომდინარეობს, რომ მუშაობა სასკოლო სახე-ლოსნოში შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც წარმოებითი ხასია-თის მუშაობა. ეს თავის მხრივ განსაზღვრავს ორგანიზაციის ხასი-ათსა და შრომის შინაარსს სახელოსნოში.

რაც შეეხება შრომის შინაარსს, სასკოლო სახელოსნოში უნდა მზადდებოდეს საჭირო და სასარგებლო ნივთები ან სკოლისათვის, ან კლუბისათვის, ან კერძოდ გასაყიდად — ეს სულ ერთია. მთავარია ერთი რამ: ბავშების შრომა საბოლოოდ უნდა ჩამოყალიბდეს. სასარ-გებლო მატერიალურ ნივთში, და ამასთანავე ამ ნივთის საჭიროება და სასარგებლოობა გამართლებული უნდა იქნეს ბავშების შეგნე-ბაში. ბავშებს ნათლად უნდა ესმოდეთ, რომ ეს ნივთები საჭიროა მათი თვალსაზრისითაც. აქ, რა თქმა უნდა, პირველ რიგში შეა-რულებს როლს ნივთების დამზადება, მათი სკოლისათვის, კლუბისა-თვის, პიონერის კუთხისათვის და სხვ. ან გასაყიდად მათი რომელი-მე წამოწყების საჭიროებლოდ.

თუ ეს პირობა იქნება დაცული, ბავშები შეიგნებენ, რომ მა-თი შრომა ნაყოფიერია.

მუშაობის შინაარსისადმი ასეთი მიღვომა მოითხოვს, რომ მე-თოდიურად შერჩეული იქნეს (სახელოსნოში მიღებული დაკვეთები-დან) საჭირო ნივთები, დასრულებული დავალებანი მუშაობის ხერხე-ბის სიძნელისა და სირთულის თანდათანობითი. მატების მიხედვით. ეს ბუნებრივად იძლევა შესაძლებლობას თანდათანობით გართულდეს ზოგადი დავალებანიც, რომელთაც სახელოსნო ასრულებს მსხვილი წარმოებისაკენ სვლის დროს, მაგალითად, შემოლება შრომის განა-წილებისა, მექანიზაციისა და სხვ.

იმის მოთხოვნას, რომ სასკოლო სახელოსნოებმა შხოლოდ პრაქტიკულად სასარგებლო ნივთები ამზადონ, მივყევართ საორგანიზაციო ზასიათის საკითხამდე.

თუ სახელოსნო მოსწავლის იქ მუშაობის პირველი დღიდანვე დამთავრებულ ნივთებს აწარმოებს (გატეხილის შეკეთება ჩვეულებრივ უფრო ძნელია და უკვე მტკიცე ჩვევებს მოითხოვს), შესაძლებელია და საჭიროულია მოსწავლეთა წინაშე დაისეას აგრეთვე საკითხი დროს აღრიცხვისა, რომელიც ამა თუ იმ ნივთის დამზადებას მობარდა, საკითხი სახელოსნოს მასალის აღრიცხვისა და ამა თუ იმ ნივთზე გაწეული ხარჯისა: მასალისა და დროის აღრიცხვა: თანდათანობით მიგვიყვანს ამა თუ იმ ნივთისათვის მასალების კალკულიაციის მთელ რიგ ახალ საკითხებამდე, აქედან კი წინასწარ სამუშაო წახაზამდე, რომლის მიხედვითაც მზადდება ნივთი, ნახაზის მიხედვით წინასწარი კალკულიაციის საკითხებამდე, ე. ი. მოცემული დაკვეთისათვის მატერიალური ხარჯთაღრიცხვის საკითხებამდე.

ამნაირად ჩვენ ვუახლოვდებით სახელოსნოს სამეურნეო ორგანიზაციის საფუძვლებს, მეურნეობის წარმოების ძირითად ელემენტებს, რომლებიც ბავშთა მკვიდრ კუთვნილებად უნდა იქცეს. სწორედ ეს საკითხები, სახელოსნოში საკუთარი შრომით შეთვისებული, შესქმნიან ნიაღაგს მეურნეობის თანამედროვე პრობლემების, კერძოდ სამეურნეო ანგარიშის საფუძვლების, გაგებისთვის. ეს, რა თქმაუნდა, გამოყენებული უნდა იქნეს მსხვილი წარმოების შესწავლისას.

რამდენადაც ვიცით, სახელოსნოების მუშაობის ასეთ მიმართუადში ჯერ არაა არაა საქმაო გამოცდილება. მაგრამ ეს ერთერთი უმნიშვნელოვანესი გზაა შრომითი აღზრდისა, რომელიც აღამიანთა საზოგადოებრივ შრომასასთანაა დაკავშირებული.

მაგრამ სახითაოთ იქნებოდა ნათქვამიდან ის დასკვნა გამოგვეყვანა, რომ საჭიროა სახელოსნოების გადაყვანა თვითანაზღაურებაზე, ე. ი. ყოველივე ხარჯის საკუთარი ძალებით ამოღებაზე.

ძირითადი საფრთხე იმაში მდგომარეობს, რომ წმინდა მეურნეობრივმა ამოცანებმა აღვილად შეიძლება დაჩრდილოს სახელოსნოების პედაგოგიური ამოცანები. პირველ რიგში ამას შეიძლება მოყვეს შედეგად ბავშების უზომო ექსპლოატაცია.

მეორე, კერძო დაკვეთები, დაკვეთები ბაზრისათვის მოითხოვს უფრო ნატიფ მუშაობას, კარგად შელამაზება-მორგებას, რაც ბავშებს არ ძალუდ; ამას შედეგად შეიძლება ის მოყვეს, რომ ძირითადი სამუშაო დაკისრებული ექნება ოსტატს, ბავშები კი მხოლოდ დამშარე როლს შეასრულებენ.

მესამე, აუცილებლად უყურადღებოდ დარჩება ან სრულიადაც განიდევნება ყველაფერი, რაც სახელოსნოში ბავშების შრომის შესწავლასთანაა დაკავშირებული, ვინაიდან ეს მოითხოვს დროსაც, მასალების გაფუჭებასაც, უშუალო წარმოებისაგან დაშორებასაც.

ყველა ეს საშიშროება იძულებულს გვხდის ოფითანაზღაურებაზე ულაპარაკო გადასვლის საწინააღმდეგო აზრს დავადგეთ.

მაგრამ ჩეენ არა ვართ თვითანაზღაურების პრინციპიალური მოწინააღმდეგე, თუ დაცული იქნება შემდეგი პირობები: 1) პირველ ადგილზე რჩება სახელოსნოების პედაგოგიური ამოცანები; 2) თავისი ბიუჯეტის შემოსავლის არკერთ მუხლს სკოლა არ აგებს სახელოსნოს ნაერაუდევ შემოსავალზე, ე. ი. წინდაწინვე არ ვარაუდობს რაიმე შემოსავალს, და უკეთეს შემთხვევაში ფიქრობს, რომ სკოლა შესძლებს მასალებზე გაწეული ხარჯის ანაზღაურებას და ინსტრუქტორის ხელფასის გასტუმრებას; 3) სახელოსნოს სამეურნეო ორგანიზაცია ანგარიშებით, კალეულიაციებით, ანგარიშწარმოებით. და სხვ. გადაუცემა (პედაგოგიური მოსაზრებით) ბავშებს.

## VI. სასოფლო-ხამეური შრომა.

შრომის ამ სახეს, გვინებ, არავითარი პრინციპიალური კამათი არ გამოუწვევია. ამის მიზეზი აღბათ ის არის, რომ სასოფლო მეურნეობა დღევანდლამდე მომეტებულად წვრილი მეურნეობაა, რომელიც მასიურ გლეხობაში წარმოების საქმიოდ მარტივი იარაღებით კმაყოფილდება. შესაძლებელია, კამათი არ იყო კიდევ იმიტომ, რომ შრომის ეს სახე ვიწრო-პრიოტესიული არ არის, იგი დაკავშირებულია ცხოვრებასთან და მუშაობასთან თავისუფალი ბუნების პირობებში.

მიღებულად უნდა ჩაითვალოს ის პრინციპი, რომ სკოლის I საფეხურს უნდა ჰქონდეს სოფლად მიწის განსაზღვრული, მცირე ( $\frac{1}{2}$ -1 დეს.) ნაკვეთი და აწარმოებდეს საკუთარ პატარა, მაგრამ კარგად დაყინებულ მეურნეობას. თუ ჩეენ სერიოზულად ვაყენებთ ჩვენი სასოფლო მეურნეობის აწევის საკითხს, თუ გვსურს სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებული და რაციონალური წესების ფართოდ გავარცელება, საჭიროა, რომ ეს პირველ რიგში იყოს სკოლის საქმე, როგორც კულტურული ცენტრისა, რომელსაც უშუალო ზეგავლენა აქვს გლეხის ბავშე ყრმობიდანვე. აქ სრულებით არ არის საჭირო აგრონომიული სპეციალიზაცია, ტეს-პირდაპირ იქნება სკოლა რაციონალური შრომისა, სკოლა, რომელიც იძლევა საქმაო საბუნებათმე-

ტყველო-სამეცნიერო ზოგადი განათლების მარაგს პატარა, ბაგ-შის ასაკისათვის შეფარდებული და მისი ძალისათვის მისაწვდომი, მეურნეობის ნიადაგზე.

შესაძლოა, რომ I საფეხურს მასში სასოფლო-სამეურნეო შრო-მის შეტანის საქმეში დაეხმარება სახელმობრ სოფლის ახალგაზრდო-ბის სკოლა, რომელსაც დასკირდება ზრუნვა კარგ შემცველ თაო-ბაზე, და აგრძეთვე ახ. კომკავშირელთა და ახალგაზრდა ლენინელთა ორგანიზაციები, რამდენადაც ისინი ამჟამად საკმაოდ ვითარდებიან სოფლად. ეს ღრგანიზაციები პირველ რიგში დაინტერესებული იქ-ნებიან სასოფლო-სამეურნეო შრომით I საფეხურის სკოლაში.

სულ სხვანაირად დგება საკითხი საკალაქო ტიპის სკოლებში ჩვენ უდავოდ მიგვაჩნია დებულება, რომ ჩვენს დროში ყოველივე სკოლა ასე თუ ისე უნდა შეეხოს სასოფლო მეურნეობას. მუშასა და გლეხს შორის, ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხი ჯერ კიდევ დიდხანს იქნება უაღრესად აქტუალური საკითხი ჩვენს გარ-დამავალ პერიოდში. სკოლისათვის კი ეს იქნება არა მარტო სასო-ფლო მეურნეობის გაცნობის საკითხი, არამედ ქალაქის სოფელზე კულტურული გაფლენის საკითხიც. ს. ს. რ. კ.ს თვითეული მოქა-ლაქე ასე თუ ისე მოვალეა იცნობდეს სასოფლო მეურნეობას — მას ამა თუ იმ სახით მოუხდება მონაწილეობის მიღება ქალაქსა და სო-ფელს შორის კავშირის განმტკიცებაში. მაგრამ ამისათვის საჭიროისი არ არის, რომ სკოლა სასოფლო მეურნეობის მხოლოდ შესწავლით დაკმაყოფილდეს. სკოლა, ქალაქის თვითეული სკოლა მოვალეა თუნ-დაც სულ მცირე უშეფილო მონაწილეობა მიიღოს სასოფლო-სამეურ-ნეო შრომაში. თვითეულ მოსწავლეს სკოლაში ყოფნის რომელიმე პერიოდში შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს იგრძნოს მიწა, იგი შეგრ-ძნობით უნდა მიხვდეს, თუ რა არის მიწაზე მუშაობა. ეს შეიძლება და საჭიროც არის დაუკავშირდეს არა მარტო წარმოებითი ბუნე-ბისმეტყველების შესწავლას, არამედ სოფლის და გლეხთა შორის სა-ზოგადოებრივი მუშაობის გაცნობასაც.

ამის რეალურად განხორციელება მასიური სკოლისათვის, გან-საკუთრებით მსხვილ ცენტრებში, უეპელია მეტად ძნელია მატერი-ალური ხასიათის დაბრკოლებათა გამო. მაგრამ ამის მიღწევას თან-დათანობით უნდა ვცდილობდეთ; ტენდენცია გარკვეულად უნდა იქ-ნეს აღებული. ხოლო თუ ამის შესრულება ჯერჯერობით შეუძლებე-ბელია, ყოველ შემთხვევაში არ უნდა ვცდილობდეთ ამ შეუძლებ-ლიბის თეორიულ დასაბუთებას, რა შიდრეკილებასაც იჩენს დედა-ქალაქის ზოგიერთი სკოლა ეგრეთშობული საზაფხულო სკოლის

საკითხში. ზოგჯერ საზაფხულო სკოლის შესახებ ლაპარაკობენ, როგორც სკოლის მუშაობის ისეთი ტიპის შესახებ, რომელიც არსებოთად განსხვავდება ზამთრის ტიპისაგან და დამყარებულია თამაშობაზე. ფიზიულტურაზე, სპორტზე და სხვ. კარგია, თუ ყველაფერი ეს მართლა არის, მაგრამ ცუდია, თუ ამ ან თითქმის ამ წრიცა (რამდენიმე ექსკურსის დამატებით სოფლად) ამოიწურება საზაფხულო სკოლის შინაარსი. ჩვენ გაზაფხულსა და ზაფხულში მუშაობის ტიპის სრული შეცვლის იმავე თვალსაზრისისზე ვღვევართ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ უნდა ვცდილობდეთ საზაფხულო სკოლის დაკავშირებას, თუნდაც მოწაფეთა ნაწილისაგვის (განსაზღვრული ჯგუფებისათვის), სასოფლო სამეურნეო შრომასთან გონივრულ ფარგლებში. ჩვენ ვლაპარაკობთ გონივრულ ფარგლებზე, ვინაიდან საზაფხულო სკოლის სპორტითა და ნახევრად თავისუფალი მეცადინეობით შეზღუდვის ტენდენცია ნაწილობრივ წარმოიშვა როგორც რეაცია წინააღმდეგ ბავშთა სასოფლო-სამეურნეო შრომის არაგონივრული ფარგლებისა ზამთრის არაგონივრულად დამქანცველი მეცადინეობის შემდეგ.

მეორე მომენტი, რომელზეც საჭიროა ყურადღების შეჩერება, ესაა ამოცანა მეურნეობის საკუთრად წარმოებისა გარშემო მყოფი მოსახლეობის მიმართ, რაც იმაში. მდგომარეობს, რომ ეს მეურნეობა სამინუშოდ უნდა სწარმოებდეს, სას.-სამეურნეო შრომა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს საზოგადოებრივი ოლზრდის ფაქტორი, როდესაც ჩვენ, ვიღებთ რა გამოსავალ წერტილად ამ შრომას, ვადარებთ მას. სხვების ანალიგიურ შრომითი საქმიანობას და ჭითვალისწინებთ აზრია და მნიშვნელობას ჩვენი ბრძოლისას სასოფლო მეურნეობის უკეთესი, უფრო მაღალი ფორმებისათვის. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სასოფლო-სამეურნეო შრომამ ამ შემთხვევაში უნდა მიგვიყვანოს მუშათა და გლეხთა შორის კაშირის გაგებამდე, აქედან კი — თანამედროვეობას ჩვენს ძირითად ამოცანებამდე. როდესაც სკოლა ამნაირად მიანგნებს ჩვენს ძირითად მიზნებს სასოფლო მეურნეობაში, იგი საქმით უნდა ეცადოს მათ განხორციელებას. საკუთარი მეურნეობის მქონე საბავშო ახალშენის მდგომარეობა ქალაქის სკოლის მდგომარეობაზე გაცილებით უფრო ხელსაყრელია, ვინაიდან ასეთ მეურნეობას უეჭველია შეუძლია უფრო სრული ფორმის მიღება, ვინემ ჩვეულებრივს ფართოდ გავრცელებულ გლეხურ მეურნეობას, რაც არ შეიძლება იყოს სასკოლო სასელლისნოში ქარხანასთან შედარებით. სასკოლო მეურნეობიდან შეიძლება განვითარდეს იდეები მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირებისა, გაუმჯობესებული მიწათ-

სარგებლობისა, მეურნეობის ინტენსიფიკაციისა, ელექტროფიკაციისა და სხვ.

ამნაირად, სასოფლო-სამეურნეო შრომას სკოლაში ჩვენ მივაწერთ უდიდეს მნიშვნელობას, როგორც ნამდვილ საზოგადოებრივ-მწარმოშელ შრომას. ეს მნიშვნელობა მეტად დიდია ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ ქვეყანაში, სადაც წერილი და საშუალო სასოფლო მეურნეობა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ძირითად საქმიანობას შეადგენს, მეორეც—იმ მიზეზის გამო, რომ შრომითი საქმიანობის მოცურმულ ფორმაში სკოლა შეიძლება გამოვიდეს როგორც ტეხნიკურის მხრით უფრო მაღალი მწარმოებელი, ვიდრე ჩვეულებრივი გლეხი, და იგი საქმია, შეიძლება იყოს მეურნეობის უფრო რაციონალური ფორმების გამტარებული.

## VII. მარხანა.

საერთო-საგანმანათლებლო სკოლის მონაწილეობა საქართვის შრომაში თანამედროვე ახალგაზრდობის აღზრდის კარდინალური პრობლემაა. საკითხის პრინციპიალურ მხრეზე საჭიროა დაწვრილებით შევჩერდეთ.

ქარხანა უნდა ავილოთ როგორც ჩვენი თანამედროვეობის ტბიური მოვლენა, გარემო ცხოვრებასთან მისი კავშირის მთელი ხილართოვითა და სირთულით. სკოლა უნდა განიხილავდეს ქარხანას როგორც სოციალური ხასიათის მოვლენას.

მართლაც და, ქარხანაში ერთხანეთი ხვდება ტეხნიკა და ეკონომიკა, ქარხანა დასაბამს აძლევს მრავალ სხვადასხვანაირ მოვლენას. ავილოთ თუნდაც ქარხნის ძალიანი დანადგარები. მათ განხილვასა და გაცნობას მივყევართ საერთოდ ენერგიის გარდაქმნის საკითხებამდე, ენერგიის სხვადასხვა ხასიათის წყაროებამდე და მანქანა-ძრავებამდა (ტეხნიკა); აქედან ენერგიის სხვადასხვა წყაროების ეკონომიურ-გეოგრაფიულ რუკამდე და მათთვის მსოფლიო ბრძოლამდე, რომელიც დამყარებულია მათი ეკონომიური გამოყენების თანამედროვე ტეხნიკურ შესაძლებლობებზე, ს. ს. რ. კ-ს ამოცანებამდე ენერგეტიკის და, კერძოდ, ელექტროფიკაციის დარღვი.

ნედლეულს ან ნახევარფაბრიკატებს, რომლებიც წარმოებით გამოსავალ პროდუქტებს წარმოადგენენ, მივყევართ ნედლეულის მოპოვების და მისი წინასწარი დამუშავების საკითხებამდე, ეკონომიური გეოგრაფიის, სასოფლო მეურნეობის და სას.-სამ. ნედლეულის

გადამუშავების საკითხებამდე, ერთხელ კიდევ ტეხნიკისა და ტეხნო-ლოგიის საკითხებამდე ეკონომიკასთან დაკავშირებით.

მანქანა-იარალი აყენებს ეკონომიური ხასიათის მრავალ საკითხს, კიდეც რომ აღარა კიდევათ რა ტეხნიკაზე; რომელიც საბოლოოდ ფიზიკას, მექანიკას, მათემატიკას და ქიმიას ემყარება. აქედან კი ჩვენ მივდივართ იარალების წარმოების საკითხებამდე, ნედლეულის ძირითად სახეებამდე, ლითონამდე, მის მოპოვებასა და დამუშავებამდე, ლითონის წყაროებისათვის მსოფლიო მასშტაბით ბრძოლამდე, რომელიც ენერგიის წყაროსათვის ბრძოლასთან ერთად წარმოადგენს თანამედროვეობის ძირითად კვანძს ჩვენ მიერ ზემოდ განვითარებული გაგების მიხედვით. იმპერიალისტური ბრძოლის კონცენტრაცია არსებითად აქ ხდება.

ავილოთ შემდეგ-შზა ფაბრიკაზე, მისი გასაღება, მოხმარება, ბაზრები, ვაჭრობა, კომპერაცია; ჩვენ მივადგებით ქალაქსა და სოფელს შორის კავშირის საკითხებს, ჩვენი პოლიტიკის (და ეკონომიკის) ისევ იმავე ძირითად საკითხებს:

მაგრამ ეს საქმის ერთი მხარეა. თუ მუშიდან დავიწყებთ, კავშირთა იმავე წყებას მივადგებით. მუშა, მისი სამუშაო ხელფასი, პროფესიული, მუშა ახლა და წინად, მისი ყოფა-უხოვრება, გლეხობასთან კავშირი უკვე არა ეკონომიკის, არამედ ყოფა-უხოვრების საშუალებით (მუშა-ნახევრად გლეხი). ჩვენ მივადგებით პარტიულ, კომკავშირულ და სხვ. მუშაობას, ქალთა მდგომარეობას, ქალთა შორის მუშაობას და სხვ.

ქარხნის მიმართ სკოლის ამოცანა ორგვარია: ჯერ ერთი, შესწავლის ობიექტი უნდა იყოს არა მარტო და არა იმდენად ჩინჩხის ცენტრი—ქარხანა თავისთავად. უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩვენ მიგვაჩინია მოსწავლეთა მიერ ძებნა ქარხნიდან გაბმულ ძაფების და ცვანძებისა. მოსწავლე მიიღებს მაშინ გარკვეულ, როგორც ახლა ამბობენ, განწყობას ქარხნის შესწავლაში.

ასეთი გზით შეიქმნება სასურველი სინთეზი შრომის მეცნიერებასთან, რომელიც გაივლის არა უშუალოდ „წარმოების სწავლებაზე“, არამედ ზოგადი შრომითი აღზრდის ნიადაგზე აღმოცენდება.

მეორე, ეს შესწავლა უნდა იყოს არა უინტერესო საქმე, როდესაც შეისწავლება ჩვენი „მე“-სთვის „გარეშე მოიექტი, რომელიც არ ეხება ულრჩეს პრად გრძნობებს, არამედ უნდა წარმოადგენდეს ღვიძლ, მახლობელ საქმეს, რომელიც უპასუხებს ბავშების ინტერესებს, გადაშლილია მათ სულში. და ჩამოყალიბებულია სკოლის მიერ, რომელიც მათ რწმენებს უქმნის, ანუ სხვანაირად და უფრო მარტივად

რომ ვთქვათ—ბავშები უნდა ცხოვრობდენ ქარხანისთან მჭიდროდ და-კავშირებული ინტერესებით.

ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ბავშების უშუალო სიახლოვე ქარ-ხნის მუშათა მოსახლეობასთან, მის ცხოვრებასთან, მუშაობასთან, ინ-ტერესებთან, ზრუნვასთან, ყოფასთან, მონაწილეობა ქარხნის ცხოვ-რების ყველა შესაძლებელ მხარეში (საზოგადო კრებები, კომპრა-ცია, ახ. კომკავშ. კლუბი, პარტ-უჯრედი, ოევოლუციონური დღესა-წაულები, წერაკითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია და სხვა დასხვა).

საკითხის ისე დაყენება, როგორც ჩვენ ვაყენებთ, მიგვითითებს აგრეთვე იმ ბავშთა ასაკზე, რომელთაც შეუძლიათ მონაწილეობის მიღება საქარხნო შრომაში. გვაქვს რა მხედველობაში წინასწარი მუ-შაობა სახელოსნოებში, როგორც საფეხური ქარხნისაკენ, ასაკი, რო-მელიც დასაშეებია საქარხნო შრომის პირობების მიხედვით, ფართო აქტუანები, რომელთაც ქარხანა ბავშებს უყენებს, ჩვენ შეგვიძლია ლაპარაკი სკოლის მხოლოდ ერთ, დაახლოვებით, წელზე—სწავლების ზემდეს ან იქნებ უფრო სწორედ ზეშვიდე წელზე.

### VIII. დასკვნები.

შრომის ცალკე სახეების ზემომოყვანილი გარჩევა ზედმიწევნით ცხადჰყოფს ჩვენს ძირითად თვალსაზრისს შრომის შესახებ სკოლაში. დალაგება უნებლივთ დაქსაქსული გამოგვივიდა, რაც იმით აიხსნება, რომ ამჟამად არა გვაქვს ზოგადად დაყენებული სოკიალური რევო-ლუციის გარდამავალ პერიოდში ბავშთა შრომის პრობლემა, და ამი-ტომ სასკოლო შრომის საკითხში, როგორც ამ უფრო ზოგადი პრო-ბლემის კერძო საკითხში, შეიძლება დასახულ იქნას მხოლოდ კალკე მიჯნები. მაგრამ ერთი რამ ნათლად გამომდინარეობს ზემოთქმული-დან, სახელმობრ ის, რომ შრომის საკითხი არ შეიძლება აღზრდის ზოგადი მიზნებისაგან განცალკევებით იყოს დაყენებული. არა შრომა თვაისთავად, აბსტრაქტული. შრომა, თავის არასოციალურ არსში თითქო აღმზრდელობითი ელემენტების შემცველი, წარმოადგენს შრო-მითი აღზრდის საფუძველს. შრომას, როგორც ტვინის და კუნთურ ენერგიის ხარჯვას (თუნდაც მიზანშეწონილს), იმ მიზნებისთვის, რომ-ლებსაც ჩვენ აღზრდის დარგში ვისახავთ, მეტად მცირე მნიშვნელო-ბა და წინა აქვს. შრომას თუ ისე გავიგებთ, მაშინ ასეთად შეიძლე-ბა მიეიჩნიოთ ყველაფერი, თვით ისეთი კატორლული მუშაობაც კი, როგორიცაა მოსწავლის მიერ საგნის დაზეპირება უკანასკნელ დღე-ებში გამოცდების წინ. ამის შემოლებას (ხუმრობის გარეშე), ცდილობ-

დენ იმ პერიოდში, როდესაც უარყოფდენ შრომას სკოლაში და წმინდა სწავლებას უბრუნდებოდენ. ჩვენ არ უარყოფთ მოტორულობის პრინციპის ერთგვარ მნიშვნელობას სწავლებაში, მაგრამ ეს საკითხის მცირე ნაწილია.

არა, კომუნისტური აღზრდის საფუძველი უწინარეს ყოვლისა არის შრომა, ალებული ჩვენი თანამედროვეობის ზოგადი პერსპექტივით, სოციალურად გაშუქებული შრომა, რომელზეც რვალისებური აუკილებლობით აღმოცენდება თანამედროვეობის განსაზღვრული გაგება. — შრომა, რომელსაც ბავში პირველი დღეებიდანვე შეჰვავს ადამიანთა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომითი საქმიანობაში.

ამისათვის კი საქამარისი არ არის მარტო შესწავლა ადამიანთა შრომითი საქმიანობისა, არამედ საჭიროა აუცილებელი, მოცემული ასაკისათვის შესაფერი, მაგრამ სერიოზული მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში, მონაწილეობა შეგნებული, სოციალურად გაშუქებული, რომელიც იწვევს მთელ რიგ შინაგან იმპულსებს, ისეთი ხასიათის მთელ რიგ ემოციებს, რომელიც სხვადასხვა მშენების საგნების უინტერესო სწავლებას სკოლაში გადააქცევენ ცხოვრებისადმი მიდგომის მეთოდის, რწმენათა და მსოფლიოს შეგრძნობის—ენერგიითა, ენტუზიაზმითა და რევოლუციონური აღმაფრენით აღსავსე გამოჭედვად.

რა შეადგენს აღზრდის რაობას ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით? საზოგადოებრივი ადამიანის აღზრდა — ესაა მისთვის ისეთი ცოდნის მიწოდება, რაც შეაძლებინებს მას გადასწყვიტოს დაპირდაპირება „მე და სხვები“, „პიროვნება და საზოგადოება“, ე. ი. მიკემა მისთვის საფუძვლებისა საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების წევრის, ეთიური შეფასებისათვის, თავისი ადგილის საკითხის გადაწყვეტისათვის იმ დიად ბრძოლაში, რომელიც თანამედროვეობაში ასე გამწვავებულია. ჩვენ არ შეგვიძლია იმ გზით სელა, რომლიოც უკეთეს შემთხვევაში მიღიოდენ რევოლუციამდე: „აპა ცოდნა და შენ თითონ გადასწყვიტე, როგორ მოიქცე, როგორ მოეპყრო იმ საზოგადოებას, რომელშიც ცხოვრობ“. ჩვენ ვამბობთ—უკეთეს შემთხვევაში, ვინაიდან ჩვეულებრივ იმ ცოდნას, რომელსაც ძეველი სკოლა იძლეოდა, მთელი თავისი შინაარსით და არსებით უნდა აღეზარდა გარკვეული ავტორიტარული მიმართვით; ამის არ შემჩნევა მხოლოდ ბეცს შეეძლო. საბჭოთა სკოლა ისე უნდა იყოს აგებული, რომ ბავში ყოველდღე სკოლის ცხოვრების მსვლელობით იძულებულა ხდებოდეს მიუგოს თავის თავს ამ კითხვაზე და მიუგოს გარკვეული, ერთადერთი სწორე პასუხით. სკოლას ისე უნდა მიჰყავდეს

საქმე, რომ პასუხი ამ კითხვაზე იყოს ბაეშის შინაგანი რეინისებური მოთხოვნილება, პრაქტიკულად მნიშვნელოვანი მოთხოვნილება. ეს კი ნიშნავს, რომ ბაეში მრავალგზის, განუწყვეტლივ უნდა იმყოფებოდეს იმ სიტუაციაში, როდესაც სრულიად შეუძლებელი იქნება ასეთი საკითხის დაუსმელობა და ასევე შეუძლებელი იქნება მასზე ორაზროვანი პასუხის მოღება. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ბავშთა საქმიანობით, მათი პრაქტიკული საქმიანობით, ზათი, ბავშთა, თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და საჭირო საქმიანობით, რომელიც, მაშასადამე, დაფუძნებულია საზოგადოებრივი აზრის მქონე შრომაზე,—საქმიანობით, რომელიც იწვევს გარკვეული გზით მიმართულ ცოდნათა აუცილებლობას.

აღზრდის ასეთ სისტემაში საკითხი შრომის სინთეზისა მეცნიერებასთან ილებს სულ სხვა. საერთოდ გავრცელებულისაგან განსხვავებულ აზრს: ეს არ იქნება სწავლებისა და შრომითი პროცესის უშუალო გადანასკვა, საქმიანოდ ხელოვნური, არამედ შრომისა და მეცნიერების მტკიცედ შეკავშირება ერთ მთლიან ფესვში, რომელიც ლრმად იქნება ჩაჭრილი იმნიალაგში, რომელზეც ბავშთა სასიცოცხლო ინტერესები ვითარდება. ეს ნიშნავს, რომ აღზრდაც და საგანმანათლებლო მუშაობაც განუწყვეტლივ უნდა იქნეს შედუღებული და გაშუქიბული აღზრდის წოდილი მთლიანი მიზნებით,

საკითხის ასე დაყრიცებისას შრომითი სწავლების მეთოდიკა ჩადგება თავის პატარა სათანადო აღვილზე; სასკოლო საქმის სიმძიმის ცენტრი კომუნისტური აღზრდის სისტემის აგებაში იქნება.

#### IV. წაიკითხეთ და დაამუშავეთ ზემომუყვანილი მასალები და გვა- პასუხეთ შემდეგ კითხვებზე.

1. რა და რა მიმართულებაა შრომის სკოლის გაგებაში.
2. რაში გამოიხატება საბჭ. შრ. სკოლის პოლიტექნ. ხასიათი.
3. გამოარევით, რა ძირითადი განსხვავებაა ორ სკოლას შორის, რომელთაგან ერთი უცემერის შრომას როგორც მეთოდს, მეორეს კი შრომა სასკოლო მუშაობის მთავარ ღერძად მიაჩნია.
4. შრომის რა სახეებია ჩვენ პროგრამებში წლების მიხედვით და რა შესძლო თქვენმა სკოლამ წელს ჯაფუების მიხედვით (შრომათამაში, შრომა როგორც მეთოდი, თვითმსახურება, წარმოებითი-ტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო, საზოგადოებრივ-სასარგებლო და აღამიანის შრომის შესწავლა).
5. როგორ დაუკავშირეთ შრომითი სახეები საპროგრამო მა-  
სალას.